142

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეოთხე წელიწადი

კომუნისტი

ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და ას. საქ. მ., გ., წ. არ. და მაზრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთველის პროსპექტი № 24, მეორე სართული.

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—84.

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთველის პრ. № 2.
ტელეფონი 10—45.

ხელის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში— 1 მან. 50 კ. ქალაქს გარეშე მცხ. ფოსტით—1 მან. 60 კ. კოლექტ. ხელ. მოწ. 90 კ.; ქალაქს გარეშე მცხოვრ. თვის 1 მან. განცხადება 20 კ. ნომპარელის სტრიქონი. განცხადება 5 მან. ხვრ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 4 საათ.

№ 65 (920) პარასკევი, 21 მარტი 1924 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. ჩერვონცებით. № 65 (920)

გაზეთის დღევანდელი №-რი შეიცავს 6 გვერდს.

[illegible]

საფრანგეთის ნავთსადგურში გავრში გაიფიცნენ მეზღვაურები. მათ მოწოდებით მიმართეს საფრანგეთის სხვა მეზღვაურებს შეუერთდნენ გაფიცვას.

ირლანდიაში მოხდა სამხედრო აჯანყება. დატუსაღებულია 40 ოფიცერი.

მთელ ოსმალეთში დიდი აღელვება გამოიწვია ხალიფის მოწოდებამ ხალიფატის აღდგენის შესახებ.

პორტუგალიაში გაფიცულნი არიან სამოქალაქო მოხელენი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზ. „კომუნისტი“-ს პრემიების დარიგება

რედაქცია აცხადებს იმ ხელისმომწერთა საყურადღებოთ, რომლებმაც „კომუნისტი“ გამოიწერეს სამი ან ექვსი თვით, რომ ხვალიდან მათ დაურიგდებათ უფასოთ შეპირებული პრემიები:

სამი თვის ხელისმომწერლებს

1. ნ. ლენინი—კარლ მარქსი
2. ალ. ცულუკიძე—ნაწყვეტები პოლიტიკური ეკონომიიდან

ექვსი თვის ხელისმომწერლებს

1. ი. ჯუღაშვილი-სტალინი—წერილების კრებული ნაციონალური საკითხის შესახებ
2. ვ. ლიბკნეხტი—მოგონებანი მარქსის შესახებ
3. ი. სტეპანოვი—ფიქრები რელიგიის შესახებ

ყველა ხელისმომწერლებს ამ დღეებში დაურიგდებათ, როგორც ჩვეულებრივ უფასოთ, „კომუნისტი“-ს სალიტერატურო-სამხატვრო ორკვირეული დამატების, „ჩირაღდნის“, მორიგი ნომერი, რომელიც უკვე იბეჭდება.

0—1

განაჩენი

კათალიკოს ამბროსის და მისი „ძმების“ პროცესი დამთავრდა. უზენაესმა სასამართლომ უკვე გამოიტანა თავისი განაჩენი ბრალდებულთა შესახებ.

ფრიად საგულისხმოა როგორც პროცესის მსვლელობა და შინაარსი, ისე უმაღლეს პროლეტარულ სასამართლოს განაჩენი.

ჩვენ იმთავითვე ვიცოდით, სასამართლომ კი საჯაროდ, ყველას გასაგონად დაგვანახა მთელი თავისი სისრულით „ქრისტეს წარმომადგენლების“ ნამდვილი სახე, მათი „საქმენი საგმირონი“.

სამღვდელოება საუკუნეთა განმავლობაში იყო არა მარტო „ღვთის მოძღვრების“ მქადაგებელი, ხალხის გონების დამაბნელებელი და მტერი მასის გათვითცნობიერების და პროგრესის, არამედ ამავე დროს იყო მჩაგვრელი კლასების ბატონობის იარაღი და ამ ბატონობის მონაწილე, როგორც ეკონომიურად, ისე პოლიტიკურად.

სამღვდელოება ცრუმორწმუნოების გავრცელება-განმტკიცებით ხალხში, მეფის თუ სხვა, მშრომელი მასის მონობაზე დამყარებულ წყობილებისადმი მორჩილების ქადაგებით, ზურგს უმაგრებდა პრივილეგიურ კლასებს, რომელნიც თავის მხრივ უხვ „მოწყალებას“ არ აკლებდნენ მას უამრავი სახალხო ქონების და „თბილი“, „საპატიო“, მომგებიანი ადგილების მიცემით.

სიტყვით თითქო პოლიტიკისაგან განზე მდგარი, საქმით სამღვდელოება უკიდურესი რეაქციონერი იყო, მშრომელი ხალხის მჩაგვრელი.

ოქტომბრის რევოლიუციამ ძირიანფესვიანად შეცვალა მდგომარეობა. მუშათა კლასმა დაამსხვრია არა მარტო თვითმპყრობელობის და ბურჟუაზიის, არამედ მათი დამქაშების „სულიერი მამების“ ბორკილებიც.

მშრომელ ხალხმა ბრძოლა გამოუცხადა რელიგიურ ცრუმორწმუნეობებს, დაამხო სიბნელის კერები—ეკლესიები და მათ ადგილას კულტურ-განმანათლებელი დაწესებულებები მოაწყო.

საბჭოთა ხელისუფლებამ ნივთიერი საფუძველი გამოაცალა სამღვდელოების ბატონობას, ჩამოართვა მამულები და სხვა ქონება, რომელიც გადასცა კუთვნილებისამებრ ხალხს.

მშრომელ მასამ გარიყა „ქრისტეს მოციქულნი“ პოლიტიკურ ცხოვრების სარბიელიდან.

აბა ასეთ ცვლილებას როგორ შეურიგდებოდა საუკუნეთა მანძილზე მდიდრულ ცხოვრებას, ფუფუნებას, ხალხის მოტყუილებას, მასზე ბატონობას ჩვეული სამღვდელოება, ისევე, როგორც ამას ვერ შეურიგდნენ თავადები, ბურჟუაზია და მათი დამქაშები.

და ჩვენ ვხედავთ, რომ მუშათა კლასის დიქტატურის, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეიქმნა ერთიანი ფრონტი დამხობილი წყობილების ყველა ძალების.

ამ პარიტეტულ კონტრ-რევოლიუციაში სამღვდელოება უკანასკნელ როლს არ თამაშობდა.

„წმინდა მამების“ პროცესზე გადაიშალა მთელი სურათი მათი კონტრ-რევოლიუციონური ბრძოლისა განთავისუფლებულ მუშათა კლასის წინააღმდეგ.

ამბროსის მიერ გენუის კონფერენციისადმი, ყალბი და პროვოკაციულ ცნობებით სავსე „მემორანდუმი“-ს გაგზავნა, რომლის მიზანი იყო უცხო, კაპიტალისტურ სახელმწიფოების ჩარევის გამოწვევა საბჭოთა საქართველოს შინაურ საქმეში, ამ „მემორანდუმში“ წითელი ჯარის გაყვანის და პოლიტიკური წყობილების ფორმის შეცვლის მოთხოვნა, ე. ი. საბჭოთა ხელისუფლების დამხობის და ძველი რეჟიმის რესტავრაციის ცდა; ხალხის კუთვნილ საეკლესიო ქონების გადამალვა-მითვისება; წინააღმდეგობის გაწევა მუშურ-გლეხურ მთავრობის განკარგულებებისათვის, და სხვა მრავალი,—აი, ცალკე მომენტები ბნელეთის მოციქულების ამ ბრძოლის.

ყველაფერი ეს საჯაროდ იქნა გამოფენილი სასამართლოს პროცესზე.

აქვე გამოაშკარავდა სამღვდელოების მთელი ზნეობრივი გახრწნილება და სიბინძურე.

სამოსამართლო პროცესის მსვლელობიდან აღსანიშნავია კიდევ ერთი მომენტი: სახელდობრ პარიტეტულ კონტრ-რევოლიუციის ნამსხვრევების ცდა პროცესის გამოყენებისა საგიტაციოდ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. „სოციალისტი“ ნინიძე, სამღვდელოების დამცველი, „ისტორიული პიროვნება“ გახდა თავისი არხიკლერიკალური გამოსვლებით და დამხობილი წყობილების დაცვით. ეს იყო თავგაპეპქყილი კონტრ-რევოლიუციის უკანასკნელი ამოკვნესა.

მეტად საგულისხმოა თვით განაჩენი პროლეტარული სასამართლოსი.

საბჭოთა სასამართლო პროლეტარიატის დიქტატურის ერთ-ერთი თავდაცვის ორგანოა. მას არ ახასიათებს შურისძიება, ის უაღრესად ჰუმანიურია, წინააღმდეგ ბურჟუაზიული სასამართლოსი და იღებს უკიდურეს გადაწყვეტილებებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ეს ნაკარნახევია მდგომარეობით, მუშათა კლასის ინტერესებით.

დღეს საბჭოთა ხელისუფლება მტკიცეა, ვით სალი კლდე. მას ზიანს ვერ მიაყენებენ მორალურად მკვდარი, ორგანიზაციულად დაშლილი და გახრწნილი ხუცები და სხვა ანტისაბჭოთა ელემენტები.

ამბროსის და მისი „ძმების“ დანაშაული მძიმეა საბჭოთა სახელმწიფოს და მუშათა კლასის წინაშე.

მაგრამ მიიღო რა მხედველობაში ზემოხსენებული მომენტები, აგრეთვე ის, რომ ბრალდებულებმა აღიარეს თავისი „მოღვაწეობა“ დიდ შეცდომად, ამასთან გამოაცხადეს მორჩილება საბჭოთა ხელისუფლების მიმართ, სასამართლომ შესაძლებლად დაინახა გამოეტანა, ბრალდებულთა წინააღმდეგ, შედარებით მსუბუქი სასჯელი, რომელსაც ჩვენი მკითხველი უკვე იცნობს.

სასამართლოდან სამღვდელოება, და განა მარტო ის, მთელი კონტრ-რევოლიუცია ზნეობრივად სავსებით განადგურებული გამოვიდა, ხოლო მუშათა კლასის ბრძოლა თავისი საბოლოო განთავისუფლებისათვის ყველა ჯურის მჩაგვრელებისაგან ამაღლებული ფართე საზოგადოების თვალშიც.

ამაშიც არის პროცესის დიდი მნიშვნელობა.

1924—1925 წ. წ. ერთიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ

I

ამიერ-კავკასიის ფინსახკომის რწმუნებულის სამმართველო საქართველოში უკვე შეუდგა წინასწარ მუშაობას 1924—25 წლების ერთიან სამეურნეო გადასახადის კამპანიისათვის. სამმართველოს გადასახადთა განყოფილებამ ჯერ კიდევ თებერვლის დასაწყისშივე დაუგზავნა მაზრთ აღმასკომებს განსაკუთრებული შეკითხვების ფურცლები განმარტებით მათი შეხედულებათა გამოსამჟღავნებლათ ახალი კამპანიის უფრო სასურველად ჩატარების შესახებ, ხოლო რესპუბლიკის მსხვილ სამეურნეო მაზრებში გარდა ამისა წარგზავნილ იქნენ რევიზორ-ინსტრუქტორებიც.

20 თებერვლისათვის განყოფილებას მოუვიდა 16 მაზრიდან პასუხი. მასალა საკმაო იყო, რომ გავრკვეულიყავით რესპუბლიკის ყველა კუთხის სურვილებში და განყოფილებაც შეუდგა ამ მასალის შესწავლას. შემდეგ მოწვეულ იქნა დაინტერესებულ უწყებათა და საგადასახადო საქმეებთან ახლო მდგომ და მცოდნე პირთა გაერთიანებული თათბირი, რომელსაც წარედგინა გადამუშავებული მასალა განყოფილების მოხსენების სახით. უკანასკნელი შეიცავდა სრულ დასკვნას მაზრაღმასკომთა პასუხებისას და თვით განყოფილების მოსაზრებას თვითეულ საკითხზე ცალკე.

თათბირს ჰქონდა ორი სხდომა. ბევრი კამათის შემდეგ თათბირმა გამოიმუშავა ძირითადი დებულებები მომავალ კამპანიისათვის და ახლო დღეებში ისინი წარედგინება ამიერ-კავკასიის ფინსახკომს, რომელიც საკითხს გადასწყვეტს. ა. კ. ფედერაციის მასშტაბით.

გეზი, აღებული ცენტრის მიერ წრეულ ამ რთულ საქმის მოსაგვარებლად, სწორი და მიზანშეწონილია: ბევრი რამ არის საინტერესო მაზრების პასუხებში, მაგრამ ამ ჟამად შევჩერდებით მხოლოდ რამოდენიმეზე, რომლებსაც უფრო მწვავე ხასიათი აქვსთ ადგილებისათვის

ყველა მაზრები ერთხმათ აღნიშნავენ, რომ სამეურნეო გადასახადის მთლიანობა, აღიარებული დეკრეტში, მართლაც ზედმიწევნით რეალურ აუცილებლობას წარმოადგენს ჩვენი სოფლის მეურნეობისათვის დღევანდელ გართულებულ ეკონომიურ პირობებში. ასევე უნდა დარჩეს მომავალშიც; მაგრამ მაზრები მოითხოვენ, რომ პრინციპი გადასახადის მთლიანობისა სავსებით და ხანგრძლივად იყვეს ნამდვილეში გატარებული. ამას განსაკუთრებით უსვამენ ხაზს გორის, ახალციხის, სიღნაღისა და სხვა მაზრებიც. აშკარა ნიშნებია იმისა, რომ ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი დაიკავებს ჩვენს საგადასახადო სისტემაში პირველ ადგილს.

ქვაკუთხედი ამ გადასახადისა არის მისი ერთიანობის პრინციპი. ჩვენ უნდა ავღზარდოთ ფართე მასა პროვინციისა ამ გადასახადის ერთიანობის პრინციპის პატივისცემაში და განვამტკიცოთ მისდამი რწმენა. მაგრამ ზიანდება თუ არა პრინციპიც და საქმეც, როცა პარალელურად ამ გადასახადთან ერთად სოფლად არსებობენ კიდევ საუწყებათაშორისო სხვადასხვა გადასახადებიო, გვეკითხებიან მაზრაღმასკომები. ასეთ გადასახადებათ ისინი სთვლიან: 1) იჯარას საძოვარ ადგილებზე, სადაც სცხოვრობს მესაქონლე მოსახლეობა და არა აქვთ მიზომილი ნორმები, 2) იჯარას სათიბ ადგილებში, 3) წყლის სამმართველოს გადასახადს ბამბის მეურნეობის რაიონებში და 4) სარეწავო გადასახადს მერძევეთა ფერმებსა და ყველის ქარხნებზე, რომლებიც ამუშავებენ საკუთარ საქონლის ნედლ მასალას. გარდა ჩამოთვლილ გადასახადებისა, ახდევინებენ კიდევ სამეურნეო გადასახადსაც.

საგადასახადო განყოფილება და თათბირი ჯეროვანი ყურადღებით მოეპყრნენ მაზრების ამ მტკივნეულ საკითხებს და გამოსთქვეს შემდეგი: 1) განყოფილებამ მოითხოვა, რომ საძოვარ და სათიბ ადგილებში, სადაც მოსახლეობას არა აქვს მიზომილი მიწის რეფორმის წესით საჭირო ნორმები, თუ წრეულ ჯერ არ შეიძლება სრულიად მოისპოს აღნიშნული საიჯარო გადასახადები, მაშინ შეუთანხმონ ესენი ერთიან სამეურნეო გადასახადს.

განყოფილების ასე დასმულმა საკითხმა გამოიწვია კამათი, რომლის დროსაც გამოირკვა, რომ ზოგიერთი თეორეტიკოსები უდგებოდნენ საკითხს აკადემიურათ. მაგრამ საერთო შთაბეჭდილება თათბირისა ასეთი იყო, რომ არსებობა ამ გადასახადებისა ხალხში მართლაც ჰქმნის ორმაგ დაბეგვრის წარმოდგენას და არღვევს სამეურნეო გადასახადის ერთიანობის პრინციპს; 2) წყლის სამმართველოს გადასახადს არხებით სარგებლობისათვის ბამბის მეურნეობის რაიონებში თათბირი სცნობს არამც თუ დაუშვებლად, არამედ აშკარა დარღვევათ იმ შეღავათებისა, რომლებსაც, პირიქით, სახელმწიფო აძლევს ამ დარგის მეურნეობას წარმატებისათვის; 3) რაც შეეხება მერძევეთა ფერმებს და ყველის ქარხნებს, რომლებიც ეწევიან წარმოებას საკუთარ საქონლის ნედლ მასალის გადამუშავებით, თათბირი სცნობს, რომ მათ უნდა ხდებოდეთ მხოლოდ ერთ-ერთი გადასახადი.

ასეთი პასუხი გაეცა ჩვენს მაზრებს ამ საკითხებში საქართველოს რწმუნებულის სამმართველოდან. როგორ და რა სახეს მიიღებს საქმე შემდეგ ინსტანციაში, ჯერ არ ვიცით, მაგრამ ერთი-კი უნდა ვსთქვათ, რომ უაღრესი საჭიროებაა ერთხელ და უკანასკნელად მოეღოს ბოლო სოფლად არსებულ გადასახადების სხვადასხვაობას, რაც მუდამ ხელს უშლიდა და შეუშლის კიდევაც თუ შემდეგშიც ასე დარჩება ერთიან სამეურნეო გადასახადის კამპანიის უმტკივნეულოდ ჩატარებას.

იგ. კარგარეთელი.

სახელმწიფო დაზღვევის გარშემო

არა მარტო სოფლისა და ქალაქის მცხოვრებნი, თვით ჩვენს ბევრს ამხანაგებსაც-კი ხშირად ჰგონიათ თითქო სახელმწიფო დაზღვევის ქვეშ რაღაც გადასახადი იმალებოდეს. მათ ავიწყდებათ, რომ დამზღვევის მიერ შეტანილი „საზღვევო პრემია“ არის მხოლოდ გადახდა დამზღვევის „რისკისა“.

ისინი ხშირად სრულიად უყურადღებოდ ეპყრობიან მას და თანაც თავისებურად ხსნიან ხოლმე დეკრეტებსა და განკარგულებებს, რომლებიც დაზღვევას ეხება; კიდევ მეტი, ისინი დაპირებასაც იძლევიან სრულიად გააუქმონ ის დეკრეტები და განკარგულებები, რომლებიც ავალებენ მოსახლეობას თავის დროზე დამზღვევე პრემიის გადახდას.

ყველას მოეხსენება, რომ საუცხოვოდ დაწყობილი წარმოებები, მშვენივრად აშენებული და დაწყობილი ფაბრიკა-ქარხნები, რომლებიც აუარებელ მასალას და მუშა ხელის ნაამაგარს შეიცავს, თვეობით დამუშავებული ვენახები და ყანები, ბაღები თუ ბოსტნები, ყველა სულ რამოდენიმე საათის განმავლობაში ისპობიან ხოლმე ადამიანის ნებისყოფის გარეშე სხვადასხვა სტიქიურ მოვლენის მეობებით, რომელთა წინასწარ გათვალისწინება სრულიად შეუძლებელია. ამიტომ შეიძლება თუ არა, და ისიც დღევანდელ პირობებში, დატოვებულ იქმნას სრულიად უყურადღებოთ და ბედის ანაბარათ სამეურნეო ორგანოები?

რასაკვირველია არა?

საბჭოთა ხელისუფლებამ რ. ს. ფ. ს. რ.-ში დიდიხანია მოათავა თავისი ცდები ამ სფეროში და დამთავრებული სახით მოგვიძღვნა ჩვენ. ჩვენც გვმართებს სერიოზულად ვიფიქროთ ამაზე. ნამეტურ სოფელს უნდა მიექცეს ყურადღება. ეს უფრო იმიტომ, რომ დამწვარ სახლების ხელახლად ასაშენებლათ სრულიად არ მოიძებნება მასალა და არც სხვა საჭირო ნივთები; გარდა ამისა კიდეც რომ ადვილი საშოვნი იყოს, მათი ადგილობრივ მიტანა, საკმაოდ მრავალ ხელისშემშლელ პირობებთანაა დაკავშირებული.

ყოფილმა ერობებმა რუსეთში, რომელთაც 60 წლის ისტორია ჰქონდათ მუშაობისა, პირველებმა შემოიღეს აუცილებელი დაზღვევა „окладное страхованіе“, და შეაგნებიეს ჩამორჩენილ გლეხობის დაზღვევის აუცილებლობა.

ჩვენ კი აქ მოკლებულნი ვიყავით ამას მეფის რეჟიმის პოლიტიკის გამო. ამით უნდა აიხსნებოდეს ჩამორჩენილობა სახელმწიფო დაზღვევის საქმისა ჩვენს რესპუბლიკებში.

სახელმწიფო დაზღვევა არ არის უბრალო ეკონომიური ზომა. იგი დამყარებულია ისეთ ღრმა ეკონომიურ საფუძვლებზე, რომლებზედაც საჭიროა სერიოზული დაფიქრება და ერთის ხელის დაკვრით ესეთ სერიოზულ სამეურნეო საკითხის გადაჭრა ჩვენის აზრით დაუშვებელია.

ოქტომბრის რევოლიუციას არ შეეძლო გვერდი აევლო ასეთ საპატიო სახალხო-სამეურნეო ორგანიზაციისათვის, და ისე როგორც სხვა სახეებს მეურნეობისას, ამასაც მისცა თავისი მიმართულება.

მან ერთიანად ჩაიგდო ის ხელში და გამოიმუშავა მტკიცედ და საბოლოოდ თვისი დამოკიდებულება დაზღვევის საკითხთან, მან მონოპოლიად აღიარა ყველა სახეები დაზღვევისა, კერძო კაპიტალის და კერძო ინიციატივის გარეშე.

ბურჟუაზიულ დამზღვევ ორგანიზაციებთან განსხვავებით მან დაზღვევა შექმნა სავალდებულოდ; ასეთი გადაჭრა საკითხისა არ „მოუყვიდათ ჭკუაში“, ასე გასინჯეთ, ზოგიერთ კომუნისტებსაც კი, რომლებიც დგანან ამა თუ იმ ორგანიზაციის სათავეში.

საბჭოთა მთავრობამ შემოიღო დაზღვევა და სუფსიდიაც გამოიღო ამისათვის, სწორედ იმ აზრით, რომ იგი, დაზღვევა დაუახლოვდეს მცხოვრებთა ფართო წრეებს; უამისოდ გლეხობას ის ვერ უზრუნველჰყოფდა საბოლოო დანგრევა-განადგურებისაგან.

სახალხო მეურნეობის ასეთ საპატიო ნაწილის ორგანიზაციის აუცილებლობა თავიდანვე ცნობილ იქნა ჩვენი ხელისუფლების მიერ, თუმცა დაზღვევის აპარატი, ხან ერთს კომისარიატს ექვემდებარებოდა და ხან მეორეს, მაგრამ ვერც ერთს მათგანში ვერ თავსდებოდა და ბოლოს კი, როდესაც შემოღებულ იქნა „ნეპი“, მან უკვე მიიღო თვისი ნამდვილი ფიზიონომია.

ამნაირად მისცა რა საკუთარი ფიზიონომია სახელმწიფო დაზღვევას, საბჭოთა ხელისუფლებამ გადასწყვიტა შებრძოლოს იმ შემთხვევითი საშიშროებებს, რომელიც შესაძლებელია ხოლმე მოევლინოს სახალხო მეურნეობას. თანვე ის შეუდგა ბუნების ძალების შესწავლას და მისი დამორჩილების საშუალებების გამონახვას, რომ უფრო მეტად შეუწყოს ხელი სახალხო მეურნეობის გაზრდა-განვითარებას.

ა. კობახიძე.

რადიო-დეპეშები

(„ზაკ როსტა“-ს ცნობები)

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

იტალია

წითელ დროშას აღტაცებით ეგებებიან.

რომი. 20 მარტი. გაზეთები იტყობინებიან, რომ საბჭოთა დროშის ყოველ გამოჩენას იტალიის ტერიტორიაზე ესალმებიან იტალიის მუშები. საბჭოთა გემების მოსვლა დღესასწაულია მუშებისათვის. გემ „ილიჩ“-ზე, რომელიც შევიდა იტალიის ნავთსადგურში, იმყოფებოდა 2000-დე იტალიელი მუშა. მუშები საბჭოთა ხომალდებთან გავლის დროს წითელი დროშის წინ იხდიან ქუდებს.

ინგლისი

რუსეთ-ინგლისის კონფერენციის გარშემო.

ლონდონი. 18 მარტი. მაკლეინის შეკითხვას თემთა პალატაში იმის შესახებ, წარედგინა თუ არა საბჭოთა მთავრობას რომელიმე პირი ინგლისის ელჩის თანამდებობაზე საბჭოთა კავშირში, მაკდონალდმა უარყოფითი პასუხი გასცა.

„დეილი ჰერალდ“-ის ცნობით, მოლაპარაკება ინგლის-რუსეთის კონფერენციის შესახებ გაჭიანურდება ზაფხულამდე, ვინაიდან „მაკდონალდი არ მოიქცევა ისე, როგორც მოიქცა კერზონი.“

გაზეთი აღნიშნავს, რომ მოლაპარაკება ორივე ძლიერ მუშურ მთავრობას შორის გამსჭვალულია ორთავე მხრივ არა რაც შეიძლება მეტის გამოტყუების მიზნით, როგორც ეს ხდებოდა წინეთ, არამედ მეგობრობის მტკიცე საფუძველზე დამყარების სურვილით.

კვერცხების შეზიდვა ინგლისში.

ლენინგრადი. 20 მარტი. ჩრდილოეთ-დასავლეთის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველომ მიმდინარე სეზონში დასდო ხელშეკრულება რომლითაც ინგლისში შეტანილი უნდა იქნეს კვერცხები 15 მილ. ოქროს მანეთის ღირებულებისა.

საფრანგეთი

პუანკარე პოზიციას იცვლის.

პარიზი, 17 მარტი. „ეკონასიონალ“-ის ცნობით, პუანკარეს განზრახვა აქვს მიიღოს სენატორ დე-მონზის რჩევა და მხარი დაუჭიროს საბჭოთა კავშირის ცნობას.

ოსმალეთი

საბჭოთა სავაჭრო დელეგაციის მიღება.

მოსკოვი. 20 მარტი. მიღებულია დეპეშა სტამბოლიდან იმის შესახებ, რომ იქ ჩავიდა 17 მარტს საბჭოთა დელეგაცია. დელეგაციას შეხვდნენ ოსმალეთის სავაჭრო პალატის თავმჯდომარე და მდივანი. ოსმალეთის ვაჭრებმა კმაყოფილება გამოსთქვეს რუსეთის მრეწველობის და ვაჭრობის წარმომადგენლების ჩასვლის გამო და მხურვალედ მიესალმნენ სტუმრებს. ოსმალეთის პრესა თანაგრძნობით წერილებს უძღვნის დელეგაციის ჩასვლას და მოათავსა ინტერვიუ დელეგაციის თავმჯდომარესთან

სტამბოლიდან დელეგაცია გაემგზავრა ანგორაში; სტამბოლში დაბრუნების შემდეგ დელეგაცია მოაწყობს იქ საბჭოთა მრეწველობის ნიმუშების გამოფენას.

ფულის რეფორმა

დამატება სიძვირის გამო

მოსკოვი. 20 მარტი. საბჭოთა კავშირის შრომის და თავდაცვის საბჭო ადგენს:

1) შრომის და თავდაცვის საბჭოს ცენტრალური კომისიის მიერ მოსკოვისა და ლენინგრადისათვის დაწესებული დამატება სიძვირისათვის, (საბჭოთა კავშირის ცაკის „უწყებანი“-ს 16 მარტის ნომერი) და აგრეთვე დამატებები სიძვირისათვის, რომელიც დაწესებული იქნება უშუალოთ ადგილობრივი კომისიების მიერ, გავრცელებული იქნეს იმ კოლექტიურ ხელშეკრულებებზე, რომელთა ძალით 1924 წ. მარტამდე შემოღებული იყო საქონლის მანეთში დაწესებულ შრომის ხელფასის დაზღვევა ჩერვონცის გამოანგარიშებაზე გადაყვანის საშუალებით.

2) იმ კოლექტიური ხელშეკრულებების მიხედვით, რომელთა ძალით 1924 წ. 1-ლ მარტამდე არ ყოფილა შემოღებული აღნიშნული დაზღვევა, შრომის ხელფასის გასტუმრება 1924 წ. 1 აპრილამდე ხდება მხარეების (პროფკავშირების და სამეურნეო ორგანოების) სპეციალური შეთანხმების თანახმად; ამ შეთანხმებებით დაცული უნდა იქნეს შრომის ხელფასის რეალური დონე.

საბჭოთა კავშირის შრომის და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ცურუპა.**

მდივანი **ფოტიევა.**

მდგომარეობა გერმანიაში

აფეთქება ქარხანაში

პარიზი. 20 მარტი. ბერლინში „ნობელ გერმანია“-ს დინამიტების წარმოებაში მოხდა აფეთქება. მოკლულია ოთხი, დაჭრილია მრავალი. ზარალი უმნიშვნელოა.

კომბი ნაცარში ჩაუვარდათ.

ბერლინი. 18 მარ. რეიხსტაგის დათხოვნის დღეს მაძებარმა პოლიციამ რეიხსტაგის შენობაში დააყენა გაძლიერებული რაზმები, რომლებსაც უნდა დაეტუსაღებიათ კომუნისტური დეპუტატები გერმანიის კომპარტიის ცეკას წევრები. პოლიციამ ვერ მოახერხა დეპუტატების დაპატიმრება. რეიხსტაგის თავმჯდომარე ლებე ეხმარებოდა დეპუტატებს თავი დაეღწიათ პოლიციისაგან; ასე, მაგალითად, დეპუტატი ტომასი მან გაატარა იმ საიდუმლო გასავალით, რომელიც აერთებს რეიხსტაგს პრეზიდენტის სახლთან. დეპუტატებს ეხმარებოდენ აგრეთვე რეიხსტაგის მოსამსახურეები.

ვერცხლის ფულის გამოშვება.

ბერლინი. 18 მარტი. გერმანიის მთავრობამ დაადგინა გამოუშვას ხმარებაში 300 მილ. მარკის ვერცხლის ფული.

გერმანიის კომპარტიაში.

ბერლინი. 18 მარტი. გერმანიის კომპარტიის საოლქო კონფერენციების უმრავლესობა მიემხრო მემარცხენე ფრთას. მემარცხენეები ფიქრობენ, რომ მომავალ პარტიულ ყრილობაზე ისინი 125 მანდატიდან მიიღებენ 90 მანდატს.

ჩეხო-სლოვაკიის ამბები

კომუნისტების დიდი გამარჯვება.

პრაგა. 18 მარტი. კარპატის რუსობას ჩეხიის პარლამენტში ჰყავს 9 დეპუტატი, სენატში—4. არჩევნებმა ოპოზიციას მისცა 7 მანდატი, რომელთაგან კომუნისტებს ერგებათ 4 ან 5. 25 000 ხმიდან კომუნისტებმა მიიღეს 100 000. სოციალ-დემოკრატებმა, რომლებიც მხარს უჭერენ მთავრობას და რუსის შრომის პარტიამ, რომელსაც ბლოკი აქვს შეკრული ნაციონალ-სოციალისტებთან მიიღეს 20 000 ხმა. ბურჟუაზიულ კოალიციონურ პარტიებს არ მიუღიათ არც ერთი მანდატი. აგრარიები დამარცხდნენ. სენატში გავიდა 3 კომუნისტი. მთავრობის პარტიებს არ მიუღიათ არც ერთი მანდატი. ამის გამო „რუდე პრავო“ სწერს: „კომპარტია თანდათან ძლიერდება. არჩევნების შედეგი გამანადგურებელი განაჩენია კოალიციისათვის. კომპარტია აერთიანებს გლეხობას. აგრარიების დამარცხების მნიშვნელობა დიდია. კომპარტიის მიერ შეგროვებული ხმების დიდი პროცენტი ამტკიცებს კარპატო რუსეთის მოსახლეობის ორიენტაციას საბჭოთა კავშირზე.

ბესარაბიის საკითხის გარშემო

აქაც საფრანგეთი ათამაშებს რუმინეთს.

ვენა. 18 მარტი. რუმინელმა პუბლიცისტმა სერპესკუმ გამოაქვეყნა დოკუმენტები, რომლებიც შეეხება 1919 წელს გამართულ ელჩთა საბჭოს მოლაპარაკებას ბესარაბიის საკითხის შესახებ. დოკუმენტებიდან სჩანს, რომ რუმინეთის პრეტენზიებს ბესარაბიაზე მხარს უჭერდენ კლემანსო და ტარდიე, ოქმზე ხელი მოწერილია ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ. ოქმი დამტკიცებულია მხოლოდ ინგლისის და საფრანგეთის მიერ.

ბესარაბიელების მიტინგი ნიკოლაევში.

ნიკოლაევი. 18 მარ. შესდგა ბესარაბიელების მიტინგი ბესარაბიიდან გადმოხვეწილ ასეულ ლტოლვილების მონაწილეობით. მიღებულ რეზოლიუციებში ბესარაბიელები აცხადებენ, რომ ისინი არასოდეს არ შეურიგდებიან რუმინეთის ოკუპაციის საშინელებას. საბჭოთა კავშირის და სრულიად რუსეთის ცაკისადმი გაგზავნილ დეპეშებში ბესარაბიელები მოითხოვენ გადამჭრელ ზომების მიღებას ბესარაბიიდან რუმინეთის ჯარების გასაყვანად.

რა ხდება ინგლისში

განიარაღების საკითხი.

ლონდონი, 18 აპრილი. მუშათა პარტიის წევრთა პატარა ჯგუფმა, მათ შორის მემარცხენე ფრთის ყველაზე ცნობილმა წარმომადგენლებმა (ლანსბერიმ, მაქსტონმა და სხვ.) შეიტანეს რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს ინგლისის არმიის შემცირებას 150,000 კაცით, რაც სინამდვილეში უდრის სრულ განიარაღებას. ამ ჯგუფის სახელით გამოსული ორატორები აღნიშნავდენ, რომ ინგლისმა უნ-

მუშათა კოოპერაციის პურის ცხობის საქმე საფრთხეშია

როგორც ცნობილია მუშათა კოოპერაციას დავალებული აქვს სხვათა შორის დაპყრობა პურის ბაზრისაც. ეს დავალება არა ერთხელ იყო გაშუქებული პრესაში. და უნდა ვსთქვათ, რომ მუშათა კოოპერაცია ნამდვილად დადგა ამ გზაზე. ამიერკავკასიის მუშათა კოოპერაციის საერთო მუშაობაში მან დაიჭირა უმთავრესი ადგილი.

მაგალითად ა—კ. რკინის გზის კოოპერატივი აცხობს 800 ფ. დღეში, ბაქოს კოოპერატივთა კავშირი 1000 ფ., ტფილისის მუშათა კოოპერატივმა კი 60 ფუთიდან პურის გამოცხობა მიიყვანა 1200 ფუთამდე, ესე იგი აკმაყოფილებს თითქმის 25 პროც. ქ. ტფილისის მცხოვრებლებისას. რაც შეეხება მუშების დაკმაყოფილებას—ამას ის ახერხებს თითქმის ასი პროცენტით რომ ავიღოთ რკინის გზის კოოპერატივის და მუშათა კოოპერატივის მიერ გამოცხობილი პურის რაოდენობა, დავინახავთ, რომ კმაყოფილდება თითქმის 35 პროც. მთელი მცხოვრებლებისა.

ზემოთ მოყვანილი ციფრები ჩვენ გვიჩვენებენ, რომ პურის ცხობის დარგი მუშათა კოოპერაციაში თანდათან ვითარდება და ძლიერდება. ახლო არის ის დრო, როდესაც მთელ ტფილისის ბაზარს კოოპერაცია ჩაიგდებს ხელში. წარსულში, რომ ჰქონოდა მუშათა კოოპერაციას საჭირო თანხები, აქამდისაც განხორციელებული იქნებოდა ფიქრი პურის ბაზარზე დიქტატორობის ხელში ჩაგდებისა.

მიუხედავად იმისა, რომ ტფილისის მუშათა კოოპერატივს არა აქვს საშუალება გამოჰყოს პურის საქმის განვითარებისთვის სათანადო თანხა, მაინც გამგეობამ წინადადება მისცა თავის სავაჭრო განყოფილებას აიყვანოს პურის გამოცხობა დღეში 2.000 ფუთამდე და ამავე დროს გაამრავლოს სპეციალური პურის დუქნები. ამ საშუალებით მთელ მცხოვრებთა პურით დაკმაყოფილების პროცენტი აიწევს თითქმის 50 პროც.-ამდე.

ეს არის კიდევ ერთი ნაბიჯი გამარჯვებისაკენ.

ამ საქმის განვითარებაში ხელს არ უწყობდენ მუშათა კოოპერაციას ყველა ორგანიზაციები, პარტიული, პროფესიონალური და საკრედიტო დაწესებულებანი. უმთავრესად დიდ დახმარებას მუშათა კოოპერაციას უწევდენ საკრედიტო დაწესებულებანი, რომლებიც ყოველივე საქონელზე თხოულობენ ნაღდ ჩერვონცებს; რაც კი შეეხება ფქვილს—ისინი იძლეოდენ დიდ შეღავათს. ასე იქცეოდენ, რადგან კარგად იციან, რომ პურს უჭირავს მუშის ბიუჯეტში უმთავრესი ადგილი და საჭირო არის ამ მხრივ მისცე მას საშუალება შეიძინოს იგი მუშათა კოოპერატივის საშუალებით. ამ დღეებში კი იყო დაშვებული ერთი დიდი შეცდომა. ეს არის ა. კ. შინა ვაჭრობის კომისიის დადგენილება: პურზე და ფქვილზედ ფასების შესახებ. დადგენილება გვაუწყებს, რომ ფქვილი უნდა მიეცეს როგორც მუშათა კოოპერაციას, აგრეთვე კერძო პირთ ერთ ფასში და პურზედ ფასიც უნდა იყოს გადაწყვეტილი ერთნაირი. რას ნიშნავს ეს, თუ არა მუშათა კოოპერაციის მიერ დაწყებულ საქმის ვნებას. ცხადია, რომ იმდენათ, რამდენადაც ჯერ მუშათა კოოპერატივს არა აქვს დაარსებული თავისი პურის დუქნები ქალაქის ყველა კუთხეში და იმდენად რამდენადაც ფასები იქნება გამოცხადებული ერთნაირ კერძო დუქნებში და კოოპერატივში—მომხმარებელი იყიდის პურს იქ, სადაც იმისთვის მოხერხებულია. ამას შედეგად კი მოჰყვება თანდათან პურის ცხობის დაკლება, რაც გააორკეცებს საორგანიზაციო ხარჯებს და შესაძლებელია იძულებული გახადოს მუშათა კოოპერაცია მოახდინოს პურის ცხობის საქმის ლიკვიდაცია.

ვგონებ, რომ მუშა კი არ არის კოოპერაციისათვის, არამედ კოოპერაცია უნდა ემსახურებოდეს მუშას და სულ ერთი არ არის, თუ ყველგან იქნება ერთნაირი დაბალი ფასები. თუ კერძო მოვაჭრეს არ ეყოლება კონკურენტი და ამისთანა კონკურენტი კი არის მუშათა კოოპერაცია, რომელიც იძულებული გახდება, თანახმად ზემოხსენებული დადგენილებისა, თავი მიანებოს პურის ცხობის საქმეს და მოახდინოს მისი ლიკვიდაცია, მაშინ ვერავითარი კონტროლი ვერ აიძულებს კერძო ვაჭარს გაჰყიდოს პური ოფიციალურ ფასებში. ვაჭარი ეცდება მუდამ გაჰყიდოს უფრო ძვირად და ამავე დროს გაუშვას გასასყიდათ უბრალო ფქვილი.

ავიღოთ პატარა მაგალითი—ხორცით ვაჭრობა. ამ საქმეში საშ. ვაჭრ. კომისიას არ ჰყავდა დამხმარე საზოგადო ორგანიზაციებიდან, რადგანაც ამ უკანასკნელებს არა აქვთ შეთვისებული ეს საქმე. კომისიამ გამოაცხადა მაგარი ფასები ხორცზედ. ყასბების საერთო კრებამ კომისიის ზეგავლენით დაადგინა ხორცზედ ფასი 30 კ.—მხოლოდ სალამოზედ კი ჰყიდდენ 32 კ.—35 კაპეიკათ.

ეს მოელის პურის საქმესაც (პურის მცხობელთა საზოგადოებამ გადასწყვიტა გირვანქა პურის ფასი 9.—მხოლოდ ჰყიდის კი 10—12 კ.).

მაშასადამე ცხადია, რომ შინ. ვაჭრ. კომისიის გადაწყვეტილება საზარალოა მუშათა კოოპერაციის პურის ცხობის საქმისთვის, ამიტომ საჭიროა ეს დადგენილება ხელახლა იყოს გადასინჯული და დანიშნული იქნას როგორც ფქვილზედ, აგრეთვე პურზედ სხვადასხვა ფასები, მუშათა კოოპერაციისთვის და კერძო ვაჭრებისათვის.

ეს მოგვცემს ჩვენ საშუალებას 3—5 თვის განმავლობაში ჩავიგდოთ ხელში ტფილისის პურის ბაზარი და გავხდეთ მასი დიქტატორი.

ა. ერისთავი.

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი
წინადადებას იძლევა:
პარასკევს, 21 მარტს
ერთიან პარტიულ დღეს
ყველა უჯრედებში დაისვას საკითხი

ფულის რეფორმის შესახებ

პასუხისმგებელ ხელმძღვანელებისათვის ხუთშაბათს, 20 მარტს, საღამოს 7 საათზე პარტიულ კლუბში გაიმართება მოხსენება.
ტფილისის კომიტეტის მდივანი [illegible]

ტფილისის საბჭოს პრეზიდიუმი
ამით აცხადებს, რომ ორშაბათს ა/წ. 24 მარტს, საღამოს 6 საათზე სახალხო სახლში, (ყოფ. ზუბალაშვილის სახელობის)
დანიშნულია ტფილისის საბჭოს პლენუმის სხდომა.
დღის წესრიგი:
1. კომუნალური განყოფილების მოხსენება:
   ა) წარმოებები, ბ) კეთილ-მოწყობა, გ) ბინის საკითხი.
2. მიმდინარე საკითხები.

საბჭოს ყველა წევრებისათვის და კანდიდატებისათვის დასწრება სავალდებულოა.
967 2—1 პრეზიდიუმი

და უჩვენოს სხვას მაგალითი და რომ ომით არაფერი არასოდეს არ გაკეთებულა.

მუშათა პარტიის სხვა წევრები და ოპოზიციის წარმომადგენლები აღნიშნავდენ, რომ არავინ არ გაილაშქრებდა ამ ზომის წინააღმდეგ, თუ სხვა სახელმწიფოებიც დაეთანხმებოდენ, რომ საჭიროა განიარაღება. სამხედრო სამინისტროს საფინანსო მდივანმა განაცხადა, რომ მთავრობა იზიარებს მუშათა პარტიის უკანასკნელ კონფერენციის თვალსაზრისს, რომელიც კონფერენციაც ხმას აძლევდა სამხედრო კრედიტებს და ამავე დროს მოითხოვდა საყოველთაო განიარაღების კონფერენციის მოწვევას.

პარლამენტმა 340 ხმით წინააღმდეგ 13 ისა უარყო ეს წინადადება.

რატომ არიან მუშათა მასები აღშფოთებული ლოიდ ჩერჩილის საქციელით.

ლონდონი, 18 მარტი. ინგლისის მთელი პრესა ფიქრობს, რომ მუშათა პარტიის კანდიდატის ბროკვეის შანსები დამატებითი არჩევნებში ვესტმინსტერში უფრო დიდია, ვიდრე ჩერჩილის შანსები. ბროკვეი უარყოფს ხმებს იმის შესახებ, რომ თითქოს მუშათა პარტია ობსტრუქციას მართავს ჩერჩილის მიტინგებზე. ბროკვეიმ განაცხადა: „თუ ჩერჩილს აწყვეტინებენ სიტყვას მიტინგებზე, ეს აიხსნება მსმენელთა აღშფოთებით, რომელიც გამოწვეულია მისი აგრესიული პოლიტიკით საბჭოთა რუსეთის და ინგლისის მუშათა კლასის წინააღმდეგ“.

სხვადასხვა ამბები

უნგრეთი

5 000 სამთომადნო მუშათა გაფიცვა.

ვენა 18 მარტი. დუნაის იქითა რაიონის 3 მაღაროებში 5 000 სამთომადნო მუშამ გამოაცხადა გაფიცვა, ვინაიდან მაღაროების მეპატრონეებმა უარი განაცხადეს ხელფასის 50 პროცენტით გადიდებაზე.

ნორვეგია

ლოკაუტ გამოცხადებულ მუშების დემონსტრაცია.

ქრისტიანია. 18 მარტი გაიმართა ლოკაუტ-გამოცხადებულ მუშების დემონსტრაცია, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 20.000 კაცმა. რამდენიმე ათასი მუშა გაემართა ნავთსადგურებისაკენ შტრეიკ-ბრეხერების გარეკის მიზნით. მოხდა შეტაკება პოლიციასთან რამდენიმე მუშა დაპატიმრებულია.

ამერიკა

სპეკულიაცია „საიდუმლო“ მოლაპარაკების დროს.

ნიუ-იორკი. 18 მარტი. ვაშინგტონის ბირჟების მაკლერთა ბარათების შემოწმებამ გამოარკვია, რომ დოგერტი, კულიჯის მდივანი სლემპა, ორი სენატორი და წარმომადგენელთა პალატის რამდენიმე წევრი ყიდულობდენ სინკლერის და დოჰენის ნავთის აქციებს საიდუმლო მოლაპარაკების დროს; მოლაპარაკება შეეხებოდა ამ საზოგადოებებისათვის სახელმწიფო ნავთის წყაროების კონცესიების მიცემას.

მოგზაურობა დედამიწის გარშემო ჰაეროპლანებით.

ნიუ-იორკი. 18 მარტი. ამერიკის 3 სამხედრო ჰაეროპლანი კალიფორნიიდან იწყებს მოგზაურობას დედამიწის გარშემო შემდეგი მარშრუტით: ალასკა—იაპონია, ჩინეთი—ინდოეთი—სპარსეთი — ოსმალეთი — ავსტრია—გერმანია — საფრანგეთი— ინგლისი—კანადა—შეერთებული შტატები.

იტალია

ცეცხლში დაიწვა 19 მუშა.

რომი. 19 მარტი. ტურინში სრულიად ცეცხლისაგან განადგურდა [illegible] ფაბრიკის შენობა. ხანძარი გაჩნდა ასაფეთქებელ ნივთიერებების აფეთქების გამო. დაიწვა 19 მუშა, მათ შორის 18 ქალი.

შეხლა-შემოხლა რუმინეთთან.

რომი. 19 მარტი. „ფოსიშე ცეიტუნგის“ ცნობით, დამოკიდებულება იტალიისა და რუმინეთს შორის ძალიან გაცხოველდა, იტალიის ნოტის გამო, რომელიც მოითხოვს რუმინეთის მიერ გაძარცვულ ქონების დაფარვას, (სამხედრო [illegible] სისრულეში მოიყვანეს) რუმინეთმა უპასუხა იტალიის ნოტაზე ენერგიული ტონით.

სამხედრო სასამართლოს მოთხოვნით.

რომი. 20 მარტი. როგორც პარიზიდან იტყობინებიან, გენერალური შტაბის სამხედრო სასამართლოს მოთხოვნით პოლიციამ კომუნისტების ბინაზე ჩხრეკა მოახდინა.

მეზღვაურების გაფიცვა.

ბერლინი. 20 მარტი. ჰავრში სამშაბათს გამოცხადდა მეზღვაურთა გაფიცვა; ისინი მოითხოვენ შრომის ხელფასის გადიდებას. გაფიცულებმა საფრანგეთის ყველა მეზღვაურებს მიმართეს მოწოდებით, რომელშიაც სთხოვენ მათ შეუერთდენ გაფიცვას.

ჰეჯაზი.

ჰეჯაზის ხალიფა.

მოსკოვი. 19 მარტი. არაბეთის სამეფოს ჰეჯასის გარეშე საქმეთა სამინისტრომ აცნობა გარეშე საქმეთა სახ. კომისარს ამხ. ჩიჩერინს, რომ ჰეჯასის მეფემ მიიღო ხალიფობა მაჰმადიანთა ყველა სასულიერო პირთა თხოვნით.

ბელგია

საფრანგეთის გავლენის ქვეშ.

პარიზი. 7 მარტი. „იუმანიტეს“ ცნობით საფრანგეთსა და ინგლისს შორის მოსალოდნელ კონფლიქტის გამო, ბელგიის მთავრობას საფრანგეთის ზეგავლენით, განზრახული აქვს გადააქციოს ზებრიუგე ძლიერ საზღვაო ბაზად. მთელი მოწყობილება შეძენილი იქნება საფრანგეთის „დეფორჟის“ კომიტეტში.

ბელგიასა და ჩრდილოეთ საფრანგეთს შორის განზრახულია ახალ სტრატეგიულ რკინის გზების გაყვანა.

საფრანგეთი

ტრენი და კაშენი ისევ ციხეში ჩასვეს.

პარიზი. 16 მარტი. საფრანგეთის კომუნისტებს ტრენს და კაშენს მიუსაჯეს 4 თვის ციხე და 1000 ფრანკით დაჯარიმება „იუმანიტეში“ ისეთი წერილის მოთავსებისათვის, რომელშიაც გამოთქმულია კომუნისტების იმედი იმაზე, რომ საფრანგეთის არმიაში აღმოჩნდებიან „ათასი მარატები“, რომლებიც უარს იტყვიან გერმანიის რევოლიუციის წინააღმდეგ ბრძოლაზე.

გაფიცულია 10 000 მელითონე.

ბერლინი. 19 მარტი. სენტ-ეტიენის რაიონში გაიფიცა 10.000 მუშა-მელითონე.

ინდოეთი

ყუმბარების ფაბრიკა.

ლონდონი 17 მარტი. კალკუტაში პოლიციამ აღმოაჩინა ყუმბარების ქარხანა. დაპატიმრებულია ერთი ინგლისელი სამხედრო მოხელე

ბულგარეთი

გრძელდება რევოლიუციური პარტიების შევიწროება.

ვენა. 17 მარტი. განიხილა რა იუსტიციის მინისტრის წინადადება კომპარტიის, ახალგაზრდობის კომკავშირის, მუშათა პარტიის და „განთავისუფლების“ კავშირის დაშლის შესახებ, ბულგარეთის საკასაციო სასამართლომ მოითხოვა ამ ორგანიზაციებიდან წერილობითი განცხადების შემოტანა ხუთი დღის ვადაში.

პოლონეთი

დასავლეთი უკრაინა.

ხარკოვი. 20 მარტი. ლტოლვილ გალიციელების ცნობით, პოლონეთის ხელისუფლება გალიციის უკრაინელების შორის ახდენს მასიურ დატუსაღებას და ჩხრეკას უკრაინელი მუშები—გალიციის მცხოვრებლები თავის ქვეყანას უწოდებენ არა მცირე პოლონეთს, არამედ დასავლეთ უკრაინას. გალიციის კომპარტიამ ანგარიში გაუწია პროლეტარიატის მოთხოვნილებებს და გამოიცვალა სახელი; ამიერიდან მას ეწოდება დასავლეთ უკრაინის კომუნისტური პარტია.

ირლანდია.

სამხედრო აჯანყება.

ლონდონი. 20 მარტი. დუბლინიდან მიღებული ცნობით, სამშაბათს დამდეგი სამხედრო აჯანყების გამო, ქალაქში დადიოდენ პატრულები. დაპატიმრებულია 40 ოფიცერი. შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგმა [illegible] განაცხადა ირლანდიის პარლამენტში, რომ გადადგა სამხედრო მინისტრი გენერალი მულკახი, რასაც მოჰყვება გენერალური შტაბის გადადგომაც.

პორტუგალია.

მოხელეების გაფიცვა.

პარიზი. 20 მარტი. ლისაბონში გაიფიცნენ სამოქალაქო მოხელეები.

ოსმალეთი

ხალიფის წინააღმდეგ.

ანგორა. 9 მარტი. ყოფილი ხალიფის მოწოდებამ ანგორაში და მთელს ოსმალეთში დიდი აღელვება გამოიწვია. ოსმალეთის დიდი ეროვნული [illegible] გააუქმონ ყოფილი ხალიფისათვის დანიშნული ჯამაგირი და ჩამოართვან მას მთელი ქონება. ოსმალეთის მთავრობა, გაზეთების სიტყვით, გულგრილად უყურებს მოწოდებას და მას სთვლის „ოსმანთა დინასტიის უკანასკნელ ლალატათ“.

ლოზანის ხელშეკრულების რატიფიკაციის გარშემო.

ანგორა, 19 მარტი. იტალიის მიერ ლოზანის ხელშეკრულების რატიფიკაციას მთელი პრესა კმაყოფილებით აღნიშნავს. გაზეთები აღნიშნავენ, რომ ახლო მომავალში ინგლისიც დაამტკიცებს ხელშეკრულებას და ხაზს უსვამენ, რომ წინააღმდეგ მოლოდინისა საფრანგეთი უკანასკნელად დაამტკიცებს ამ ხელშეკრულებას, რითაც ის ბევრ რამეს კარგავს ოსმალეთში. პარიზის ასეთი პოზიცია, გაზეთების სიტყვით მეტად სამწუხაროა.

როგორ იცავენ ფრანგები თავის ავტორიტეტს სირიაში.

ანგორა. 19 მარტი. სირიის საზღვარზე, ხასსის რაიონში, მცხოვრებლებმა უარი განაცხადეს გადიდებულ გადასახადების შეტანაზე. გაგზავნილ იქნა დამსჯელი ძალები. მოხდა შეტაკება სირიელებთან, რასაც შედეგად მოჰყვა 100 ფრანგი ჯარისკაცის და 3 ოფიცრის მოკვლა. სირიელები გარბიან ოსმალეთში, რადგან რეპრესიების ეშინიათ პრესა აღშფოთებით აღნიშნავს ფრანგების მიერ დაყენებულ ფედერატიულ მთავრობების განზრახვას ალექსანდრეტტას შემოერთების შესახებ.

კონსტიტუციის დამტკიცება მეჯლისის მიერ.

ანგორა. 17 მარტი. მეჯლისმა მიიღო კონსტიტუციის მთელი რიგი მუხლებისა. ოსმალეთს ექნება რესპუბლიკის სახელწოდება: წინადადება სიტყვა „სახალხოს“ დამატების შესახებ უარყოფილია. სატახტო ქალაქად რჩება ანგორა. აქტიური საარჩევნო უფლება ეძლევა ყველა წერა-კითხვის მცოდნე ოსმალო-მამაკაცებს, რომელთაც შეუსრულდათ 30 წელი მეჯლისის სესია გრძელდება 4 წლიწადი,

წითელ რესპუბლიკაში

რუსეთი

ამხ. სიმაშკო ვლადივოსტოკში.

ვლადივოსტოკი. 20 მარტი. ვლადივოსტოკში ჩავიდა ჯანმრთელობის სახ. კომისარი ამხ. სიმაშკო.

ვინ უნდა იქნას უშუალოთ მიღებული სამუშაოზე.

მოსკოვი. 20 მარტი. საბჭოთა კავშირის შრომის სახ. კომისარიატმა გამოაქვეყნა თანამდებობათა ახალი სია, რომელზედაც ვრცელდება სამსახურში უშუალოთ მიღების უფლება შემდეგი რეგისტრაციით: ექიმები, სტატისტიკოსები, ხელმძღვანელები, სამეურნეო დაწესებულებათა მასწავლებლები, განყოფილებათა უფროსები და მათი თანაშემწენი. ნებადართულია აგრეთვე შემდეგი რეგისტრაციით მიღებული იქნან მაღაზიების დარაჯები, შეიარაღებული გუშაგები, კონტროლიორები, ფულის ამკრებნი და იმ პროფესიების პირნი, რომელნიც მოითხოვენ პირად ნდობას.

ქვაბები ადგილობრივ მზადდება.

ხარკოვი. 20 მარტი. სამხრეთის მანქანათა სამშენებლო ტრესტმა მიიღო ხარკოვის ელექტრონის სადგურის დაკვეთა ახალ ქვაბების დასამზადებლად; ეს ქვაბები დღემდის მხოლოდ და მხოლოდ საზღვარ-გარედ მზადდებოდა.

საკავშირო მეტალურგიის სამეცნიერო მუშაკთა ყრილობა

მოსკოვი. 20 მარტი. საბჭოთა კავშირის სახ. კომისართა საბჭომ ნება დართო სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მოიწვიოს აპრილში ლენინგრადში მეტალურგიის სამეცნიერო მოღვაწეთა ყრილობა.

პერიოდულ გამოცემათა უბაჟოთ შემოტანა

მოსკოვი. 20 მარტი. საკავშირო სახ. კომისართა საბჭომ სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს უცხოეთის მეცნიერების და ტეხნიკის ბიუროს მიანიჭა უფლება უბაჟოთ შემოიტანოს კავშირის საზღვრებში პერიოდული გამოცემანი.

უმაღლეს სასწავლებლებში მიღების წესები.

მოსკოვი 20 მარტი. პროფგანათლების მთავარ სამმართველოს კოლეგიამ დაამტკიცა უმაღლეს სასწავლებლებში მიღების წესები 1924 წლისათვის. განცხადებები მიიღება 1—5 ავგისტომდე უმაღლეს სასწავლებლებში ყოველგვარ გამოცდების გარეშე პირველ რიგში მიიღებიან მუშფაკების კურსდამთავრებულები დარჩენილი ადგილები ნაწილდება შემდეგნაირად: რუსეთის კომპარტიის ცეკას მივლინებით—25 პროც., სრულ. რუს. პროფკ. ც. ცენტრ. საბჭოს მივლინებით – 30 პროც., რუსეთის ახკომკავშირის—25 პროც., მშრომელი გლეხობა და სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლებული ინვალიდები—15 პროც., საბჭოთა რესპუბლიკების კავშირთა მივლინებით—5 პროც.

საინტერესო ისტორიული აღმოჩენა.

მოსკოვი. 20 მარტი. რუსეთის კომპარტიის ცეკას პარტისმა მიიღო პარტიის მოსკოვის განყოფილებისაგან ცნობა თუნუქის ფიცრის აღმოჩენის შესახებ; ფიცარზე არის წარწერა და იგი ეკუთვნის გლეხთა აჯანყების ხანას 1650 წ. ალექსეი მიხეილოვიჩის მეფობის დროს.

მოსკოვის მუშების საშუალებებით.

მოსკოვი. 20 მარტი. გერმანიის ბავშვთა დახმარების ლიგის მოსკოვის კომიტეტმა მიიღო ცნობა იმის შესახებ, რომ მოსკოვის მუშების საშუალებებით ესსენში გაიხსნა, ქალთა საერთაშორისო დღეს 8 მარტს, სასადილო 500 ბავშვისათვის.

რუსეთის პური უცხოეთის ბაზარზე

საუბარი ამხ. კრასინთან

ხარკოვი. 20 მარტი. ხარკოვში ჩასულმა საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარმა ამხ. კრასინმა პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის პურმა საერთაშორისო ბაზარზე ერთბაშად დაიჭირა მტკიცე პოზიცია და მთლიანად განდევნა მთელი რიგი კონკურენტები. პურის ექსპორტის გეგმა მიმდინარე წელში უეჭველად შესრულებული იქნება; შესრულებული იქნება აგრეთვე წინეთ მიღებული ვალდებულებები. ფინეთში, ბალტიის მხარეში და ოსმალეთში, რომელნიც მთლიანად გადავიდენ საბჭოთა პურზე, გრძელდება ახალი შეკვეთის მიღება. შეეხო რა საერთაშორისო პოლიტიკის საკითხს, ამხ. კრასინმა აღნიშნა, რომ საბჭოთა მთავრობა იმ შემთხვევაში, თუ მას მიცემული ექნება მნიშვნელოვანი სესხი უარს არ იტყვის განიხილოს საკითხი ცალკე ვალების ცნობის შესახებ, მაგრამ ის კატეგორიულად უარს ამბობს პრინციპიალურად იცნოს ვალები და ვალდებულებები, დააბრუნოს ნაციონალიზაციის წესით ჩამორთმეული ქონება და დააკმაყოფილოს წინანდელი მეპატრონეები. „ჩვენ წინააღმდეგი არ ვართ — სთქვა ამხ. კრასინმა — კონცესიები დავდოთ ცალკე ყოფილ მესაკუთრეებთან, მაგრამ, რასაკვირველია, ამ კონცესიების პირობებმა უნდა უზრუნველყონ საბჭოთა კავშირის ინტერესები“.

პარტიული ცხოვრება

დისკუსია

ცენტრალური პარტიული კლუბი მართავს დისკუსიას შემდეგ საკითხზე: „პარტიული პოლიტიკა ლიტერატურაში“.

ამხ. ლომინაძე, არჩილ მიქაძე, სანდრო ეული, რ. კალაძე, ზოლოთელი, აკობ აკობაიანი, კვირიკაძე, გ რუბაძე, კრუგლიკოვი, გიკოვი, სუტირინი, ზვარკი, იგნატიევი, კუროიაში, მედვედევი, ნეჩკოვი, როვინი, კურო, ახჩარსკი, კუზინი, სტ. ასილოვი, რიაბინოვიჩი, კრეიტნი და დისკუსიაში მონაწილეობის მიღების მსურველი ამხანაგები მოწვეული არიან წინასწარ თათბირზე 24 მარტს, საღამოს 7 საათზე

სასურველია, რომ დისკუსიაში მონაწილეობის მიღების მსურველებმა წარმოადგინონ წინასწარ თათბირზე თეზისები, რომელშიაც გამოთქმული იქნება საკუთარი თვალსაზრისი საკამათო საკითხის შესახებ.

პარტიული კლუბის გამგეობა.

ფოთის ტრანსპორტის მუშები მოდიან ლენინის პარტიაში

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც მოხდა სატრანსპორტო კავშირის კომუჯრედის დაყოფა წარმოების მიხედვით.

წინეთ კი კავშირში არსებობდა ერთი უჯრედი, რომელიც აერთიანებდა პარტიის 120 წევრზე მეტს, რაც მუშაობას აფერხებდა თავის სიმრავლით და სხვადასხვა წარმოებაზე მიმაგრებული ამხანაგების ერთ ადგილას თავის მოყრით.

პირველად თვით კომუჯრედში დაიბადა კითხვა უჯრედის დაარსების წარმოების მიხედვით და კითხვა გადატანილი იყო პარტიულ კომიტეტში. ამ დროს ჩამოვიდა ცენტრალური კომიტეტის სატრანსპორტო ქვეგანყოფილების გამგე ამხ. ცაბაძე, რომელმაც პარტიულ კომიტეტთან და სატრანსპორტო უჯრედების ბიუროსთან ერთად შეთანხმებით მოახდინა [illegible] მიხედვით, ამ რიგათ დანაწილებული იქნა ამხანაგები სატრანსპორტო უჯრედებში.

მარგანეცის კომუჯრედიდან გადაყვანილი იქნა რკინისგზის უჯრედში —10 ამხ., მეზღვაურთა უჯრედში—10 ამხ., და თეთრი ტვირთის უჯრედში – 15 ამხ. ამრიგათ კიდევ დარჩა მარგანეცის უჯრედში—54 ამხ.

სხვადასხვა ზემოაღნიშნულ უჯრედებმა მარგანეცის უჯრედი გადმოაგზავნეს ერთი ერთი ბიუროს კავშირისათვის თითო ამხანაგი. ამრიგად მოხდა მარგანეცზე მომუშავეთა კომუჯრედის კრება უპარტიოებთან ერთად—12 მარტს 1924 წლ. სადაც დაესწრო—650 კაცი, დღის წესრიგში იდგა შემდეგი კითხვები.

1) თებერვლის რევოლიუციის 7 წლის თავი.

2) დოკებთან მომუშავეთა მუშე- [illegible]

როგორც პირველზე, ისე მეორე კითხვაზე მოხსენება ვრცლად გააკეთა ამხ. ბ. გოგიამ მკაფიოდ და გასაგებ ენაზე, რის შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელიც შემდეგი სიტყვებით თავდება:

„ჩვენ როგორც წინეთ ისე ეხლაც მზად ვართ მთელი ჩვენი ენერგიით ვიბრძოლოთ ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვართა დასაცავად მუშათა კლასის სრული გამარჯვებამდე, კომუნიზმამდე“.

გაუმარჯოს საერთაშორისო კომუნისტურ პარტიას! გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას მთელ მსოფლიოში! გაუმარჯოს კომუნიზმს!

მეორე კითხვაზე მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

„მოისმინა რა ამხ. გოგიას მოხსენება საერთო კრებამ დოკზე მომუშავეთა მუშების კომუნისტური პარტიაში მიღების შესახებ, კრება აღნიშნავს, რომ ჩვენი ბელადი მასწავლებელი ამხ. ლენინის გარდაცვალების შემდეგ თითეული შეგნებული მუშა ვალდებულია თუ კი ის ღირსია ამ უდიდეს სახელწოდების ტარების დაუყონებლივ ჩაუდგეს პარტიის რიგებს, რომელსაც მოაკლდა ამხ. ლენინი. ჩვენ საკმარისად არ მიგვაჩნია ის ნორმა, რომელიც მიღებული აქვს კომუნისტური პარტიის უმაღლეს ორგანოებს. ამას დაამტკიცებს მთელი კავშირის მუშათა კლასი. მუშათა კლასმა თავი უნდა მოიყაროს კომპარტიის დროშის ქვეშ. შორს არ არის ის დღე, როდესაც არც ერთი მუშა არ იქნება პარტიის გარეთ ჩვენ დაუმტკიცებთ ჩვენს მტრებს, რომ მათი იმედები, როგორც არა ერთხელ ისე ეხლაც ამხ. ლენინის სიკვდილის შემდეგ ისევ გაუცრუვდებათ, რადგან ჩვენ შეიარაღებული ვართ ისეთი პარტიით და მოძღვრებით, ბრძოლის მეთოდებით, რომლიც დაგვიტოვა დიდმა მასწავლებელმა მარქსმა და ამხ. ლენინმა.

გაუმარჯოს კომუნისტური პარტიას.

გაუმარჯოს ლენინის მოწვევის მუშებს.

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას...

რეზოლიუციის შემდეგ აცხადებენ სურვილს და ეწერებიან კომპარტიაში მისაღებათ შემდეგი 100 ამხანაგები.

ცინცაძე ბეჟან, თავზერიძე კოწია, კარცხალია სტეფანე, ჰანტურია ალექსანდრე, ელენტი ლადიკო, შაფათავა ილიკო, ლოლუა ონისიმე, ლომიძე მირიან, კუპრეიშვილი დავით, ფილია დავითი, ნასარეიშვილი დიონოზ, შუღლაია ვარლამი, გაბისონია ირადიონ, არასამია მალაქია, აბამია რაჟდენ, გურამია ბიქტორ, მანწკავა ალექსანდრე, დარსმელია ლავრენტი, შენგელია თადეოზ, კუტუბიძე ილიკო, კოპალიძე ანტონ, გოგინაშვილი დათიკო, სიხარულიძე ივანე, ხორავა აქსენტი, კილასონია ვანო, კასრაძე პავლე, პაპაძე ვარდენ, კოდუა კოსტა, ლაბარტყავა სამსონ, შუღლაია კოსტა, დუმბაძე ილიკო, ჯიმშელაშვილი ანტონ, ცხოვარია ალექსანდრე, აბუჯანია სპირიდონ, ფირცხალავა ვასილი, გაბესკირია იროკლი, ქორქია პლატონ, შენგელია ივლიანე, ფიოლია იოსები, ქოროქია ყაიმან, კალანდაძე ფარნაოზ, ელენტი გიორგი, ელიზბარაშვილი მამა, ბახტაძე ნიკო, ქოჩქიაშვილი გედევან, აბუჯახია იაგო, ლაკავა სარდიონი, მამფორია სვიმონ, დოლიძე რაფიელ, ბერაძე სევერიანე, სალაყაია კუკუ, დოლიძე კოოკოჯი, მახარაძე ილარიონ, ბოკუა გრიგოლი, ჩინტლია იოსები, ჯაბუა იულიანე, ქუჩაიშვილი სამსონ, ჯაში ილიკო, ლოლუა გიორგი, მელიქია თეოდორე, ბარამიძე გიორგი, ჯორბენაძე მელიტონ, ჯანაძე კირილე, ქუჩაარია პავლე, ბახდეიშვილი ერმილე, ქუტალია ივანე, გაბელია ვანო, დავითაია თეოფანე, დავითაია ფარნაოზ, გუდავაძე ლევანი, შუღლაია იოსები, გვაჯაიძე მელიტონ, ლომაია ივანე, კვიტაძე ერმილე, ეფრემიძე ილარიონ, ვეფხულაშვილი სამსონ, ქელიაია სარდიონ, დიხელაია იოსები, მელქაძე ილარიონ, ანთიძე იროკლი, ქეპრავა იაგორ, ზოიძე ი., კუტუბიძე ი., კოჩუა ა., თავდგირიძე მოსე, კოპალავა იოსებ, ერქვანია პლატონ, მურადოვი დიმიტრი, იაბულეიშვილი ანტონ, ფილია იროკლი, ცილორავა სამსონ, ხახნელიძე თედორე, ხარებავა ძუკუ, თავზერიძე ნოე, ხურცია ლადო, სტურუა ალექსანდრე, შულაია ფარნა, ძილორავა გრიგოლი, კობაია მიხა, ფრუიძე გრიგოლი.

ამნაირად გამოეხმაურა ფოთის პროლეტარიატი ლენინის პარტიის მოწოდებას.

ს. ფრუიძე.

დროშის გადაცემა ალმასკომის კომკავშირის უჯრედში

17 მარტს ორშაბათს ნაშუადღევის 3 საათზე, ალმასკომის დარბაზში შესდგა საზეიმო სხდომა ტფ. ალმასკომის ახალგ. კომკავშირის უჯრედისა ამხ. კომუჯრედთან და უპარტიო თანამშრომელთან ერთად.

სხდომაზე მოხდა უპარტიო ახალგაზრდობის მიერ დროშის გადაცემა კომუჯრედზე მთელი დარბაზი სავსე იყო დროშებით. წინა კედლის შუა ადგილზე ამართული იყო ლენინის დიდი სურათი საპატიო ყარაულებით.

საზეიმო სხდომას ხსნის ამხ. მიქელაძე (მუსიკა ასრულებს „ინტერნაციონალს“). პრეზიდიუმში არჩეულია შემდეგი ამხანაგები: მიქელაძე, ხომერიკი, ედიგაროვი, მანასიანი და მშვენიერიძე. საპატიო თავმჯდომარეთ საზეიმო სხდომისა არჩეულ იქნა ამხ ლ. ტროცკი.

უპარტიო ახალგაზრდობის სახელით პირველი სიტყვით გამოდის ამხ. ქობალავა, რომელიც უკეთებს რა ანალიზს ახალგაზრდობის მოძრაობას და კომკავშირის როლს მსოფლიო პროლეტარულ მოძრაობაში ამბობს, რომ ამ ფაქტისთვის არ შეიძლებოდა ანგარიში არ გაგვეწია და ერთხელ და სამუდამოთ არ გვეთქვა ჩვენი სიტყვა. დღეს ნიშნად ხმობისა და თანაგრძნობის გიძღვნით წითელ დროშას კარლის, როზას და ბორისის სახეებით და გეუბნებით, რომ მათებრ ფოლადისებურ ნებისყოფით, მათებრ გაასკეცებულ ბრძოლით და ენერგიით იდეისადმი გისურვებთ წინსვლას პროლეტარულ რევოლიუციონურ ახალგაზრდობას. იდეოლოგიურ, პოლიტიკურ, ეკონომიურ თუ ბრძოლის ფრონტზე გასწით წინ, დაჭიმეთ ძარღვები. ეს თქვენ უნდა შეასრულოთ, ეს ღირსება თქვენ გარგუნათ ისტორიამ, ამიერიდან გიერთდებით და გეუბნებით: „ჩვენ თქვენთანა ვართ“.

ამხ. ქობალავამ ამის შემდეგ გადასცა წითელი დროშა კომკავშირის წარმომადგენლს.

აუდიტორია ფეხზე ადგომით პატივს სცემს კარლის, როზას და ბორისის (ძელაძის) ხსოვნას, მუსიკა ასრულებს სამგლოვიარო ჰიმნს. საპასუხო სიტყვით გამოდის ამხ. მიქელაძე, რომელიც უჯრედის სახელით გამოსთქვამს ალფრთოვანებას უპარტიო ახალგაზრდობის ასეთი გამოსვლით. ის ამბობს, რომ კომუნისტური ახალგაზრდობა ლენინიზმით გამსჭვალული შეასრულებს პირნათლად თავის მოვალეობას.

აუდიტორია დგება ფეხზე, მუსიკა ასრულებს სამგლოვიარო ჰიმნს. შემდეგი მისასალმებელი სიტყვით გამოდის ამხ. მანასიანი, ალმასკომის კომუჯრედის პასუხისმგებელი მდივანი. ის აღნიშნავს იმ გარემოებას თუ როგორ მოხდა, რომ კომპარტიამ მიიზიდა სიმპატია მშრომელი ხალხის. ის მოუწოდებს ამ ახალგაზრდობას რათა შემდეგში მაინც ხელიხელ ჩაკიდებული კომკავშირთან ერთად ეწარმოებიოს ბრძოლა.

შემდეგ გამოდის ამხ. ხომერიკი, რის შემდეგ სიტყვას იღებს ალმასკომის დარაჯი შუა ხნის ამხანაგი ზუბიაშვილი, რომელიც აღტაცებული ამ მოვლენით ბედნიერათ სთვლის თავს და უსურვებს უპარტიო ახალგაზრდობას გაემართლებიოს სიტყვები და ეუბნება რომ თქვენი ნაბიჯი მოსაწონია და რომ არ სცდებით. მისასალმებელი სიტყვით კიდევ გამოდის ალ. ელქტ. სამმართველოს კომკავშირის უჯრედის პასუხისმგებელი მდივანი ამხ. ოვანესოვი, რომლის სიტყვის შემდეგ იქნა მიღებული სათანადო რეზოლიუცია.

შემოსული იყო წინადადება, რათა ალმასკომთან დაარსებულ იქნას პოლიტიკური წრე, რის დამთავრების შემდეგ მსმენელები ჩარიცხული იქნებიან კომკავშირის კანდიდატებათ.

სხდომა დახურულ იქნა ინტერნაციონალის ჰიმნით.

მუშკორი ნინა ხადარაშვილი.

მენშევიკთა განთავისუფლება

საქართველოს საგანგებო კომისიის მიერ ამ დღეებში განთავისუფლებულია პატიმრობიდან შემდეგი მენშევიკები, რომლებიც დადგენ საბჭოთა ხელისუფლების და მე 3 კომუნისტური ინტერნაციონალის პლატფორმაზე:

1. თევზაძე სარდიონ ალექსისძე.
2. ჩომახია იოსებ ივანესძე
3. დოლიძე ვალიკო ივანესძე
4. გაჩეჩილაძე პლატონ გედევანისძე.
5. ელიაძე ნიკოლოზ ნიკიფორესძე.
6. კანდელაკი ალექსანდრე ეპიფანესძე
7. ჯუღელი ალექსანდრა სიმ. ასული.
8. კოჩიშვილი ანდრია გიორგისძე.
9. რატიშვილი ივანე ზაქარიასძე.
10. ხოფერია ეფროსინა ალ. ასული.
11. ჯანელიძე დიმიტრი სევასტის ძე.
12. გამყრელიძე შალვა გრამიტონისძე
13. ფხაკაძე ვლადიმერ ლაზარესძე.
14. გორდაძე პოლიკარპე თადეოზისძე
15. პაპუკიანი გრიგოლ იოსებისძე.
16. ჯაფარიძე თინა ნიკოლოზის ას.
17. რამიშვილი პიმენ ილარიონისძე.
18. მგალობლიშვილი შალვა ივლ. ძე.
19. ჯაფარიძე ლუკა ივანესძე.
20. ჯაფარიძე ვასილ ლუკასძე.
21. ბლიაძე სიმონ იოსების ძე.
22. პეტრიაშვილი ფილიპე ბერ.-ძე
23. სამყურაშვილი კოტე სიმონის ძე.
24. წერეთელი გრიგოლ იოსების ძე.
25. სარაძე გრიგოლ ლავრენტის ძე
26. ლომიძე ნიკოლოზ ივანეს ძე.
27. დოლიძე ივანე მათეს ძე.
28. სოხაძე მიხეილ ივანეს ძე.
29. რამიშვილი სერგო იოსების ძე.
30. გვანცელაძე ვალენტინა დიონის.
31. დავითაია ლუკა კონსტანტინესძე
32. თოხაძე მოსე ტრიფონ სძე
33. ხვედელიანი ვასილ სარდიონისძე
34. ცნობილაძე ნატალია გრიგ. ასული
35. ბაბუნაშვილი ელენა.
36. ფანჯავიძე გიორგი მერაბისძე.
37. მესხი სიმონა ალექსანდრესძე.
38. ნათაძე გიორგი გრიგოლისძე.
39. კიკნაძე დიმიტრი ნიკოლოზისძე.
40. მელია მირიან ლუკასძე.
41. ასაბიძე გიორგი იაგორისძე.
42. ჯაჯიაშვილი ილია ნესტორისძე.
43. ლაბაძე ვასილ იოსებისძე.
44. ქელიძე გრამიტონ პავლესძე.
45. კასრაძე ნინა გიორგის ასული.
46. ბიროზაშვილი თედორე მიხეილ.
47. ქელიძე შალვა.
48. სვანიძე გიორგი.
49. ღლონტი ვარლამ.

საქართველოს საგანგებო კომისიის კოლეგია.

ეკონომიური ცხოვრება

[illegible]
(21 მარტი)

ფუნტი სტერლინგი	— —	14 000 მილ.
ამერ. [illegible]	—	11 760 „
„ ჩეკები	—	11 400 „
[illegible] ეფექ.	—	2760 „
„ ჩეკები	—	2600 „
ოსმ. ქაღ. ლირა	—	1600 „
იტალიური ლირა	—	117 „
ფრანგული ფრანკი	—	135 ნახ.

ბიულეტენი

ა. ს. ხაზ. ფინკომთან არსებული კურსის დამწესებელი საგანგებო კომისიისა.
(21 მარტი)

ოქროს მანეთი 1.400 მილ

[illegible]
(21 მარტი)

პური 2 ხარ.— 82,000 ათასი, ძროხის ხორცი—378,000 ათასი, ღორის ხორცი 858,000 ათ. შაქარი რაფინადი 505.000 ათ., ფხვნილი შაქარი—365,000 ათ., ბრინჯი აღდაშის 140000 ათ. [illegible]—68,000

ტფილისის ბაზრის ფასები
(21 მარტი)

პური 1 ხ.—130000 ათ., პური 2 ხარ.—95 000, ძროხის ხორცი 480.000 ათ. ღორის ხორცი 450.000 ათ., შაქარი რაფინ. 520 000 ათ., შაქარი ფხვნილი 885,000 ბრინჯი აღდაშის 165000 ათ. კარტოფილი 85000 ათ.

ბირჟის მიწოდება.

მარსელის კრამიტი 1 ხარ., აგური, ქუთაისის კირი, ცარცი (ფხვნილი), თიხის მილები, მზესუმზირას ზეთი, მარტენის მავთული, ჩაი ცეილონის და ჩინეთის, ნაჭლევები (15 ათ. კონ.) სპილენძი (ფურც.), ტყავის ღვედები, „სახაროტრესტ“-ის პროდუქცია, „კოოპსინდიკატი“-ს პროდუქცია, ხორბალი და პურეული, „ხლებოპროდუქტ“-ის ფქვილი, რუს. მანუფაქტ., ქიმიური ნაწარმოები ფანჯრის მინა, კაუსტიური სოდა ასანთი რუს., სახ. მეურნ. საბჭო საპნის ტრესტის პროდუქცია (საპონი „პეტუხ“ და ტუალეტის, ნახშირი, [illegible] და სხვ.), [illegible] მიტყლი პაპიროსის ქაღალდი, ყავა „მოკკო“, თხილი, შაბიამანი, გაჯის ზაბი, გაზეთის ქაღალდი, საპონი „დოკატ“, მირტბილა, იტალიური გოგირდი, კარტონი, იხვლის. ფეხსაცმელები, კაოკე.

ბირჟის მოთხოვნილება.

ნედლი ტყავეულობა, შაბიამანი რუს. მანუფაქტურა, ყუბანის ფქვილი („როზმოლ“), ტეხნიკური ცხიმი, „კოოპსინდიკატ“-ის პროდუქცია, შაქარი რაფინადი და ფხვნილი, სალოთისა, მზესუმზირას ზეთი, პორტლანდის ცემენტი, ყუბანის ფქვილი (საკანდიტორო), ასანთი რუს, ქვა-მარილი ნახიჩევანის, გოგირდი თხილი, ტომრები, კვებრახის ექსტრაქტი, ტყავი ღვედები.

ოფიციალური ფასები

პურის ფქვილი („ნოლი“)—2 მან. ფუთი, ფრანკო გამყიდველის საწყობი.

ქვის ნახშირი მანქანის—1600 მან., ფრანკო გამყიდველის საწყობი.

ჩერვონცების და ა.-კავკასიის ბილეთების შედარება
(21 მარტი)

ჩერვ.	ბონით.	ჩერვ.	ბონით.
1 ჩ.—	14.000.000	56 ჩ.—	784.000.000
2 ჩ.—	28.000.000	57 ჩ.—	798 000.000
3 ჩ.—	42 000.000	58 ჩ.—	812.000.000
4 ჩ.—	56.000.000	59 ჩ.—	826.000.000
5 ჩ.—	70 000.000	60 ჩ.—	840.000.000
6 ჩ.—	84.000.000	61 ჩ.—	854.000.000
7 ჩ.—	98.000.000	62 ჩ.—	868.000.000
8 ჩ.—	112.000.000	63 ჩ.—	882.000.000
9 ჩ.—	126.000.000	64 ჩ.—	896.000.000
10 ჩ.—	140.000.000	65 ჩ.—	910.000.000
11 ჩ.—	154 000.000	66 ჩ.—	924 000.000
12 ჩ.—	168 000.000	67 ჩ.—	938.000.000
13 ჩ.—	182 000.000	68 ჩ.—	952 000.000
14 ჩ.—	196 000.000	69 ჩ.—	966.000.000
15 ჩ.—	210 000.000	70 ჩ.—	980.000.000
16 ჩ.—	224 000.000	71 ჩ.—	994.000.000
17 ჩ.—	238.000.000	72 ჩ.—	1.008.000.000
18 ჩ.—	252 000.000	73 ჩ.—	1.022.000.000
19 ჩ.—	266 000.000	74 ჩ.—	1.036.000.000
20 ჩ.—	280.000.000	75 ჩ.—	1 050 000.000
21 ჩ.—	294 000.000	76 ჩ.—	1.064 000.000
22 ჩ.—	308 000.000	77 ჩ.—	1.078 000.000
23 ჩ.—	322.000.000	78 ჩ.—	1.092.000.000
24 ჩ.—	336.000.000	79 ჩ.—	1.106 000.000
25 ჩ.—	350 000.000	80 ჩ.—	1.120.000.000
26 ჩ.—	364 000.000	81 ჩ.—	1.134 000 000
27 ჩ.—	378 000.000	82 ჩ.—	1.148.000.000
28 ჩ.—	392 000.000	83 ჩ.—	1.162 000.000
29 ჩ.—	406 000.000	84 ჩ.—	1.176 000 000
30 ჩ.—	420 000.000	85 ჩ.—	1.190.000.000
31 ჩ.—	434 000.000	86 ჩ.—	1.204 000.000
32 ჩ.—	448 000.000	87 ჩ.—	1.218.000.000
33 ჩ.—	462 000.000	88 ჩ.—	1.232 000.000
34 ჩ.—	476.000.000	89 ჩ.—	1.246.000.000
35 ჩ.—	490 000.000	90 ჩ.—	1.260.000.000
36 ჩ.—	504 000.000	91 ჩ.—	1.274.000.000
37 ჩ.—	518 000.000	92 ჩ.—	1.288 000.000
38 ჩ.—	532 000.000	93 ჩ.—	1.302.000.000
39 ჩ.—	546.000.000	94 ჩ.—	1.316 000.000
40 ჩ.—	560.000.000	95 ჩ.—	1.330 000.000
41 ჩ.—	574 000.000	96 ჩ.—	1.344.000.000
42 ჩ.—	588 000.000	97 ჩ.—	1.358 000.000
43 ჩ.—	602.000.000	98 ჩ.—	1.372 000.000
44 ჩ.—	616 000.000	99 ჩ.—	1.386 000.000
45 ჩ.—	630 000.000	1 ა	1.400.000.000
46 ჩ.—	644 000.000	2 ა.	2 800.000.000
47 ჩ.—	658 000.000	3 მ.—	4.200.000.000
48 ჩ.—	672.000.000	4 მ.—	5 600.000.000
49 ჩ.—	686 000.000	5 მ.—	7.000.000.000
50 ჩ.—	700 000.000	6 მ.—	8.400.000.000
51 ჩ.—	714 000.000	7 მ.—	9.800.000.000
52 ჩ.—	728 000.000	8 მ.—	11.200.000.000
53 ჩ.—	742 000.000	9 მ.—	12 600.000.000
54 ჩ.—	756 000.000	1 ჩერვ	14 000.000.000
55 ჩ.—	770.000.000		

ჩვენი მრეწველობა

ს. მ. უ. ლითონის განყოფილებაში

ლითონის განყოფილებაში შედის ხუთი წარმოება: ავტო-სახელოსნოები (სტალინის სახელობის), სამანქანო და თუჯის სადნობი ქარხანა („26 კომუნარის“ სახელობისა), მექანიკური ქარხანა (კალინინის სახელ.), სპილენძის დამმუშავებელი ქარხანა და ელექტრონის სადგური.

1923—1924 წ. საოპერაციო წლის პირველ კვარტალში (ოქტომბერი—დეკემბერი) ლითონის განყოფილების წარმოებების მოქმედება გამოიხატება შემდეგში:

ყველა წარმოებებში აღნიშნულ პერიოდის განმავლობაში ირიცხებოდა 307 მუშა და 40 მოსამსახურე, სულ 347 კაცი. მუშათა რიცხვის მიხედვით წარმოებათა შორის პირველი ადგილი უჭირავს სამანქანო ქარხანას, სადაც მუშაობს 183 მუშა და 22 მოსამსახურე.

ლითონის დამმუშავებელ მრეწველობაში ყველა წარმოებები აღნიშნულ მეოთხედში მუშაობდენ შეუწყვეტლად, გარდა სპილენძის ქარხნის, სადაც რემონტის და სათბობი მასალის უქონლობის გამო მუშაობა არ სწარმოებდა სულ 7 დღის განმავლობაში. ამ მხრივ დადებითი შედეგები მიღწეულია, რაც არ ითქმის, მუშათა გამოუცხადებლობაზე სხვადასხვა მიზეზების გამო უკანასკნელი მოვლენა აიხსნება ჩვენი მრეწველობის საერთო ფინანსიური მდგომარეობით, რომელიც აიძულებს მუშებს ქარხნის გარეშე ეძიონ სამუშაო.

სამუშაო დღეების რიცხვის მომატებამ უშუალოდ იმოქმედა წარმოებათა პროდუქციაზე, რომლის საერთო ღირებულება განისაზღვრება 128 760 ჩერ. მანეთით, რაც წინა მეოთხედთან შედარებით (103.380 მან.) აძლევს 25 პროც-ს მომატებას. ცალკე წარმოებების პროდუქცია გამოიხატება შემდეგ ციფრებით:

სპილენძის დამმუშავებელი ქარხანა: დამუშავებულია საანგარიშო თვეებში სპილენძის სხვა და სხვა ნაწარმოები—2130 ფუთი, 47,687 მ. ღირებულებისა. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ქარხნის საწარმოვო პროგრამა არ აღემატება 500 ფუთს თვეში, მაშინ დავინახავთ, რომ საანგარიშო თვეების პროდუქციამ საგრძნობლად გადააჭარბა პროგრამას.

პროდუქციის რეალიზაცია დაუბრკოლებლად სწარმოებს, ნაწარმოები საღდება უმეტესად ადგილობრივ ხელოსანთა და გლეხთა შორის. აღნიშნულ თვეებში გაყიდულია სულ 1,556 ფუთი, 26,336 მანეთისა.

კალინინის სახელობის მექანიკური ქარხანა, სამანქანო ქარხანა და ავტო-სახელოსნოები: ამ წარმოებებში სამი თვის განმავლობაში გა- [illegible] და ასრულებულია სხვადასხვა სამუშაოები სულ 81.073 მან; ამ რიცხვში არ შედის „გლავკომეტრ“-ის შეკვეთები, ჯერ კიდევ დაუმთავრებელი, რომელიც წარმოადგენს შესამჩნევ თანხას.

გასაღებულია პროდუქციის 65 პროც., 53 225 მანეთის ღირებულებისა.

აღსანიშნავია, რომ „26 კომუნარის“ სახელობის ქარხანა წარმატებით ასრულებს ტურბინების დამზადებას თავისი ძალებით (ცეკავშირისათვის და ალმასკომისათვის). აქამდე ტურბინები მოგვდიოდა საზღვარ გარეთიდან ან რუსეთის მსხვილ ქარხნებიდან.

საერთოდ, ლითონის მრეწველობის მთელი პროდუქცია უდრის ღირებულებით 128.760 მან. (წინა მეოთხედში 103.380), მაშასადამე მოგვეცა მომატება 25 პროც. ხოლო ყველა წარმოებების პროდუქციის რეალიზაცია—79.561 მან., რაც შეადგენს პროდუქციის ღირებულების 62 პროცენტს.

თამბაქოს ტრესტი.

მიმდინარე საოპერაციო წლის პირველ მეოთხედში 1923 წლის (ოქტომბერი-დეკემბერი) თამბაქოს ტრესტის განკარგულებაში თუმცა 11 წარმოება ირიცხებოდა, მაგრამ მათგან მხოლოდ რვა მუშაობდა (3 თამბაქოს ფაბრიკა) ტფილისში, ერთი ბათომში, ერთი ქუთაისში, ასანთის ფაბრიკა, კოლოფების ფაბრიკა და სახამებლის დამმუშავებელი (крахмальный) ქარხანა. ყველა დასახელებულ წარმოებებში დეკემბერში მუშაობდა სულ 1038 მუშა და 87 მოსამსახურე, ხოლო თამბაქოს მრეწველობაში 836 მუშა და 72 მოსამსახურე.

543 ნორმალური სამუშაო დღეებიდან ტრესტის წარმოებები მუშაობდენ 536 დღე, ე. ი. გაცდენილია მხოლოდ 7 დღე.

პროდუქცია: ტრესტის პროდუქციის საერთო ღირებულება აღნიშნულ პერიოდის განმავლობაში განისაზღვრება (გარდა ქუთაისის ფაბრიკის და სახამებლის ქარხნისა)— 1,486,041 მანეთით; აქედან თამბაქოს მრეწველობაზე მოდის—1402812 მ (95 პროც.), ასანთის ფაბრიკაზე 9220 მ. და კოლოფების ფაბრიკაზე —67,089 მან. წინა კვარტალთან შედარებით პროდუქციის ღირებულებამ იმატა 14 პროცენტით, კერძოდ—თამბაქოს პროდუქციამ 15 პროცენტით, კოლოფების—12 პროცენტით, რაც შეეხება ასანთის წარმოებას, ღირებულებამ დაიკლო— 23 პროცენტით.

საანგარიშო პერიოდში თამბაქოს მრეწველობამ მოგვცა: პაპიროსი 163,482 ათასი ცალი (წინა მეოთხედში—149,800), თამბაქო 194.148

საბჭოთა ფინანსების რეფორმა

ფული და ფულის რეფორმა

I
ოქროს ფული

კ. მარქსი ამბობს: „ფულის კრისტალი აუცილებელი ნაყოფია გაცვლის პროცესისა, რომელშიაც შრომის სხვადასხვა ნაყოფი ერთიმეორეს ფაქტიურად უსწორდება და, ამნაირად, ფაქტიურად (შრომის ნაყოფი. დ. თ.) საქონლად იქცევა... მაშასადამე, რამდენათაც შრომის ნაყოფის საქონლათ გადაქცევა ხორციელდება, იმდენათ ხორციელდება საქონლის ფულათ გადაქცევა“ (კაპიტალი, ტ. I გვ. 58). გაცვლის პროცესმა საქონელთა შორის, როგორც საყოველთაო ეკვივალენტი, გამოჰყო ოქრო. ყოველგვარი საქონელი ფულის ეკვივალენტია, და ფული კი საყოველთაო ეკვივალენტი. „თავის საკუთარ ღირებულების რაოდენობას ოქრო,— ამბობს მარქსი,— მხოლოდ შედარებით, სხვა საქონლის სახით გამოხატავს. მისი საკუთარი ღირებულება კი განისაზღვრება სამუშაო დროით, რომელიც მის დასამუშავებლათ აუცილებლად საჭიროა, და ეს (ღირებულება) გამოიხატება ყოველ სხვა საქონელში, რომელზედაც თანაბარი აუცილებელი სამუშაო დროა დახარჯული“ (იქვე, გვ. 57—58). ამნაირად, ფული გაცვლის იარაღია, რომლის საშუალებით „საქონლის ღირებულება გაიზომება“.

II
„ქაღალდის ფული“

ასე ახასიათებს ოქროს ფულს კ. მარქსი, მაგრამ ქაღალდის „ფული“ ხომ ოქროს თვისებებს მოკლებულია და როგორ ხდება, რომ ის ფულობს? „ქაღალდის ფული,—ამბობს მარქსი,—იმდენათ არის ღირებულების ნიშანი, რამდენათ ის (ქაღალდის ფული) ოქროს განსაზღვრულ რაოდენობას წარმოადგენს“ (იქვე გვ. 93). „ქაღალდის ფულზე“ ოქროს განსაზღვრული წონის ღირებულება აწერია და რამდენათ ახეთი ქაღალდი ოქროს ფულის ნიშანია და საქონლის გაცვლაში მისი მაგიერი, იმდენათ ეს „ქაღალდის ფული“ „მხოლოდ ფულის ტრიალის კანონს გამოხატავს“ (იქვე გვ. 92). ამიტომ, ქაღალდის ფულის ემისია არ უნდა აღემატებოდეს ოქროს ფულის იმ რაოდენობას, რომელიც არის მოჭრილი და საჭირო საქონლის ტრიალის დასაკმაყოფილებლათ. თუ ეს კანონი დაცულია, მაშინ ოქროს ფულის ადგილი „ადვილათ შეუძლია ქაღალდზე გამოხატულ სიმბოლოს დაიკავოს“,—ამბობს მარქსი (იქვე, გვ. 92). მაგრამ თუ „ქაღალდის ფულის“ ემისია გადაჭარბებულია, თუ ის თავის ოქროს საფუძველზე უფრო დიდია, მაშინ მისი სყიდვითი ძალა ეცემა. ამ შემთხვევაში ქაღალდის და ოქროს ფულებს შორის ურთიერთობა ირღვევა: „ქაღალდის ფული“ უკვე არ წარმოადგენს იმ ღირებულებას, რომლის სახელს ის ატარებს; ერთი და იმავე სახელწოდების ოქროს და ქაღალდის ფული სხვადასხვა ღირებულებას გამოხატავენ. ამნაირად, ოქროს ფულზე ჩნდება ლაჟა*) და ქაღალდის ფულზე—დიზაჟიო**).

მცირე განსხვავება ოქროს და ქაღალდის ფულებს შორის ნორმალური მოვლენაა, მაგრამ ომის და რევოლიუციის ხანაში ეს განსხვავება მწვავდება და საეკონომიო-საფინანსო სფეროში კატასტროფიულ მდგომარეობას ქმნის. ამ ხანაში „ქაღალდის ფული“ „ქაღალდის არარაობათ“ იქცევა. „ქაღალდის ფულის“ ასეთი დაცემა იმ საფუძველზე ხდება, როგორც რომელიმე კერძო ფირმის თამასუქის, როდესაც ამ ფირმის ალებ-მიცემა ეცემა, მისი ქონება მცირდება და ნდობის თვალით არ უყურებენ. ასეთ ფირმის თამასუქის დახურდავებაში ბანკები და კერძო პირები მეტ პროცენტს იღებენ. ბოლოს მისი თამასუქი სრულიადაც არ ხურდავდება, თუ მას სთიმედო გარანტია არ მოიპოვა.

რამდენად უფრო კერძო ფირმის ალებ-მიცემა ეცემა და მისი შემოსავალი მცირდება, იმდენად უფრო ფირმა იძულებული ხდება, რომ თანდათან მეტი თამასუქები გასცეს და, ამნაირად, ასაზრდოვოს თავისი წარმოება. ასეთ მდგომარეობაში მყოფი ფირმა თამასუქების დახურდავებაში თანდათან მეტს კარგავს, და ეს გარემოება მას აიძულებს უფრო და უფრო მეტი ვექსილები ახურდავოს.

ასეთია ეს მოჯადოებული წრე.

ასეთია ის მოჯადოებული წრეც, რომელშიაც უსათუოდ მოექცევა „ქაღალდის ფული“, როდესაც სხვადასხვა მიზეზების გამო ქვეყნების ეკონომიური მდგომარეობა კრიზისის ხანაში ვარდება და ფინანსიური მეურნეობა ირღვევა.

ალებ-მიცემა და სახელმწიფო აპარატის შენახვა მოითხოვს ფულის განსაზღვრულ რაოდენობას, და, როდესაც თვით ამ ალებ-მიცემის პირობები და სახელმწიფოს ფინანსიური მეურნეობა არ იძლევა შესაფერ შემოსავალს, სახელმწიფო იძულებული ხდება, რომ ისარგებლოს თავისი საემისიო უფლებით და გამოსცეს „ქაღალდის ფული“, „ბონები“, „ბანკნოტები“, ეს „თამასუქები“—ფულის სუროგატები, რომ შესძლოს შენახვა თავის აპარატების და მინიმალურად დააკმაყოფილოს მრეწველობის და ალებ-მიცემის მოთხოვნილება.

ამ შემთხვევაში სახელმწიფო ზევით დახასიათებულ კერძო ფირმის მდგომარეობაში ვარდება. მისი ფულის ნიშნებს თანდათან უფრო ნაკლები გასავალი აქვს, ამ ნიშნების ღირებულება თანდათან მეტი სისწრაფით ეცემა, და ეს გარემოება სახელმწიფოს იძულებულ ჰყოფს თანდათან მეტი ფული ნიშნები გამოსცეს, რაც ფულის ნიშნებს კიდევ უფრო უკარგავს ღირებულებას...

ეს ნამდვილი მოჯადოებული წრეა. სახელმწიფო ფინანსების ასე უფსკრულისაკენ ქაქანების მიზეზი შრომის კანონის დარღვევაა. სახელმწიფოს ფულის ნიშანი—„ქაღალდის ფული“—ეყრდნობა საზოგადოთ საჭირო განხორციელებულ შრომის მცირე რაოდენობას; სახელმწიფოში არ სწარმოებს ისეთი მუშაობა, რომლის ნაწილის ნაყოფი—სახელმწიფოს შემოსავალი,—თავის ღირებულებით სახელმწიფოს არსებობისათვის საჭირო ღირებულებას უდრიდეს.

„ქაღალდის ფული“ დღეს არაა სიმბოლიური გამოხატულება რეალად არსებულ ღირებულებათა. ის არ ეყრდნობა და ვერ დაეყრდნობა სათანადო ოქროს რაოდენობას, რადგან ოქროც იქ გროვდება, სადაც მეტი ღირებულება ნორმალურად მზადდება.

გავიხსენოთ მარქსის ღირებულების თეორია და მისი სიტყვები: „ქაღალდის ფული იმდენათ არის ღირებულების ნიშანი, რამდენათ ის ოქროს განსაზღვრულ რაოდენობას წარმოადგენს“-ო.

როდესაც „ქაღალდის ფული“ ამ წარმომადგენლობას კარგავს, ჩვენ გვაქვს საქმე „ქაღალდის ფულის“ მოხდვევებასთან (ინფლაციასთან) და მისი ღირებულების თანდათან განიავებასთან.

ასეთია ის მძიმე ხანა, რომელშიაც ჩვენ გვიხდება მუშაობა და რომელსაც ახასიათებს: „ფულის საერთო რაოდენობის უსაზღვრო ზრდა, მომარაგებულ საქონლის შემცირება და ფასების უსაზღვრო ზრდა“—ამბობს პროფ. კასსელი თავის „ფულის მსოფლიო პრობლემაში“. „ქაღალდის ფულის“ რაოდენობის უსაზღვრო ზრდა და ინფლაცია, ფულის ნიშნის სყიდვითი ძალის თანდათან უფრო მეტი სისწრაფით დაცემა—ის საშინელი ავადმყოფობაა, რომელსაც დღეს საბჭოთა რესპუბლიკები ებრძვიან. საბჭოთა რესპუბლიკები მთელი თავის ენერგიით ცდილობენ, რომ შექმნან ისეთი ფინანსიური პირობები, როდესაც ფულის ნიშნის ღირებულება ერთის დონეზე განმტკიცდება, ე. ი. მოხდება მისი სტაბილიზაცია. იგივე პროფ. კასსელი ამბობს, რომ „თუ ჩვენ გვსურს მსოფლიოს ეკონომიურ ცხოვრების გასაუმჯობესებლათ სერიოზული ზომები ვიხმაროთ, მაშინ რა მხრითაც არ უნდა მიუდგეთ ამ ამოცანას, დავინახავთ, რომ პირველი ზომა, რომლიდანაც უნდა დავიწყოთ, ეს არის ინფლაციის პროცესის შეჩერება“ (გვ. 25). „ფულის ნიშნის სყიდვითი ძალის სტაბილიზაცია არის „ფულის პოლიტიკის უდიდესი მნიშვნელობის პრობლემა“, რომლის გადაწყვეტას ყველა სახელმწიფო ეხლავე უნდა შეუდგეს“,—ასე გვირჩევს იგივე ავტორი (გვ. 38).

III
ფულის რეფორმა.

ამ კითხვას რუსულ ლიტერატურაში დიდი ხანია იკვლევენ. იყო მრავალი პრაქტიკული ცდაც. უდიდესი ცდა გამოიხატა ბანკნოტის—ჩერვონეცის შემოღებაში. ამ ცდის ნაყოფი უდავოთ დადებითია. ეკონომიურ ურთიერთობაში, ალებ-მიცემაში ჩერვონეცმა ერთგვარი სიმტკიცე შეიტანა. მაგრამ დღევანდელ გადიდებულ მოთხოვნილებას, როდესაც „სოვზნაკი“ არარაობათ გადაიქცა, ჩერვონეცი ვერ აკმაყოფილებს და არსებულ ფინანსიურ პირობებში ჩერვონეციც რყევას განიცდის. მისი ღირებულება, საქონლის ინდექსის მიხედვით, საშუალოდ პროცენტიულად ასე შეიცვალა 1923 წლის პირველი იანვრიდან 1924 წლის 22 იანვრამდე:

1 იანვ. 1923 წ.	82,5
1 ივლ. 1923 წ.	63,6
1 სექტ. 1923 წ.	63,2
1 ოქტ 1923 წ.	57,1
1 იანვ. 1924 წ.	57,1
22 იანვ. 1924 წ.	55,0

(„Торгов.-пром. газета“ № 27)

ჩერვონეცის სყიდვითი ძალის ასეთი შემცირება მეტად დამაფიქრებელი ფაქტია, და რადიკალური ზომების მიღება აუცილებელი გახდა. ამხ. კამენევი ამას ხაზგასმით ამბობს. ის ამტკიცებს, რომ „ჩვენ არ შეგვეძლო ამ თვეებში ფულის რეფორმა არ გაგვეტარებია... ვიმეორებ,—ამბობს კამენევი,—„სოვზნაკზე“ დაყრდნობა ჩვენ არ შეგვიძლია არამც თუ თვეების განმავლობაში, რამდენიმე კვირის განმავლობაშიც კი, და ამას ადვილად ამტკიცებს ის, რომ გლეხობა სახელმწიფოს „სოვზნაკზე“ პურს არ ჰყიდის... ასეთ პირობებში, ვიმეორებ, ფულის რეფორმის გატარების ვადის გადადება ჩვენ არ შეგვიძლია: ეს რეფორმა ჩვენ ეხლავე უნდა განვახორციელოთ“-ო.

ამნაირად, ნათელია, რომ ფულის რეფორმის დაუყოვნებლივი გატარება არის ეკონომიური და ფინანსიური აუცილებლობა. მაგრამ რაში გამოიხატება ეს რეფორმა? როგორ უნდა გატარდეს და რა პერსპექტივებს გვისახავს ის?

1924 წლის 5 თებერვლის დეკრეტი აცხადებს, რომ მარტში ხმარებაში შევა ხაზინის ახალი ბილეთები და ვერცხლის და სპილენძის ფულის ნიშნები და ამავე დროს ისპობა „სოვზნაკის“ არსებობა; დეკრეტის ძალით, ხაზინის ბილეთების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს სტრიალებლათ გამოშვებულ „ჩერვონეცის“ რაოდენობის ნახევარს, ახალი ბილეთები ერთი, სამი და ხუთი მანეთის ღირსების იქნება. პირველად გამოვა ასეთი ბილეთები 20 მილიონი მანეთის. იჭრება აგრეთვე ვერცხლის და სპილენძის ფულები იმ ღირსების, როგორიც ომამდე იყო ხმარებაში, ხოლო ლითონის ფულები, რომელნიც იყო ომამდე, კარგავენ ფულის ღირსებას.

ახალი ბილეთები, [illegible] ვერცხლის და სპილენძის ფულები, მხოლოდ „სახურდაო“ ფულის როლს თამაშობენ, და საბჭოთა კავშირის ფულის სისტემას საფუძვლათ ისევ „კეთილშობილი“ ლითონები რჩება და ფულის მთავარ ნიშნად—ჩერვონეცი.

ასეთია ახალი ფულის რეფორმა. ეს რეფორმა ცხოვრებამ გამოიწვია და ამიტომ ის ნორმალური მოვლენაა. მაგრამ როგორ შეიძლება მისი განხორციელება და რა პირობებს ჰქმნის ის? ამ კითხვებს აქ ჩვენ მხოლოდ გაკვრით შევეხებით,—ისინი მოითხოვენ მრავალგვარ განმარტებებს, რაც ერთ საგაზეთო წერილში ვერ მოთავსდება.

საერთოდ ეს რეფორმა არ სპობს ფულის ნიშნების მრავალგვარობას, ამიტომ შეიძლება ერთ-ერთ ფულის ნიშანმა დანარჩენთან შედარებით უპირატესობა მოიპოვოს, რასაც, თუ ასეთ მოვლენას ადგილი ექნა, მოჰყვება სხვადასხვა შედეგები: ზოგიერთ ნიშანს ლაჟი ექნება, ზოგს დიზაჟიო, ზოგი ნიშანი გახდება თეზაურაციის*) საგანი და გრეშემის**) კანონიც ამოქმედდება. მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ „სოვზნაკის“ ხანა არ განმეორდება. მძიმე ფინანსიური მდგომარეობა კიდევ დიდხანს გაგრძელდება, მაგრამ ეს იქნება გაჯანსაღების ხანა.

ამ რეფორმას მრავალი დაბრკოლება მოელის. მათ შორის მთავარია: ბიუჯეტის მდგომარეობა და საქონლის გაძვირება.

საბჭოთა კავშირის ფინანსთა კომისარი ამბობს, რომ 1923—24 წელს დეფიციტი შეადგენს 356,8 ათას ჩერვ. მან., მთელი ბიუჯეტი კი უდრის 1.750 მილიონ ჩერვ. მანეთს. ამნაირად დეფიციტი აღწევს 21.5 პროცენტამდე („Тор.-пр. газ.“ № 12). აი ეს დეფიციტი უნდა შეივსოს ემისიის და საბანკო ოპერაციების საშუალებით. ეს რთული და მძიმე საქმეა, მაგრამ ამ მხრითაც, წარსულთან შედარებით საერთო მდგომარეობა უკეთესია და დეფიციტიც გაცილებით ნაკლები.

სულ სხვაა საქონლის გაძვირების საკითხი. აქ ფრიად მძიმე მდგომარეობას ჰქმნის პურის გაძვირება. კამენევი ამ ფაქტს დიდ მნიშვნელობას აძლევს და მოითხოვს, რომ ყველაზე ადრე „პურის ფასებს მიექცეს ყურადღება“. მაგრამ ამავე დროს ის აღნიშნავს, რომ პურის გაძვირებასთან ბრძოლა მთავრობას შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის მთელ მის მიერ მომარაგებულ პურს გამოიტანს შინაურ ბაზარზე და საზღვარ გარეთ პურის გატანას დროებით შესწყვეტს („Правда“ № 51). ასეთს გზას მთავრობა უკვე დაადგა, მაგრამ მარტო პურის ფასის დაწევა არ კმარა; საჭიროა მრავალი სხვა საქონლის ფასიც შემცირდეს. ამისათვის საჭირო და შესაძლო ზომებსაც იღებს მთავრობა.

ჩვენ ვიცით, რომ, როდესაც ფულის ნიშნის ღირებულება მეტად მერყევია, მისი პატრონი ცდილობს ეს „ნიშანი“ საქონლად აქციოს. ამნაირად საქონლის ისედაც მცირე რაოდენობა ბაზარზე კიდევ უფრო მცირდება. მრავალი არა ვაჭარი იმ მიზნით, რომ მისი ფული არ გაქარწყლდეს, სხვადასხვა საქონელს ყიდულობს და მას ფულის ნიშნის მაგიერათ ინახავს და მერე თანდათან საჭიროებისამებრ ისევ ფულად აქცევს. ფულის ღირებულების შენარჩუნების მიზნით ის აგრეთვე ერთბაშათ ყიდულობს ჩვეულებრივზე მეტს მოსახმარ საქონელს. ამნაირად ბაზრიდან სწრაფად დიდძალი საქონელი ქრება, მოთხოვნილება მიწოდებას აღემატება და ფასებიც სწრაფად იზრდება. ეს პირობები სიძვირის და „ფულის“ ღირებულების დაცემის ერთი მძლავრი ფაქტორთაგანია.

ამ ფაქტორსაც მთავრობა ყურადღებას აქცევს და სახელმწიფო სავაჭრო-სამრეწველო და კოოპერატივის საშუალებით შეებრძოლება.

ბრძოლა, რასაკვირველია, ადვილი არ იქნება, მაგრამ სახელმწიფომ უნდა შესძლოს ამ უარყოფითი ფაქტორის დასუსტება და დამორჩილება.

ასეთია ახალი რეფორმის ცხოვრებაში გატარების მთავარი მომენტები.

ფულის ნიშნების დიდმა მერყეობამ დაბადა „საქონლის მანეთი“. როდესაც სახელმწიფო გადადის მტკიცე ვალიუტაზე, რასაკვირველია, „საქონლის მანეთი“ უნდა მოისპოს; მაგრამ მისი მოსპობა მოითხოვს ხელფასის საკითხის გადასინჯვას. საქონლის ფასები თანდათან მატულობენ და ამის შედეგია რეალურ ხელფასის თანდათან დაწევა. აი ამიტომ უნდა იქნეს მიღებული ისეთი კორრექტივი, რომელიც ხელფასის სტაბილიზაციას მოახდენს, ე. ი. მის რეალურ ძალას მტკიცედ დაიცავს. ამ მიზანს აღწევს ა|კ. უმაღლესი ეკონომიური საბჭო 14 მარტის დადგენილებით (№ 13), რომლითაც საქონლის გაძვირებით შემცირებული რეალური ხელფასი მთავრობამ ისევ თავის ნორმალურ დონეზე უნდა აიყვანოს. ეს კორრექტივი ხელფას ჯამაგირზე ყოველთვიური სიძვირისათვის დამატებაა. ამ დამატების რაოდენობა სტატისტიკურად იქნება გამოკვლეული.

ყველა ზემოხსენებულ ფინანსიურ ზომების მიზანი ერთია: **ფულის ნიშნების სყიდვითი ძალის განმტკიცება.** ამ მიზნის მისაღწევათ საჭიროა: 1) ოქროს ფულის და ოქროს სხმულის (**СЛИТОК**) დაგროვება; 2) სადევიზო პოლიტიკის წარმოებით უცხოეთის მტკიცე ვალიუტის დაგროვება; 3) ვაჭრობა-მრეწველობის გაფართოება და გაჯანსაღება; 4) სავაჭრო და საანგარიშო ბალანსის აქტივობა; 5) ელასტიური, ფრთხილი და ამავე დროს მტკიცე საფინანსო პოლიტიკით ახალი ფულის ნიშნების ცხოვრებაში გატარება და გამაგრება და 6) როგორც ყველა ამის სინთეზი და საფუძველი—უდეფიციტო ბიუჯეტის შექმნა.

მხოლოდ ყველა ამ ზომების მიღებით, მათი განხორციელებით შეიძლება ფულის ნიშნების სყიდვით ძალის განმტკიცება. ეს რთული მოღვაწეობა კი მოითხოვს ქვეყნის ყველა ცოცხალი ძალების რაციონალად ამოძრავებას და აღმშენებლობითი მუშაობაში მათი გამოყენებას.

ასეთია ის დიდი პრობლემა, რომელსაც ეხება 5 თებერვლის დეკრეტი.

დ. თ.

---

*) იმ განსხვავებას, რომელთაც ერთი ფულის ნიშანი მეორე ნიშანზე მაღლაა, ჰქვია—ლაჟი.

**) იმ განსხვავებას, რომლითაც ერთი ფულის ნიშანი მეორე ნიშანზე დაბლაა, ჰქვია—დიზაჟიო.

*) როდესაც ფულის ნიშანი თვით ხდება დაგროვების ობიექტად (როგორც ქონების)—ამას თეზაურაცია ეწოდება.

**) გრეშემმა გამოიკვლია, რომ უარესი ფულის ნიშანი რჩება ტრიალში და უკეთესი ტრიალიდან გადის; მოსახლეობა მას ინახავს, როგორც მტკიცე ვალიუტას.

ფულის რეფორმა და მისი მნიშვნელობა

საბჭოთა პრესაში ერთი ხანია ფულის რეფორმის საკითხმა არაჩვეულებრივი ადგილი დაიჭირა. მთელი სახელმწიფო თავისი მრავალმხრივი დაწესებულებებით ფულის საკითხს დასტრიალებს.

მართლაც, არც ერთი საკითხი არ არის ისე საყოველთაო, როგორც ფულის საკითხი. ეს არ არის მიწის საქმე, რომელიც უმთავრესად მიწის მუშას აინტერესებს, არც რომელიმე მრეწველობის, სადაც მუშა და მექარხნე ერთმანეთს ებრძვიან. არა, ფული, როგორც უშუალოდ, ისე არა უშუალოდ ეხება ვაჭარსაც და გლეხსაც, მუშასაც და სოვდაგარსაც, მოქანდაკესაც და ხელოსანსაც. ფული საზომი და სასწორია ყოველი ღირებულების, ყოველი ნიჭის, ყოველი წყობილების. ამიტომაა, როცა ფულის საკითხია დასმული მთელი მისი არსების მნიშვნელობით, აშკარაა ის აალაპარაკებს როგორც სახელმწიფოს, ისე კერძო პირს, როგორც პატიოსან მუშას, ისე იმ ვაჭარს, რომელიც ალაბის ყოველ გადაგდებაზე სცვლის თავის ნამუსს და სიტყვას.

რაშია საქმე? რა ხდება ფულის საკითხში დღეს ესოდენ საყურადღებო? რას ნიშნავს იგი, როგორ უნდა შევხედოთ მას? რა მნიშვნელობა აქვს ჩვენი ცხოვრებისათვის?

მალე შესრულდება ათი წელიწადი, რაც ჩვენ არ მოგვეპოება მტკიცე ფულის ნიშანი. ჩვენი ხალხის ხელში გაუვლია უამრავ ფერის და წარწერის ფულის მაგვარ ქაღალდის ნიშნებს, რომელნიც სრულიად შეუმჩნევლად მხოლოდ სწუწნიდნენ ჩვენი მშრომელი ხალხის ნამაგარს.

არც ერთი მექარხნე, არც ერთი მევახშე, არც ერთი გამოჩენილი სპეკულიანტი ისე მოხერხებულად არა ფცქვნის ხალხს, როგორც ეს სხვადასხვა სახეებიანი და წარწერიანი ფულის ნიშნები. პროფ. იუროვსკი, რომელიც ამჟამად მაგარი ფულის ნიშნების (ვალიუტა) საქმეებს განაგებს საბჭოთა ფედერაციაში, აღნუსხავს თავის უკანასკნელ წიგნში*), რომ დღემდე ჩვენ 78 სხვადასხვა ფულის ნიშანი აღვრიცხეთო. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ პროფესორს ჯერ კიდევ არ მოეპოება უკანასკნელი მასალა.

ეს უდიდესი ბოროტება საბჭოთა ხელისუფლებას, რა თქმა უნდა, არ შეეძლო ერთის ხელის დაკვრით მოესპო. ომმა და ხანგრძლივმა ისტორიულმა პროცესმა მძიმე მემკვიდრეობა გადასცა საბჭოთა წყობილებას, რომლის წარმომადგენელნი ფულის საკითხში სრულიად გარკვეული აზრის არიან: ფული, ან სრულიად უნდა მოისპოს, როგორც საქონლის გამომხატველი ნამდვილი ღირებულება, ან უნდა იყოს, როგორც თვითღირებულება, რომელიც ყოველ სხვა ღირებულებას ნამდვილად გამოხატავს.

Чем рубль ближе к нулю,— тем лучше—ამბობდა 1921 წელში ამხ. ლარინი. მაშინ ის მართალი იყო. კომუნისტები მაშინ კაპიტალისტურ წარმოებასთან ერთად უარყოფდნენ კაპიტალისტურ გაცვლა-გამოცვლას, რისთვისაც ოქრო და ვერცხლის დამზადება მხოლოდ ძვირფასი შრომის გაფლანგვა იქნებოდა. ამავე დროს ბონების შენახვაც გამანადგურებელი იყო ქვეყნისათვის და უმჯობესი იყო მისი სრულიად უარყოფის აზრის წამოყენება, რასაც ლარინმა მიმართა.

მაგრამ ლარინის აზრს ფულების საკითხში საბჭოთა სახელმწიფო არ გაჰყვა. ფულების მოსპობა მოასწავებდა ეხლავე კომუნისტური მეურნეობის დაწესებას მთელი თავისი შინაარსით, მაგრამ საერთაშორისო რევოლიუციონური ქვეყნების მაგიერ საბჭოთა ფედერაციას შემოერტყენ რეაქციონური კაპიტალისტური სახელმწიფოები, რომელნიც, მართალია, თავის საზღვრებიდან გარეკეს წითელმა ჯარებმა, მაგრამ მათთან ვაჭრობა კი საჭირო შეიქმნა ჩვენივე ხალხისათვის. ამ მდგომარეობამ დაბადა ახალი ეკონომიური პოლიტიკის აზრი, რომელიც ამხ. ლენინმა ჩამოაყალიბა იმავე 1921 წელში. ამ პოლიტიკას მოკლედ „ნეპს“ უწოდებენ და იგი, „ნეპი“, უეჭველად მოითხოვდა ლარინის საწინააღმდეგო დებულებას: მანეთის რაც შეიძლება გამაგრებას, ფულის ნამდვილი ღირებულების გამოხატვას, რაიცა კ. მარქსს მიაჩნდა კაპიტალისტურს საზოგადოებაში აუცილებელ საჭიროებად და რაიცა ჩამოაყალიბა საბჭოთა ფედერაციაში ფინანსთა სახალხო კომისარმა ამხ. სოკოლნიკოვმა. საბჭოთა ფედერაცია გაჰყვა სოკოლნიკოვის აზრს და იგი, ფედერაცია, მისდევს მას დღეს.

სოკოლნიკოვის მთელი შემოქმედება მიმართულია იმ მხრივ, რომ მოისპოს ფულის ნიშნების უთავბოლო გამოშვება (ემისია), რომ ბაზარზე გადაჭარბებული სროლა ფულებისა (ინფლიაცია) გამანადგურებელია მთელი მეურნეობისა და ხალხისათვის, რომ საბჭოთა სახელმწიფოების აღდგენა შესაძლოა ერთი მთლიანი საფინანსო მეურნეობის შემოღებით, სადაც ჩვენ საქმე გვექნება მაგარი ფულის ნიშნებთან, რომელსაც ზურგს გაუმაგრებს ოქრო, ვერცხლი, სპილენძი, უცხო ქვეყნების მტკიცე [illegible] და სხ.

მთელი თანამედროვე ფულის რეფორმა მიმართულია არსებული ემისიის წინააღმდეგ. საბჭოთა ხელისუფლება არასოდეს არ იზიარებდა ემისიის აზრს და თუ ის ერთს დროს ეყრდნობოდა მას, ეყრდნობოდა იმდენად, რამდენადაც მას ხელში შერჩა ასეთი მემკვიდრეობა და მისი უკუგდება კი ერთბაშად მოუხერხებელი იყო.

ემისია არის ორივე მხრივ ცეცხლმოკიდებული ჯოხი, რომლის გული სწრაფად იწვის. 1918 წლის პირველ ნახევარში ქაღ. ფულის მთელი რაოდენობა უდრიდა 60 პროც., 1921 წელში იმავე დროში გაიზარდა 101

---

*) „На путях к денежной реформе“, 24 г. М.

ფინანსიური რეფორმა

(თეზისები აგიტატორებისათვის)

1. 1914 წლის ომმა, თვითმპყრობელობისა და დროებითი მთავრობის (ყველა შემადგენლობის) პოლიტიკამ შეარყია ქვეყნის მთელი სახალხო მეურნეობა. სახელმწიფო გასავლის დიდმა ჭარბობამ შემოსავალზე გამოიწვია დეფიციტი, რომელიც იფარებოდა ქაღალდის ფულების განუსაზღვრელად ბეჭდვით, ხმარებაში კი თანდათანობით ქრებოდა ლითონის—ოქროს, ვერცხლის და სპილენძის—წვრილი ფული. ამას მოყვა ის მდგომარეობა, რომ რუსეთის მანეთმა სრულიად დაჰკარგა მსყიდველობითი ძალა. (1914 წ. ომამდი ხმარებაში იყო ქაღალდის ფული ორ მილიარდ მანეთზე ნაკლები, თებერვლის რევოლიუციის დროს უკვე ხმარებაში იყო 12 მილიარდი მანეთის ქაღალდის ფულის ნიშანი, ოქტომბრის გადატრიალების დროს — 22 მილიარდის. ამ დროისათვის ქაღალდის მანეთი უკვე რამდენიმე კაპეიკი ღირდა).

2. საბჭოთა ხელისუფლების მიერ მიღებული მემკვიდრეობის სიმძიმეს ართულებდა ბლოკადა, სამოქალაქო ომი, რომლებიც თავზე მოგვახვია მუშათა კლასისა და გლეხების მტრებმა, და ნგრევა. სახელმწიფო ძალაუფლების ძველი აპარატის დანგრევა, ომის წარმოება მოითხოვდა ძალების უდიდეს დაჭიმვას, მეტად დიდ ხარჯებს. საბჭოთა ხელისუფლება, რომელსაც პირველ ხანებში არავითარი სხვა წყაროები არ ჰქონდა, იძულებული იყო განეკრძო ქაღალდის ფულების ბეჭდვა აუცილებელი ხარჯების დასაფარავად. სამოქალაქო ომში გამარჯვებით დასამთავრებლად საბჭოთა ხელისუფლება იძულებული იყო მიემართა სამხედრო კომუნიზმის სისტემისათვის (სასურსათო ბეგარა, რეკვიზიციები და კონფისკაციები, იძულებითი სახელმწიფო ზეგავლენის ზომები მეურნეობაზე, შრომის სამუშაო ხელფასი, რომელიც ნატურალურ ხასიათს იღებდა, ნაწილობრივ კი ნატურით იცემოდა და სხვა). ფულის როლი ასეთი სისტემის პირობებში მეტად მცირე იყო; ქაღალდის ფულების სასწრაფოდ გამოშვების საჭიროება არაჩვეულებრივი სისწრაფით ამცირებდა მათ მსყიდველობითი ძალას.

3. სამოქალაქო ომში გამარჯვების შემდეგ საბჭოთა ხელისუფლებამ გააუქმა სასურსათო ბეგარა და გადავიდა ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე. ამას მოითხოვდა გლეხობისა და მუშათა კლასს შორის კავშირის უზრუნველყოფის და გამაგრების საჭიროება მას შემდეგ, რაც მათი საერთო ძალღონით მოგერიებული იქნა მემამულეებისა და კაპიტალის სამხედრო შეტევა.

ახალი ეკონომიური პოლიტიკა, ე. ი. სასურსათო ბეგარის შეცვლა სასურსათო გადასახადით, გლეხისათვის მისი მეურნეობის მონარჩომის თავისუფლად გამოყენების საშუალების მიცემა, ნიშნავდა ვაჭრობის, ბაზრის აღდგენას და კერძო კაპიტალის დაშვებას განსაზღვრულ ფარგლებში. საქონლის ბრუნვის განვითარება მოითხოვდა მტკიცე ფულების შექმნას. მხოლოდ ამ პირობით შეიძლება სახალხო მეურნეობის საბოლოოდ აღდგენა. მტკიცე ფულებს გარეშე შეუძლებელია მტკიცე ფასები, შეუძლებელია ყოველგვარი სამეურნეო და სავაჭრო ანგარიშები. ამავე დროს კი სახელმწიფო ბიუჯეტში დეფიციტის არსებობა, ე. ი. ხარჯების ჭარბობა სახელმწიფოს შემოსავალზე, არ აძლევდა საბჭოთა ხელისუფლებას საშუალებას უარი ეთქვა ქაღალდის ფულის ნიშნების ბეჭდვაზე. საბჭოთა ხელისუფლების საგადასახადო პოლიტიკა, სახელმწიფო შემოსავლის გადიდება (საგადასახადო შემოსავალთა, ქონებათაგან შემოსავალთა გადიდება, საკრედიტო ოპერაციები) და სახალხო მეურნეობის საერთო აღორძინება თანდათანობით ამცირებდნენ ემისიის მნიშვნელობას ჩვენს სახელმწიფო ბიუჯეტში და წინასწარ პირობებს ჰქმნიდენ მტკიცე ვალიუტის შემოღებისათვის.

4. რაიმე მტკიცე საზომის, მტკიცე საძირკვლის საჭიროებამ ყოველგვარი სამეურნეო და სავაჭრო ანგარიშებისათვის ქაღალდის ფულების ღირებულების დაცემის პირობებში, გამოიწვია მთელი რიგი ცდები ანგარიშის პირობითი ერთეულის შესაქმნელად. ანგარიშიანობის ასეთი პირობითი ერთეულები იყვენ „პურის“ ერთეული, „ომამდი არსებული“ მანეთი, „საქონლის“ მანეთი, რომლებიც მაინც ვერ უზრუნველყოფდენ ანგარიშიანობის ფორმების სიმტკიცეს და საყოველთაო ცნობას.

5. იმისთვის, რომ შეექმნა მტკიცე ვალიუტა, საბჭოთა ხელისუფლებამ გამოჰყო საქონლის ბრუნვისათვის საჭირო ქაღალდის ფულების ბეჭდვა სახელმწიფო ბიუჯეტში დეფიციტის დასაფარავად ქაღალდის ფულების ბეჭდვისაგან. საქონლის ბრუნვისათვის საჭირო ფულების (ვალიუტის) ბეჭდვა დაიწყო **სახელმწიფო ბანკმა.** ასეთი ფულები არის ჩერვონცები. ჩვერვონცები იბეჭდება ოქროს ანგარიშით და უზრუნველყოფილი არის ოქროთი, საქონლით, უცხოეთის ფულებით (ამერიკული დოლარებით, ინგლისური სტერლინგით) და სხვა განძეულობით, რომელიც იმყოფება სახელმწიფო ბანკის განკარგულებაში. ჩერვონცები არ ხმარდება სახელმწიფო ბიუჯეტში დეფიციტის დაფარვას. ის ხმარდება მხოლოდ და მხოლოდ საქონლის ბრუნვის (ვაჭრობა და მრეწველობის) საჭიროებას, როგორც იარაღი, როგორც საშუალება გაცვლა-გამოცვლისა და ანგარიშის გასწორების.

სახელმწიფო ბიუჯეტში დეფიციტის დასაფარავად გრძელდებოდა საბჭოთა ფულის ნიშნების ბეჭდვა.

6. ჩერვონცების ემისიის გამოყოფამ საბჭოთა ფულის ნიშნების ემისიიდან, ჩერვონცების სხვადასხვა რეალური ღირებულებებით უზრუნველყოფის და მისი საქონლის ბრუნვის საჭიროების მიხედვით გაშვების პირობებში, უზრუნველჰყო ჩერვონული ვალიუტის სიმტკიცე.

ამ დროს, როცა საბჭოთა ფულის ნიშნების ფასის დაკარგვა გრძელდებოდა, ჩერვონეცმა შეინარჩუნა თავისი ღირებულება და გახდა მტკიცე ფულის ნიშანი.

მისი სიმტკიცის საუკეთესო მაჩვენებელია ის, რომ მას იღებენ უცხოეთის ბანკებში (ლონდონში და სხვაგან). უნდა აღინიშნოს, რომ მისი ღირებულება დასავლეთ ევროპის ფულების მიმართ (სტერლინგი, დოლლარი) მტკიცეა, იზრდება კიდეც.

7. ჩერვონცების ამ თვისებამ უკვე ახლა გახადა ის საბჭოთა რუსეთის მთავარ ვალიუტათ. მან განდევნა ხმარებიდან საბჭოთა ნიშნები და ის 9 | 10 ხურდა ფულათ გადააქცია ჩერვონეცის მიმართ, ის ანგარიშის გასწორების მთავარ ერთეულად გადაიქცა.

ბანკნოტის (ჩერვონეცის) უხერხულობა იმაში მდგომარეობს, რომ თავისი სიდიდით (10 მანეთი ოქროთი) ის ნაკლებ მისაწვდომია მუშებისთვის, გლეხებისათვის, საერთოდ ნაკლებ შეძლებულ ელემენტებისათვის. ცხოვრება დაჟინებით მოითხოვდა უფრო ნაკლები კუპიურების გამოშვებას. ეს კი მოითხოვდა სრული ფულის რეფორმის მოხდენას.

8. ისეთი ფულის ნიშნების არსებობა, რომლებიც კარგავდენ ღირებულებას, აიძულებდა ბაზარს განუწყვეტლივ აეწია ფასები, რომ დაეზღვია საქონელი ფულის ღირებულების დაცემისაგან. ეს „დაზღვევა“ იწვევს ფასების საერთო აწევას 30—40 პროცენტით, ე. ი. თითქმის ნახევრათ. ფასების განუწყვეტელი ზრდა მძიმე გავლენას ახდენს მთელს სახალხო მეურნეობაზე, განსაკუთრებით მუშებსა და გლეხებზე.

9. ეს მდგომარეობა დაბეჯითებით მოითხოვს ფულის რეფორმას, ე. ი. მტკიცე, ურყევი ფულების შემოღებას.

საბჭოთა კავშირის მეურნეობის აღდგენისა და განვითარების არსებულ საფეხურზე მტკიცე ფულების შემოღება სასიცოცხლო საჭიროებას წარმოადგენს.

მეორე მხრით, მიღწევებით, სახალხო მეურნეობის აღდგენაში, სახელმწიფო შემოსავლის გადიდებაში და ხარჯების შემოსავალზე ჭარბობის შემცირებაში, უცხოეთთან ვაჭრობის ზრდა ექსპორტის იმპორტზე (შემოტანაზე) ჭარბობის პირობებში, ქმნიან მდგომარეობას, რომლის დროსაც ფულის რეფორმა მოსახერხებელი და მისი განხორციელება შესაძლებელია.

10. საბჭოთა ნიშნების ნაცვლად სახელმწიფო ხაზინა უშვებს ხმარებაში **ახალ სახაზინო ბილეთებს,** ოქროს ანგარიშით, 5, 3 და 1 მანეთის ღირებულების ოქროთი. ათი მანეთის ასეთი ბილეთებით სახელმწიფო ბანკი გამოსცვლის ერთ ჩერვონეცზე.

გარდა აღნიშნულ სახაზინო ბილეთებისა გამოშვებულია ხმარებაში და მომავალშიც იქნება გამოშვებული წვრილი ვერცხლის ფულები 1 მანეთის. 50 კაპ. 20 კ., 15 კაპ. და 10 კაპ. ვერცხლით და სპილენძის შაურიანები, 3 კაპეიკიანები და კაპეიკიანები. მათ მოჭრაში შესაძლებელ დაბრკოლებათა და დროებით შეწყვეტის გამო გამოშვებულია ბონები ასეთივე სახელწოდებით. ვერცხლის და სპილენძის ფულების საკმაო რაოდენობით გამოშვების შემდეგ არა უგვიანეს 1925 წლის 1-ლ იანვრისა, ეს ბონები ხმარებაში მოისპობა.

11. ამ მომწიფებულ რეფორმას რომელიც სასიცოცხლო საჭიროებას წარმოადგენს საბჭოთა კავშირისათვის, თან ახლავს საგრძნობი სიძნელენი და პირველ ხანებში, შესაძლოა, მოითხოვს ზოგიერთ მსხვერპლს.

12. რეფორმის წარმატებით ჩატარების აუცილებელ პირობას წარმოადგენს საბიუჯეტო დეფიციტის, ე. ი. სახელმწიფო ხარჯების შემოსავალზე ჭარბობის დაძლევა. ამისათვის საჭიროა უდიდესი მომჭირნეობა, ეკონომია სახელმწიფო ხარჯებში, უარის თქმა ყველა ხარჯებზე, რომლებიც დღევანდელი დღისათვის აუცილებელ საჭიროებას არ წარმოადგენენ. ეს მსხვერპლი უნდა გაიღოს მთელმა ქვეყანამ, ვინაიდან მსხვერპლი ანაზღაურებული იქნება ასწილ მტკიცე ვალიუტის შექმნით.

13. რეფორმის წარმატებით დასაბოლოვებლად საჭიროა ფასების ზრდის შეჩერება. ვინაიდან მტკიცე ვალიუტაზე გადასვლის დროს ბაზრისათვის უკვე აღარ არის საჭირო ფასების მომატება ფულების ფასის დაკარგვისაგან დასაზღვევად, ყველა ფასები მაქსიმალურად უნდა იქნეს შემცირებული. ამ მუშაობას უკვე აწარმოებს შინაური ვაჭრობის მომწესრიგებელი კომისია შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული. დაკლებულია და მტკიცე ფასებია დაწესებული მარილზე, ნავთზე, შაქარზე, მანუფაქტურაზე და სხვა. ასეთივე მუშაობა უნდა ჩაატარონ ყოველგან ყველა სახელმწიფო სამეურნეო, და კოოპერატიულმა ორგანოებმა. პარტია და პროფკავშირები კანტროლს უწევენ ამ მუშაობას.

14. მტკიცე ვალიუტის შემოღების შემდეგ ყოველგვარ მნიშვნელობას ჰკარგავენ პირობით ანგარიშის არსებობა საქონლის მანეთებით, ყოველგვარი „ინდექსები“ და სხვა. შესაძლებელია დამატება სიძვირის გამო, მაგრამ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ყოველგვარ პირობითი ანგარიშებს. უფრო მეტი, რეფორმის გატარების დროს გადასვლის ყველაზე უძნელეს მომენტში პირობითი ანგარიშები აურაცხელ ზარალს მოიტანენ რეფორმის გატარებაში არევდარევის შეტანით, ახალი ფულების მნიშვნელობისა და მისდამი ნდობისათვის ძირის გამოთხრით.

აი რატომ დაადგინა შრომისა და თავდაცვის საბჭომ გაეუქმებია ე. წ. საქონლის მანეთი. სრულიად რუსეთის პროფკავშირთა საბჭომ—პროფკავშირების უმაღლესმა ხელმძღვანელმა ორგანომ გამოიმუშავა ახალი სატარიფო გეგმა, რომელიც მდგომარეობს შრომის ხელფასის მტკიცე ვალიუტით გამოანგარიშებაში საბიუჯეტო შენაწყობის ღირებულების მიხედვით. ამრიგად, მუშები არა თუ არაფერს არ კარგავენ რეფორმისაგან, არამედ იგებენ კიდეც, რადგან არაფერს დაჰკარგავენ ფულების ღირებულების დაცემის გამო.

15. მტკიცე ვალიუტაზე გადასვლას უდიდესი მნიშვნელობა ექნება საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის აღორძინებისა და აღდგენისათვის. გამაგრდება კავშირი ქალაქსა და სოფელს შორის, რომლებსაც ამიერიდან ერთნაირი მტკიცე ნიშნები ექნებათ. უნდა განვითარდეს და განმტკიცდეს ვაჭრობა, ფასები მტკიცე უნდა გახდენ და შესწყვიტონ გადიდება. მრეწველობა, რომელსაც საძირკველი შეექმნება სამეურნეო ანგარიშიანობისათვის უფრო წარმატებით განვითარდება. უფრო მტკიცე გახდება საბჭოთა ხელისუფლების მდგომარეობა.

16. გლეხობა ფულის რეფორმისაგან დიდ შემსუბუქებას მიიღებს. გლეხი თავისუფლად უშიშრად, რომ მისი საქონელი დაჰკარგავს თავის ღირებულებას, შესძლებს თავისი პროდუქტების გაყიდვისაგან მიღებული ფულების შენახვას. თავისი პროდუქტების გაყიდვის დროს გლეხი იძულებული არ იქნება დაუყოვნებლივ შეიძინოს მისთვის საჭირო საგნები. დამშვიდებით, იმის გამო, რომ ფულები არ დაჰკარგავენ მყიდველობითი ძალას, შესძლებს ის საჭირო საქონლის შეძენას, შეარჩევს თავისთვის უფრო ხელსაყრელ პირობებს ამ საქონლის საყიდლათ. გლეხისათვის უფრო ადვილი იქნება გადასახადების გადახდა.

17. პირველი კვირეების, შესაძლოა 1—2 თვის განმავლობაში, სანამ სწარმოებს გადასვლა ახალ ფულებზე, შესაძლებელია ზოგიერთი დაბრკოლებები და დაგვიანება შრომის ხელფასის გასტუმრებაში. შესაძლებელია ცალკე დაბრკოლებები შრომის ხელფასის გადაყვანაში გაუქმებული „საქონლის“ მანეთიდან ოქროს მანეთზე. საბჭოთა ხელისუფლება და პროფესიონალური ორგანიზაციები ყველა ღონისძიებებს იღებენ, რომ უზრუნველჰყონ შრომის ხელფასის ახლანდელი რეალური დონე.

ამის გარდა, მეორე მხრით ასეთივე გარანტიას იძლევა ყველა ფასების სასტიკი დაწევა. ყოველ შემთხვევაში, ამ საპასუხისმგებლო კვირეების განმავლობაში მუშათა კლასმა უდიდესი სიმტკიცით უნდა გაუმაგროს ზურგი თავის საბჭოთა ხელისუფლებას. ამ უძნელესი გადასვლის დროს მუშები და მოსამსახურეები ნდობით მოეპყრობიან რეფორმას და თავის ხელში დაგროვებულ ზედმეტ თანხებს შეიტანებენ შემნახველ კასებში. მუშებმა და გლეხებმა „პურის“, „ოქროს“ სესხით და სხვ. საშუალება მისცეს საბჭოთა მთავრობას შეემცირებია დეფიციტი. ისინი თავისი დახმარებით უზრუნველყოფენ ახლა დაწყებული საქმის გამარჯვებით დაგვირგვინებას.

მთავარ პირობას ახალი მტკიცე ვალიუტისათვის საძირკვლის საბოლოოდ გასამაგრებლათ წარმოადგენს სახალხო მეურნეობისა და კერძოთ მრეწველობის საერთო გაძლიერება. შრომის ნაყოფიერების გადიდება, ზედნადები ხარჯების ყოველმხრივ შემცირება. ბრძოლა ანგარიშიანობის უქონლობის წინააღმდეგ, ბრძოლა სპეკულიაციის წინააღმდეგ—აი ის ამოცანები, რომელთა გადაჭრაზე არის დამოკიდებული საბოლოო გამარჯვება ფინანსიურ ფრონტზე. თითეულმა მშრომელმა ყოველმხრივ უნდა დაუჭიროს მხარი საბჭოთა ხელისუფლებას და კომუნისტურ პარტიას, მან ძალები უნდა შემოიკრიბოს შრომის ნაყოფიერების გასადიდებლათ, აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს კოოპერაციის მუშაობაში, უნდა დაეხმაროს მას, თითეულმა მშრომელმა მონაწილეობა უნდა მიიღოს ამ უდიდესი მნიშვნელობის მქონე მუშაობაში.

თავის უკანასკნელ გამოსვლაში კომინტერნის 4-ე კონგრესზე ამხ. ლენინმა სთქვა:

„თუ ჩვენ მოვახერხებთ ხანგრძლივი ვადით, შემდეგ კი საბოლოოთ, განმტკიცებას ჩვენ მანეთისას,—მაშინ ჩვენ გამარჯვებული ვიქნებით“.

მტკიცე ვალიუტის შექმნის გარეშე შეუძლებელია ნგრევის საბოლოოთ დაძლევა, ამას მშვენივრად გრძნობენ ჩვენი მტრებიც. ყოველგვარი ვალიუტჩიკები, სპეკულიანტები სასტიკ ბრძოლას აწარმოებენ ახალი ვალიუტის წინააღმდეგ, ფულის რეფორმის წინააღმდეგ.

ლენინის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელობით, რომლებმაც საბჭოთა კავშირი 1917 წლის ოქტომბრიდან, ომიდან, 18—19 წლების სიმშილისა და წამებიდან გამოიყვანეს, დაიცვეს ქვეყანა 18 სახელმწიფოს თავდასხმისაგან, შექმნეს ისეთი პირობები, რომ დასავლეთის უდიდესი სახელმწიფოები იძულებული გახდენ ეცნათ ჩვენ —ამ გამოცდილი ხელმძღვანელობით მუშებისა და გლეხების კავშირი გაიმარჯვებს ნგრევაზე და შექმნის მტკიცე ვალიუტას.

რუსეთის კომპარტიის ც. კ. საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება.

პროც., მაგრამ საძვირის დონე გაცილებით მაღალია,—პირველ შემთხვევაში 223 და მეორე შემთხვევაში 380 პროც.

გავაცნობთ დასახასიათებლად ამხ. იუროვსკის მეტად საყურადღებო ცხრილს ამ საკითხის გასაშუქებლად. მთელი ფედერაციის მასშტაბით ნამდვილი ღირებულება ფულის ნიშნებისა უდრიდა:

1917 წ. 1 ნოემბ.	2 200,6 მ. მილ.
1918 „ 1 ივლ.	488,5 „ „
1919 „ 1 „	370,5 „ „
1920 „ 1 „	62,9 „ „
1921 „ 1 „	29,1 „ „

ეს შესანიშნავი სურათია იმ ქაოსის, რომელსაც ქმნის ქაღალდის ფულების გამოცემა დაზგის შესაძლოების მიხედვით. ფაქტიურად ეს გაღატაკებაა ქვეყნის, სახელმწიფოს და ეს უკანასკნელი სხვაზე ადრე თვითვე გრძნობს, რომ თავისი დაზგა პირველყოვლისა ანადგურებს იმავე დაზგას. სახელმწიფოს მიუღია 1917 წლის მარტი ნოემბერ-დეკემბერში საშუალოდ თვეში ემისიიდან 168, მილ. მან. ოქროთი, მაგრამ შემდეგ კი ექვს-ექვსი თვეებში თითქმის არაფერს იძლევა. ასე მაგალითად, ხაზინის შემოსავალი თვიურად ამ წყაროდან:

1918 წლის პირვ. ნახ.	68,1 მილ მ.
1919 „ „ „	19,3 „ „
1920 „ „ „	10,1 „ „
1921 „ „ „	5,6 „ „

შეეძლო ლენინს ამ გარემოებისათვის ყურადღება არ მიექცია?—რასაკვირველია, არა. საჭირო იყო სასწრაფო და გენერალური ზომების მიღება იმისათვის, რომ ქვეყანა აშორებულიყო ფინანსიურ გაკოტრებას, საჭირო იყო ფინანსიური აპარატის ისე მძლავრად ამოძრავება, რომ ფული მოჩვენების საგნად არ გამხდარიყო, არამედ ძალა სახელმწიფოს მთელი კულტურის გასაფურჩქნად.

ლენინი იყო ამ დიდი საქმისათვის საჭირო. და იგი აქაც უდიდეს რევოლიუციონერად, ფინანსიურ რევოლიუციონერად მოევლინა რუსეთს. 1921 წელში, როცა ლენინის შეხედულების მიხედვით მთელი საფინანსო უდიდესი წყაროები (ფარული და პირდაპირი გადასახადები) მოისპო, როცა თვით ფინანსიური აპარატი გადასცეს უმაღლეს სამეურნეო საბჭოს, რომელიც ბუნებითად ებრძოდა წმინდა ფინანსიურ პოლიტიკას, როცა სასურსათო შემოქმედება და ნატურალური გეზი უპირველეს პოზიციებს იჭერდა სახელმწიფოში, აი ამავე დროს მთელი თავისი ძლიერებით ჩვენ ვხედავთ ილიჩს, რომელიც ერთის ხელის დაკვრით საფინანსო საქმეებს აძლევს სრულიად ახალ მიმართულებას და საფუძველს უყრის ნამდვილ საფინანსო სისტემას.

ყველამ უნდა იცოდეს ერთი რამ. საფინანსო რეფორმას საფუძველი [illegible] საკანონმდებლო აქტებით, არა, რიკოვ-კამენევის ხელში მხოლოდ სრულდება, მთავრდება საფინანსო რეფორმა, რომლის მთავარი საფუძვლები 1921 წელში ჩაყარა ილიჩმა. მთელი 1921—1924 წლების ხანა არის საფინანსო რეფორმის მოსამზადებელი პერიოდი. 3 წლის განმავლობაში რევოლიუციონურ რესპუბლიკების კავშირმა შესძლო განსაზღვრული მიზნების მიღწევა და შედარებით ადვილად ხელი მოეკიდა საქმეებისათვის, რომლის წინაშე გასული საუკუნის მიწურულში მუხლს იდრეკდა პროფ. კაუფმანი.

რას შეიცავდა ეს მოსამზადებელი ხანა? რა მდგომარეობა შექმნა მეურნეობაში ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემდეგმა ხანამ?

მკითხველებს მოეხსენება, რომ ეგრედ წოდებული სამხედრო კომუნიზმის ხანა 1918—1921 წლამდე (ნეპამდე) ხასიათდება მეურნეობის სასტიკი რეგლამენტაციით, განრიგებითი, განწესრიგებითი წესებით. სამხედრო კომუნიზმმა არ იცოდა თავისუფალი ტრანსპორტი, არ იცოდა სამეურნეო ერთეულთა შორის შეტოქეობა, მათი თავისუფალი თარეში საშინაო და საგარეო ბაზარზე. ორდერის გარეშე გირვანქა პურის შეძენა შეუძლებელი იყო, ბაზრის პუნქტები (მაგ. სუხარევკა მოსკოვში) დახურული, მაღაზიების 90 პროცენტი მიკეტილ მოკეტილი.

ფულის ტრიალზე აგებული სახელმწიფოებრივი მეურნეობა კი აუცილებლივ საჭიროებს ბაზრის სრული თავისუფლების განმტკიცებას, ეკონომიურ ძალების თავისუფლად თამაშს, ბრძოლას, ყველა იმ დაწესებულებათა გამრავლებას, რომელნიც ფულს იზიდავენ, ფულს აგროვებენ, ატრიალებენ და რომელსაც ფულს ართმევს სახელმწიფო. სახელმწიფოს ფულადი შემოსავალი იმდენად იზრდება, რამდენადაც ფულიანი მასსა იზრდება. ფული იმდენად მტკიცდება, რამდენადაც მრავალია ხალხი ფულს რომ ეწაფება. ესე იგი ჩვენი მთავრობის საზრუნავი საქმე გახდა ხელოვნურად გამრავლება, ხელის შეწყობა კერძო ინიციატივის, თაოსნობის გამოჩენის.

1921 წლის 16 აგვისტოს რუსეთში იცემა კანონი, რომლითაც გამოცხადებულია შინაური ბაზრის თავისუფლება განსაკუთრებით სახელმწიფო-სამეურნეო ერთეულებისათვის, რომელთაც უფლება არ ჰქონდათ კერძო ბაზარზე საჭირო მასალების შეძენისა. შინაური ბაზრის გახსნიდან იწყება სახელმწიფო ბიუჯეტის განტვირთვა მთელ რიგ დაწესებულებებიდან. ეგრედ წოდებული „хозорганы“ არასოდეს არ ფიქრობდენ სარგებელზე, ყაირათზე, ეკონომიაზე, სარფიან პოლიტიკაზე. სახელმწიფოს ხარჯთ-აღრიცხვისათვის ისინი წარმოადგენდნენ მძიმე ს. 1921 წლის 27 ოქტომბრის დეკრეტი ამ სამეურნეო ძალებს გზას ულოცავს და ეუბნება: გაბრძანდით ბაზარზე, ისწავლეთ ბაზარი, ემსახურეთ ბაზარს. ამავე დროს მე, 9 საბჭოთა ყრილობა ლენინ-სოკოლნიკოვის შემდეგ ადგენს: „**осуществить с наибольшей быстротой сокращение и впоследствии прекращение эмиссии и востановление правильного денежного обращения на основе золотой валюты**“.

აი ასეთი დადგენილება გამოიტანა საბჭოთა ყრილობამ 1921 წლის ოქტომბერში. ბაზარში გაყვანილი დაწესებულებებისათვის, ფაბრიკა-ქარხნებისათვის საჭირო იყო მტკიცე ფული, ბაჯაღლო ოქრო და ფედერაციაც აქეთკენ მიეშურება. 1922 წელში (იანვრიდანვე) იწყება ერთიანი საფინანსო გეგმის და ფედერალური ხარჯთ-აღრიცხვის შედგენისათვის მუშაობა (განკარგ. № 5), იმავე წლის 26 მაისს იცემა დეკრეტი ფინ.-აპარატების გამაგრების შესახებ, 21 წლის მიწურულში დაარსდა სახელმწიფო ბანკი, რომელიც იმავე წლის 28 ოქტომბრიდან ზრუნავს პროვინციაში განყოფილებების გახსნას, 21 წლის 13 დეკემბრის და 22 წლის 6 თებერვლის დეკრეტებით აღდგენილ იქნა საკოოპერაციო ბანკები. 22 წლის 19 იანვრიდან გადასახადების ანგარიში სწარმოებს ომის წინა დროის მანეთების მიხედვით, 22 წლის 21 აპრილიდან გაუქმებულ იქნა ძველი გადასახადების მთელი სისტემა, 3 თებერვლიდან აღადგინეს სამრეწველო გადასახადი, 16 თებერვლიდან შემოიღეს საღერბო გადასახადი, იანვარ-თებერვალში გამოდის მთელი რიგი დებულებისა ფარული გადასახადისა, სამოქალაქო გადასახადის, შემოსავლის კვალობითი და მრავალი სხვა.

ერთი სიტყვით გაცხარებული საფინანსო მუშაობა დაიწყო. გაიშალა ახალი ასპარეზი, ახალი საქმე, ახალი მიზნებით. თავისუფალი ბაზარი, ვაჭრობა, მრეწველობა, ბანკები, ფულის ტრიალი—აი სული ამ ახალი ეპოქისა.

ვაჭრობა-მრეწველობა სრულიად ახალ პირობებში მოიქცა. გუშინდელი განმარიგებელნი საქონლისა, დამოუკიდებელ ტრესტებში მოქცეულები, დღეს ყოველ კაპეიკს ითვლიან და ანგარიშობენ. ბუხჰალტრებმა, კალკულიატორმა, მატერიალურ და იმატერიალურ ფასების აღმრიცხველებმა პირველი ადგილები დაიჭირეს, ინჟინერებს და მაკლერებს გზა გაეხსნათ, ინსპექტორებმა სული მოითქვეს, ინიციატივა გაიშალა და ფულიც საფუძველს იმაგრებს.

არ შემიძლიან მთელი ისტორია გადავშალო აქ ამ მეტად საინტერესო მოვლენისა. აილეთ დახასიათება [illegible] შემდეგს ციფრებში სახელმწიფო ბიუჯეტს ფარავდა 1922 წელში პროცენტებით:

	ემისია	სახელმწ. ქონ. და გადასახ.	პირდ. და სახ. გადას. და ვალ. შემოს.
იანვარ—მარტში	86,7	2,7	10,6
აპრილი—ივნის	69,4	8,9	21,7
ივლ.—სექტემბ.	56,8	13,6	29,6
ოქტ.—დეკემბერი	46,3	24,4	29,3

ეს სარკეა მთელი იმ საოცარი დიდი საკანონმდებლო და საადმინისტრაციო საფინანსო მუშაობისა, რომელიც ჩვენ მცირეოდნავ აღვსახეთ ზემოთ. ამხ. სოკოლნიკოვი ამბობს: გადასახადის აპარატმა სავსებით გაამართლა ჩვენი იმედიო (იხ. მისი „**От дензнака к твердой валюте**“) ხსენებული ცხრილი აშკარავებს მთელ რევოლიუციას ემისიის გადასახადების დარგში. ცხრილი ჩვენ გვეუბნება, რომ საბჭოთა კავშირის ფინანსიური მდგომარეობა მტკიცდება, მაგრდება, რომ ფულის საბეჭდავ დაზგას შავი დღე უთენდება. 1923 წელში ეს პროცესი გაღრმავდა და განვითარდა. 23 წელში სახელმწიფოს რეალური, პირდაპირი შემოსავლით დაიფარა მთელი 84,6 პროც., ემისიას დარჩა რაღაც 15,4 პროც. ემისია, საბჭოთა ძველი ნიშნების როლი შემცირდა, ის ფაქტიურად გამოილევა. ამხ. სოკოლნიკოვი აცხადებს: „საბჭოთა ნიშნების გამოცემის პოლიტიკას არსებობა არ შეუძლიან არა მარტო ეკონომიური მიზეზების გამო, არამედ პოლიტიკურადაც, ვინაიდან იგი „**превращается в открытую форму перманентного государственного банкротства**“. იგივე სოკოლნიკოვი განაგრძობს: „უმთავრესი საფრთხე იმაში კი არ მდგომარეობს, რომ ხელიდან გვეცლება საბჭოთა ნიშანი, არამედ იმაში, რომ ჩვენ საკმაო გონება და ძალა ვერ გამოვიჩინოთ, რომ თავის დროზე უარვყოთ იგი“. ამას ამბობს სახალხო კომისარი, რომელსაც მიზნად აქვს დასახული დაიცვას და განამტკიცოს ფულის ნიშანი. ამას შემდეგ აშკარაა, ფულის ნიშნების დღეები დათვლილი იყო, აშკარა იყო, რომ ჩვენ უახლოეს მომავალში დავდგებოდით კიდევ ახალ და შესანიშნავი აქტების წინაშე.

ერთი რამ უნდა მოვაგონო მკითხველებს. საბჭოთა მთავრობის მთელი კანონმდებლობა ემყარება არა ფანტაზიას, არა ოცნებას, არამედ იმ დუღილს, იმ ნამდვილ ცვლილებას, რომელსაც ადგილი აქვს ეკონომიურს ცხოვრებაში. ამიტომ ქვეყანას, ხალხს სრულიად დამშვიდებით და იმედით შეუძლია შეხვდეს საბჭოთა მთავრობის ყოველს ახალს და დიდ საქმეს: რეფორმებს საძირკველი აქვს, საფუძველი მტკიცე და იგი არ შეიძლება გამარჯვებით არ დამთავრდეს. თუ ეს ითქმის საზოგადოდ ყოველ სოციალურ მოვლენაზე, კიდევ მეტის უფლებით შეგვიძლიან, გავიმეოროთ საფინანსო საქმეებზე.

1923 წელში საბჭოთა კავშირის ვაჭრობა, მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი, საერთოდ მთელი აღებ მიცემობა დაწინაურდა და მოგვარდა. სოფლის მეურნეობა აღდგა ომამდე არსებული ნორმის 75 პროცენტამდე, მრეწველობამ საშუალოდ გადააჭარბა 50 პროც. და საგარეო ვაჭრობამ მიიღო ბალანსში აქტიური ხასიათი.

გატანილი იყო:

1920—1 წ. წ.	20,0 მილ. მან.
1921—1 „ „	63,9 „ „
1922—2 „ „	133,2 „ „

უკანასკნელ წლამდე ჩვენ იმპერიალისტურ სახელმწიფოებთან გვქონდა პასიური ვაჭრობა. 1921 წელში ჩვენ შემოგვეტანია 188,1 მილ. მანეთით მეტი, ვიდრე გაგვეტანია, ხოლო 1922 წელში მეტი შემოგვეტანა 188,2 მილ. მანეთის ოქროთი. სიმშილის და ეკონომიური დაცლის დროს, რასაკვირველია, ასეთი მდგომარეობა აუტანელი და საშინელია. მაგრამ მდგომარეობა ძირ-ფესვიანად იცვლება 1923 წლიდან. ხსენებულს წელში ჩვენ შემოგვეტანია თითქმის 60 მილიონის ნაკლები, ვიდრე 22 წელში, გავიტანეთ კი 50 მილიონზე მეტი 22 წელთან შედარებით. მარტო 11 თვის განმავლობაში ჩვენ საგარეო ვაჭრობიდან დაგვრჩა 40 მილიონზე მეტი, ხოლო 1923—4 წლის განმავლობაში გეგმითი მუშაობა ამ თანხას აღიდებს 250 მილიონ მანეთამდე. *)

ჩვენ არც ამ საკითხს შეგვიძლიან აქ მეტის დაწვრილებით შევეხოთ. წმინდა საფინანსო პოლიტიკის დარგში გაუმჯობესებულ ეკონომიკამ წარმოშვა აზრი საბჭოთა ნიშნების გვერდით, გასწვრივ, პარალელად მაგარი ნიშნების გამოცემისა. ჩვენ მივიღეთ ასეთი ნიშნები ჩერვონცების, სერტიფიკატების და ცენტროკასის ვალდებულებების სახით. არსებითად ამ ვალიუტამ, ჩვენმა საკუთარმა მტკიცე ფულის ნიშნებმა უკვე გამოდევნეს საბჭოთა ნიშნები (ზონები) 1923 წლის 1 იანვრისათვის ფულის ბაზარზე საბჭოთა ნიშნების მთელი ღირებულება უდრიდა 113,1 მილიონ მანეთს, ხოლო ეს თანხა სისტემატიურად დაეცა და 1924 წლის თებერვალში დავიდა 39,1 მილ. მანეთამდე. ფაქტიურად ეს ნიშნავდა საბჭოთა ნიშნების სრულიად გარიყვას. ამავე დროს კი საბჭოთა კავშირის მტკიცე ფულები იპყრობდნენ იმ ადგილებს, რომელსაც აკარგვინებდნენ ნიშნებს. 1923 წლის 1 იანვრისათვის ჩერვონცები და სერტიფიკატები გამოშვებული იყო სულ 130 მილიონი მანეთის, ხოლო 1924 წლის 16 თებერვლისათვის 373,0 მილ. მანეთის. აქედან, აშკარად ხდება, რომ ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში ჩერვონცებს უკვე თითქმის 10-ჯერ მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე საბჭოთა ნიშნებს.

რასაკვირველია, ჩერვონცების გამოშვებას არ აქვს ინფლიაციის ხასიათი. მისი გამოცემა განსაზღვრულია კანონით და იგი შეიძლება გამოშვებული იქნეს მხოლოდ ოქროსი და სხვა რეალური სიმდიდრის დაგროვების და გარანტიის ქვეშ. ამა წლის საემისიო ბალანსი სახელმწიფო ბანკისა ჩვენ გვიჩვენებს ბანკის გამგეობის დიდ სიფრთხილეს, წინდახედულობას ამ საქმეში და დღემდე მთელი გამოცემული ჩერვონცებით არც არის ამოწურული სახბანკის საემისიო უფლება. ჩერვონცები უზრუნველყოფილია თითქმის 50 პროც.-ით, რაიცა აღემატება სტერლინგის უზრუნველყოფას, ხოლო ფრანკის შედარება ხომ სრულიად არ შეიძლება ჩერვონეცთან. ჩერვონეცი ხდება მსოფლიო მანეთად, ის წინ უსწრებს თანდათან სტერლინგს და უახლოვდება ამერიკულ დოლარებს.

ასეთი იყო მდგომარეობა, როცა 1924 წელი გათენდა. საბჭოთა ნიშნებმა ფაქტიურად დაკარგეს მნიშვნელობა საბჭოთა ნიშნები მხოლოდ ხელს უშლიდენ ჩერვონცებს, ის აძვირებდა ცხოვრებას, ავიწროებდა მუშა ხალხს, საემისიო გადასახადში ქაოსი შეჰქონდა.

შეუძლებელი იყო ასეთი მდგომარეობის შენახვა. სასწრაფო ზომები იყო საჭიროებული და ეს განადგურებული ფულის ნიშნებისათვის სათანადო სამარე გაეთხარათ.

24 წლის 14 თებერვალს გამოიცა კანონი საბჭოთა ნიშნების გამოცემის აკრძალვის შესახებ.

ამავე წლის 22 თებერვალს გამოიცა კანონი ვერცხლის და სპილენძის ფულის გამოშვების შესახებ.

9 მარტს გამოიცა კანონი გამოცემულ ნიშნების გამოსყიდვის და მისი სრულიად ალკვეთის შესახებ.

ამავე დროს ყოველივე ანგარიში განაშორეს ნატურის ანგარიშიდან და ყველაფერში გადავიდნენ ოქროს ანგარიშზე.

ასე დათავდა ამბავი ქაღალდის ფულების გამოცემისა. ეს დიდი საფინანსო რეფორმა, როგორც ხედავთ არის დასასრული, დამთავრება 1921 წლიდან დაწყებული კამპანიისა.

ეს აქტი მეორე ოქტომბერია საბჭოთა კავშირისათვის. ეს ღონიერების ხანაა, ახალი ეპოქაა ეკონომიკისათვის, მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლია მტკიცე რწმენა ჰქონდეს მუშას, გლეხს, ყოველ მშრომელს, რომ მისი ეკონომიური კეთილდღეობა უფრო სწრაფი ნაბიჯით წავა წინ, ვიდრე ეს ხდებოდა დღემდე.

ჩვენ ყველანი ვართ რეფორმასთან და რეფორმის ქვეშ. ჩვენ ყველანი ვიბრძვით რეფორმის ბრწყინვალედ ჩატარებისათვის.

გაუმარჯოს ფულის რეფორმას,— [illegible] მოიცვას მთელს კავშირს და ყოველმა მუშამ, ყოველმა გლეხმა ხელი შეუწყოს მისი მტკიცე გატარებას.

თედო ღლონტი.

---

*) სხარტი ცნობები იხ. **Рыков: „Хоз. пол. сов. республик и очеред. зад. Эк. политики“ М. 1924 г.**

სამუშაო ხელფასის საკითხი ფულის რეფორმასთან დაკავშირებით

ხანგრძლივი დავა, რომელიც გაჩაღდა უკანასკნელ თვეებში პროფესიონალურ და სამეურნეო მუშაკებს შორის სამუშაო ხელფასის გამოანგარიშების მეთოდების საკითხის გარშემო და ირჩეოდა გაცხარებით და თავგამოდებით პრესის ფურცლებზე, უეცრად დასცხრა შრომის და თავდაცვის საბჭოს 1 მარტის დადგენილებით და მან სრული კონკრეტიული გადაჭრა ჰპოვა, საბჭოთა კავშირში მტკიცე ფულის ტრიალის დამყარებასთან დაკავშირებით.

ეს რეფორმა გამოწვეული იყო საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მომავალი ნორმალური განვითარებისათვის მტკიცე საფუძვლის შექმნის აუცილებლობით.

რამდენადაც სამეურნეო ორგანოების ხარჯთაღრიცხვა აგებული იყო ერთ გამოანგარიშებაზე—ჩერვონეცით,—იმავე სამეურნეო ორგანოებში ხარჯთაღრიცხვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილის—სამუშაო ხელფასის გამოანგარიშების მეორე მეთოდის არსებობა აფერხებდა მთელი ხარჯთაღრიცხვის სისწორით და ნათლად დაყენებას მთლიანად და აძნელებდა ანგარიშებს, განსაკუთრებით ჩვენი აპარატების კიდევ საკმაოდ მოუწესრიგებლობის დროს.

პროფესიონალურ მუშაკებს ეს კარგად ესმოდათ, ისინი კარგად ითვალისწინებდენ ამას. მაგრამ დაუთმობლობა და სიმტკიცე, რომელსაც ისინი იჩენდენ დღემდე საქონლის მანეთის, როგორც სამუშაო ხელფასის გამოანგარიშების მეთოდის შენარჩუნების საკითხში, აიხსნებოდა მით, რომ მათ სურდათ დაეცვათ მშრომელთა სამუშაო ხელფასი სახელდობრ ფულის ტრიალის მერყეობისაგან, ბაზრის „კაპრიზებისაგან“ და სხვ...

ცდამ, რომელიც მათ მოახდინეს სახალხო მეურნეობის ზოგიერთ დარგებში სამუშაო ხელფასის ჩერვონეცის ანგარიშზე გადასაყვანად, მოიტანა უარყოფითი შედეგები, რადგანაც სამუშაო ხელფასი არ იყო უზრუნველყოფილი ფასის დაკარგვისაგან, და ამან კიდევ უფრო გაძლიერა მათი სიმტკიცე და დაუთმობლობა ამ დარგში. ისინი თანახმა იყვნენ ჩერვონეცის ანგარიშზე გადასვლაზე მხოლოდ იმ პირობით, თუ რეგულიარულად იწარმოებდა სამუშაო ხელფასის დონის შესწორება, პროდუქტების საბიუჯეტო შენაწყობის საბაზრო ღირებულებასთან შეფარდებით, ესე იგი იმ პირობით, თუ სამუშაო ხელფასი იქნებოდა სავსებით უზრუნველყოფილი დაწევისაგან, სიძვირისათვის ყოველთვიური სათანადო მომატების გზით.

როგორი ცვლილებაა მოსალოდნელი სამუშაო ხელფასის დარგში მიმდინარე ფულის რეფორმასთან დაკავშირებით და უზრუნველყოფილია თუ არა რეალური სამუშაო ხელფასი დაწევისაგან, ამიერ-კავკასიის უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს დადგენილების შემდეგ სამუშაო ხელფასის ოქროს ვალიუტაზე გადატანის შესახებ?

ამ საკითხზე პასუხის გაცემა არ არის ძნელი, თუ გავიგებთ ამიერ-კავკასიის უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს დადგენილების ნამდვილ მნიშვნელობას და ჩაუფიქრდებით ამჟამად მიმდინარე ამბების შინაარსს.

ამიერ-კავკასიის უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს № 11 დადგენილებას პირველ მუხლში გარკვევით და ნათლად არის ნათქვამი იმის შესახებ, რომ „სამუშაო ხელფასის გამოანგარიშების წესების შეცვლამ არ უნდა გამოიწვიოს სამუშაო ხელფასის იმ რეალური დონის დაწევა, რომელიც დამყარებულია კოლექტიური ხელშეკრულებებით“. ბევრი შეიძლება შეაშინოს დაბალმა პარიტეტმა, რომელიც დაწესებულია სამუშაო ხელფასის მტკიცე ვალიუტაზე გადასაყვანად, ე. ი. 1 მან. 30 კაპ. ჩერვონ. თვითეულ საქონლის მანეთზე, იმის ნაცვლად, რომ ფაქტიურად იყო 1 მან. 90 კ. და მეტი. მაგრამ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს იმავე დადგენილებაში ჩვენ ვნახულობთ გარკვეულ პასუხს იმაზედაც, რომ ყოველთვიურად დამატებით ეძლევა გადახდილი „პროცენტული მომატება სიძვირისათვის თვითეულ გადახდილ მანეთზე, ე. ი. განსხვავება მტკიცე პარიტეტსა და შენაწყობის ადგილობრივ ღირებულების შორის მტკიცე ვალიუტით“.

ამ რიგად ცხადი ხდება, რომ **მომატება სიძვირისათვის წარმოადგენს რეალური სამუშაო ხელფასის შენარჩუნების სრულ გარანტიას და არსებითად კი ეს არის იმავე რეალური საქონლის მანეთის დატოვება, ვინაიდან საბიუჯეტო შენაწყობი (პირობითი ათეული), როგორც სამუშაო ხელფასის დონის მაჩვენებელი, რჩება მომავალშიაც; ცნობების შეკრება მისი ღირებულების შესახებ მოხდება მომავალშიაც და პროდუქტების ამ შენაწყობის ღირებულების მიხედვით, რომელიც შეფასებული იყო წინათ 10 საქ. მანეთში, იქნება განსაზღვრული ყოველთვიურად სამუშაო ხელფასის დამატების რაოდენობაც ოქროს ვალიუტით.**

ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიეცეს იმ კომისიების მუშაობას, რომლებიც დაარსდება სიძვირისათვის ხელფასის მომატების დასაწესებლად.

და კავშირებმაც ფხიზელი თვალყური უნდა ადევნონ იმას, რათა არავითარ შემთხვევაში არ იქნეს დაშვებული ინდექსის დაწევა საბიუჯეტო შენაწყობის ღირებულების განსაზღვრის დროს.

ამიერ-კავკასიაში—ახალი ხურდა ვალიუტის საკმაო რაოდენობის შემოსვლამდე, შესაძლებელია მოხდეს უმნიშვნელო კრიზისი, მაგრამ მას არსებითი მნიშვნელობა არ ექნება მუშა-მოსამსახურეებისათვის, ვინაიდან მთელი რიგი ღონისძიებებისა, რომელთაც ატარებს საბჭოთა ხელისუფლება ფულის რეფორმასთან პარალელურად, (ფასების გაიაფება კვების პროდუქტებზე და პირველი მოთხოვნილების საგნებზე, კომუნალური სამსახურის გაიაფება და სხვ.) დიდ დახმარებას უწევს ამ რეფორმის უმტკივნეულოდ გატარებას ცხოვრებაში და რეალური სამუშაო ხელფასის შენარჩუნების სრულ უზრუნველყოფას.

პირიქით, მტკიცე ვალიუტა საგრძნობლად ამაღლებს სამუშაო ხელფასის სყიდვითი უნარს, ესე იგი მტკიცე ვალიუტის გარეშე არ იქნება მტკიცე საბაზრო ფასებიც, ხოლო ამ ჟამად შინაური ვაჭრობის კომისიის მიერ დაწესებული ფასები, ცხადია, მტკიცე ფასებს წარმოადგენენ, ვინაიდან განუმტკიცებელ ფულის ნიშნების მოსპობით ისპობა ის მიზეზები, რომლებიც გავლენას ახდენენ სიძვირის ზრდაზე, და მუშა-მოსამსახურეები ამით უეჭველად მოიგებენ.

ამ რეფორმის შემოღებით მექანიკურად ისპობა ის დავა, რომელსაც ხშირად ადგილი ჰქონდა კავშირებსა და სამეურნეო მუშაკებს შორის სამუშაო ხელფასის გამოანგარიშების და გასტუმრების ვადის შესახებ.

სამუშაო ხელფასის მტკიცე ვალიუტით გამოანგარიშებაზე გადასვლა, ცხადია, კოლოსალურ მუშაობას მოითხოვს პროფკავშირებისაგან, მაგრამ ჩვენ დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი ღირსეულად გაუმკლავდებიან ამ მუშაობას; ეს დაგვიმტკიცა ჩვენ იმ სხვა, არა ნაკლებ მნიშვნელოვანი კამპანიების გამოცდილებამ, რომელთა გატარება მათ უხდებოდათ დღემდე.

ცხადია, საჭირო იქნება ამ მუშაობის სიფრთხილით ჩატარება, ვინაიდან ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გაურკვეველი, რაც შეთვისებული იქნება თვით მუშაობის პროცესში.

გაურკვეველი, სხვათა შორის, რჩება საკითხი საბჭოთა დაწესებულებების მოსამსახურეთა შესახებ, რომლებიც ითვლებიან სახელმწიფო მინიმუმზე და სადაც არ არის კოლექტიური ხელშეკრულებები. კავშირებმა უსათუოდ უნდა იზრუნონ იმაზე, რათა აღნიშნულმა რეფორმამ არ გააღრმაოს ამ კატეგორიის მუშათა ისედაც მძიმე მატერიალური მდგომარეობა.

ყოველ შემთხვევაში, კავშირებმა ეს გადასვლა უნდა მოახდინონ მტკიცეთ და გაბედულად და მხოლოდ ამ მუშაობის შედეგების შემდეგ შესაძლებელი იქნება იმ სარგებლობის გათვალისწინება, რომელიც მოაქვს ამ რეფორმას მშრომელებისათვის.

ვინ გაიმარჯვა ორი თვალსაზრისის „ბრძოლის“ შემდეგ: საქონლის მანეთის მომხრეებმა თუ ოქროს ვალიუტის მომხრეებმა?.

სწორი იქნება, თუ ვიტყვით: ორთავე მხარემ, ვინაიდან არსებითად გაიმარჯვა საღმა აზრმა, რომელიც ნაკარნახევი იყო სახელმწიფო აუცილებლობით, საბჭოთა კავშირის მთელი მუშათა კლასის სასარგებლოდ.

ზოგიერთი სულმოკლე და ვიწრო პოლიტიკოსები მაინც ფიქრობენ, რომ მიმდინარე რეფორმა მოითხოვს მუშათა კლასისაგან ზოგიერთ „მსხვერპლს“. ასე მსჯელობა ნიშნავს მუშათა კლასისათვის ამ რეფორმის დიდი მნიშვნელობის შეუფასებლობას და იმის შეუძლებლობას, თუ როგორ გავლენას იქონიებს ის, კერძოთ, სამუშაო ხელფასის დონეზე, მაგრამ უკანასკნელზედაც, ვიმეორებ, ამ სკეპტიკოსებს შეუძლიათ იმსჯელონ მხოლოდ ბოლოს განსაზღვრული ცდის შედეგის შემდეგ. რაც შეეხება „მსხვერპლს“, თუ ასეთი საჭირო იქნება,—მუშათა კლასს, რომელსაც არა ერთხელ შეუწირავს თავისი სისხლი პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცებისათვის გაფთრებული სამოქალაქო ომის წლებში, ასეთი „მსხვერპლიც“ არ შეაშინებს.

ი. კ.

ფულის რეფორმა და შრომის ხელფასი

(ამხ. სემკოვის მოხსენება საქართველოს პროფსაბჭოს გაფართოებულ პლენუმზე)

17 მარტს, საღამოს, მუშათა სასახლის დარბაზში შეიკრიბა საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პლენუმი საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტებთან და საკონფლიქტო შემფასებელ კომისიების მუშათა ფრაქციების წარმომადგენლებთან ერთად. ამხ. სემკოვმა გააკეთა მოხსენება: „ფულის რეფორმა და შრომის ხელფასი“.

ახალი გზით

პროფმუშაკებმა იციან,—დაიწყო ამხ. სემკოვმა,—რომ არ შეიძლება რაიმე ეკონომიური ღონისძიების გატარება, რომელსაც პოლიტიკური მნიშვნელობა არ ჰქონდეს. ამიტომ ფულის რეფორმა, რომელიც ამჟამად ტარდება, წარმოადგენს ერთ-ერთ ეტაპს რევოლიუციონურ მშენებლობაში.

ფულის რეფორმა მშრომელთა საერთო საქმეა.

ფულის რეფორმა მშრომელთა საერთო საქმეა, რადგანაც მის სწორათ და წარმატებით ჩატარებაზეა დამოკიდებული მუშურ-გლეხური საბჭოთა სახელმწიფოს ბედი. ამას გარეშე, საჭიროა ერთგვარი მსხვერპლი. პირველი მსხვერპლი მდგომარეობს ჯგუფური ინტერესების მუშათა კლასის ისტორიული ინტერესებისათვის დამორჩილებაში.

სოციალისტური მეურნეობა და ახალი ეკონ. პოლიტიკა.

ამავე დროს ფულის რეფორმა წარმოადგენს ბრძოლას ორგვარ მეურნეობას შორის—სოციალისტურ მეურნეობასა და ახალ ეკონომიურ პოლიტიკას შორის. ამ ბრძოლაში მონაწილეობა უნდა მიიღონ მშრომელთა ფართე მასსებმა იმისათვის, რომ სოციალისტურმა მეურნეობამ გაიმარჯვოს ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე.

ფინანსიური ქაოსი, რომელიც დღემდი არსებობდა, არის იმპერიალისტური ომის შედეგი და არა საბჭოთა სახელმწიფოს დამახასიათებელი თვისება.

როცა ბოლშევიკებმა ხელში ჩაიგდეს ძალაუფლება, ხმარებაში უკვე 22 მილიარდის მანეთის ქაღალდის ფული იყო.

ოქროს მნიშვნელობა და ხასიათა ამხ. ლენინმა, რომელმაც სთქვა, რომ როცა ჩვენ საბოლოოთ გავიმარჯვებთ, მაშინ ოქროდან საზოგადო ფეხსადგილებს გავაკეთებთო; მაგრამ სანამ ასეთი საბოლოო გამარჯვება არ არის, მანამდი მგლებთან მგლურად უნდა ვიცხოვროთ და ვეცადოთ უფრო იაფად ვიყიდოთ და უფრო ძვირად გავყიდოთ. ამჟამად უკვე სამასი მილიონი არის უზრუნველყოფილი ოქროთი და ასეთი შარაგზით საბჭოთა ხელისუფლებამ შესძლო ფინანსიური რეფორმის დაწყება.

ჩერვონეცი—მტკიცე ფულის ნიშანი.

ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში საბჭოთა ფულის ნიშნები ეცემოდა, ჩერვონეცი კი ზევით იწევდა. მაგრამ ნუ დაუწყებთ ჩერვონეცს ქება-დიდებას; მოვუსმინოთ რას ამბობენ მის შესახებ ჩვენი მტრები დასავლეთ ევროპაში: გირვანქა სტერლინგი 1914 წელში ღირდა 9 მ. 96 კაპ., 23 წელს იგი ღირდა 11 მ. 66 კაპ. ჩერვონცებით, 1924 წ. კი—მხოლოდ 9 მანეთი და 40 კაპ; დოლარი 23 წ. ფასობდა—2 მ. 60 კაპ., 1924 წელს მხოლოდ 2 მ. 20 კაპ. ეს საუკეთესო დახასიათებაა ჩერვონეცისათვის.

კურსის დაცემა და მტკიცე ფულის ნიშანი

მტკიცე ფულის ნიშანის უქონლობის გამო ფულის სყიდვითი ძალა ეცემოდა. ამიტომ ვაჭრები ფულების დასაზღვევად ფასის დაკარგვისაგან უმატებდენ ფასებს 30—40 პროცენტით, ზოგ საქონელზე კი 200 პროცენტს. საბჭოთა მთავრობამ დეკრეტით ფულის რეფორმის შესახებ, შემოიღო მტკიცე ფული, რომელიც უზრუნველჰყოფს საქონლის ბრუნვის ყველა პროცესებს კურსის განსხვავებისაგან, ეს კი თავის მხრივ გამოიწვევს ფასების დაკლებას.

მტკიცე ფასები საქონელზე.

ამიერ-კავკასიაში შინვაჭრობის კომისიამ დააწესა ფასები მარილზე და ნავთზე. განზრახულია მტკიცე ფასების დაწესება სხვა საქონელზეც, რაც იძულებულს გახდის კერძო ვაჭრობას დაემორჩილოს კოოპერატიულ და სახელმწიფო ვაჭრობას.

მაგრამ ეს არის არა მარტო შინავაჭრობის კომისიის, არამედ ყველა მუშების ამოცანა. მუშები უნდა შევიდნენ წევრათ მუშათა კოოპერატივებში, ყველანი უნდა გახდნენ მუშათა კოოპერატივის არა მარტო წევრები, არამედ მყიდველებიც.

ფულის რეფორმა და შრომის ხელფასის საკითხი.

ამჟამად მრავალი სატარიფო ცხრილები არსებობენ. ფულის რეფორმის გატარების დაწყების გამო, პროფმუშაკებს მოუხდებათ მუშაობა ერთიანი ტარიფის შემოსაღებათ და გასატარებლად. ერთიანი ტარიფის შემოღება მოსპობს ახლა არსებულ არევდარევას ხარისხებაში დანაწილებაში და შრომის ხელფასში.

ისეთ პირობებში, როცა ფულის ნიშნების ღირებულება ეცემოდა, არსებობდა შრომის რეალური ღირებულების რამდენიმე საზომი. ამ საზომთა შორის საყოველთაოდ ცნობილია ე. წ. „საქონლის“ მანეთი. ეს მანეთი, მტკიცე ფულების უქონლობის პირობებში ყველაზე უკეთესად გამოჰხატავდა შრომის რეალურ ხელფასს. მაგრამ სანამ მუშა მიიღებდა ფულს ის კარგავდა შრომის ჯილდოს 30—40 პროცენტს, კურსის დაცემის გამო.

ამიტომ გასაგებია ის ენტუზიაზმი, რომლითაც ლენინგრადისა და მოსკოვის მუშები შეხვდენ ფულის რეფორმას.

ამ გარდამავალ მომენტში საბჭოთა ხელისუფლებას არ შეუძლია აიღოს კურსი შრომის ხელფასის გადიდებისაკენ, მაგრამ ჩვენს წინაშე დგას ჩამორჩენილი ჯგუფების (მასწავლებლების, მედიცინის მუშაკების და სხ.) წინ წაწევის ამოცანა, შესაძლებლობის ფარგლებში.

დამატება სიძვირის გამო.

სანამ მტკიცე ფასები დაწესდებოდეს მთავარ საარსებო საგნებზე, მუშის რეალური ხელფასის დასაცავად, შემოღებულია დამატება სიძვირისათვის. დამატება სიძვირის გამო ვრცელდება მუშაკების იმ ჯგუფებზე, რომლებიც 1-ლ მარტამდე შრომის ხელფასს საქონლის მანეთით იღებდნენ და რომლებიც პირველი მარტიდან გადაყვანილი იქნენ ჩერვონულ ანგარიშზე მტკიცე პარიტეტით, 1 მ. 30 კ. ჩერვონცებით ერთ საქონლის მანეთში.

არ ვრცელდება დამატება მუშაკების იმ ჯგუფზე, რომლებიც გადაყვანილი იქნენ ჩერვონულ ანგარიშზე სხვადასხვა პარიტეტით პირველ მარტამდი და აგრედვე იმ პირებზე, რომლებიც სპეც-ჯილდოს იღებენ.

დასასრულ მომხსენებელი ამბობს, რომ დადგენილება შრომის ხელფასის 80 პროცენტის მტკიცე ვალიუტით გადახდის შესახებ ჩვენში ჯერ ჯერობით ვერ გატარდება მთლიანად, მაგრამ 25—30 პროც. მიცემული იქნება, კერძო წარმოებებში კი უნდა მივაღწიოთ, რომ მტკიცე ვალიუტით მიცემული იქნეს 100 პროც.

ამხ. ჟულელის თანამოხსენების შემდეგ ქართულ ენაზე პლენუმმა ერთხმად მიიღო შემდეგი

რეზოლიუცია:

„საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს გაფართოებულმა პლენუმმა საქარხნო-საფაბრიკო, ადგილობრივ კომიტეტებთან და საკონფლიქტო-შემფასებელ კომისიების მუშათა ფრაქციების წარმომადგენლებთან ერთად მოისმინა რა ამხ. სემკოვისა და ჟულელის მოხსენება ფულის რეფორმისა და შრომის ხელფასის შესახებ, ადასტურებს:

1. რომ შრომის ხელფასის ჩერვონულ ანგარიშზე გადაყვანით და სიძვირის გამო განსხვავების გაცემის წესის შემოღებით ისპობა დღემდი არსებული შრომის ხელფასის ფასის დაკარგვა.

2. ანგარიშს უწევს—რა ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების თანამედროვე ეკონომიურ მდგომარეობას, პლენუმი სწორათ სთვლის შრომის ხელფასის არსებული დონის დაცვას, ჩამორჩენილი ჯგუფების წინწაწევით.

3. მაგრამ სახალხო კომისარიატების მუშაკების ზოგი ჯგუფის შრომის ხელფასის საგრძნობათ ჩამორჩენის გამო, პლენუმი საჭიროთ სთვლის ამ ჯგუფების ხელფასის შეძლებისდაგვარათ აწევას.

4. ფართე მოხმარების საგნებზე სიძვირის შესამცირებლად პლენუმი საჭიროდ აღიარებს ფასების დაკლებას ამ პროდუქტებზე, სახელმწიფო ორგანოების მიერ ვაჭრობის მოწესრიგების და კოოპერაციისათვის გაძლიერებული დახმარების გაწევის საშუალებით.

5. უწევს რა ანგარიშს იმ მდგომარეობას, რომ დღევანდელ მომენტში ობიექტიური პირობების გამო შეუძლებელია მთელი შრომის ხელფასის მტკიცე ვალიუტით გაცემა, პლენუმი გამოსთქვამს იმედს, რომ მიღებული იქნება სათანადო ზომები ახლო ხანში მთელი შრომის ხელფასის მტკიცე ვალიუტით გასტუმრების განსახორციელებლად.

6. პლენუმი ავალებს პრეზიდიუმს შეიმუშაოს კავშირების მიერ სათანადო ღონისძიებების გატარების გეგმა.

7. პლენუმი სრულ დახმარებას აღუთქვამს ცხოვრებაში ფულის რეფორმის გატარებას და თავის მხრივ მოუწოდებს პროფკავშირების წევრთა ფართე მასებს გაიმსჭვალონ ფულის რეფორმის ღრმა მნიშვნელობის შეგნებით, რადგან ეს ფულის რეფორმა გაამაგრებს საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის საძირკველს და ყოველმხრივ შეუწყონ ხელი მის განხორციელებას“.

თვითმშრომელ მუშა-ხელოსანთა კავშირის შესახებ

აგერ, მგონი, ეს ორი წელია, რაც ტფილისში არსებობს თვითმშრომელ მუშა-ხელოსნების კავშირი, რომელსაც შრომის კომისარიატისაგან წესდებაც აქვს დამტკიცებული. თვითმშრომელი ხელოსნები, ნახევარ პროლეტარებათ ჩაითვლებიან. მათი კავშირი შესდგება სამი ათასი წევრისაგან; წევრთა რიცხვი დღითი-დღე იზრდება.

ამ კავშირს აქვს კლუბი ტფილ. აღმასკომისაგან გადაცემული. ამ კლუბში ზამთარ-ზაფხულ სცენაც აქვთ მოწყობილი და წარმოდგენებიც იმართება სამ ენაზე, უფრო ხშირად ქართულ-სომხურ ენებზე, აქვე არის სამკითხველო, წიგნთსაცავი, სადაც მოიპოვება ქართული, რუსული და სომხური ყოველდღიური გაზეთები და თანამედროვე ლიტერატურა.

მუშა-ხელოსნებს ჯერ კიდევ ბევრი რამ აკლიათ, მუშაობა მათ შორის არ არის სათანადო დონეზე დაყენებული.

მათ წინმსვლელობას აფერხებს ფინანსიური სიღარიბე, ამასთან მათი შეკავშირება და გათვითცნობიერების გზაზე დაყენება ახალი საქმეა თვითმშრომელ მუშა-ხელოსნებისთვის, აკლიათ გამოცდილება.

საჭიროა თვითმშრომელ ხელოსანთ სათანადო ყურადღება მიექცეს, როგორც შრომის კომისარიატისაგან, ისე კომუნისტური პარტიისაგან და უფრო მეტად სოციალური უზრუნველყოფის კომისარიატისაგან, რადგან მის მფარველობის ქვეშ იმყოფება თვითმშრომელ ხელოსანთა კავშირი. თვითმშრომელ ხელოსნებშიც უნდა შევიდეს გონებრივი სინათლე და კულტურული შეგნება. ეს საზოგადოება შემდგარია თითქმის სულ უპარტიო წევრთაგან, ამათში ირიცხებიან ყველა ეროვნების და ყველა დარგის ხელოსნები და თითქმის 80 პროცენტი კი—წერა-კითხვის უცოდინარები არიან, ამიტომ პირველი ამოცანაა მათი ამ უცოდინარობის მოსპობა და კულტურულ-პოლიტიკური შემეცნების დონის ამაღლება.

თვითმშრომელ ხელოსანთა კავშირის წევრები საქმიანობაში უნდა ჩავაბათ. მუშათა კლასის ინტერესები განუმარტ გაურკვიოთ, ქონებრივ-გონებრივ გაუმჯობესების ნათელი გზა დავანახვოთ, და მერე თავისი საკუთარი უნარით და შემეცნებით თავის საკუთარ ცხოვრებასაც მოაწყობენ, მუშა-გლეხთა ხელისუფლების აღმშენებლობაში ენერგიულ მონაწილეობასაც მიიღებენ და თავგანწირულათაც დაიცავენ მუშათა და გლეხთა ინტერესებს.

უფრო დაახლოებით გავეცნოთ თუ ვინ არიან ეს თვითმშრომელი ხელოსნები. თვითმშრომელი ხელოსნები მხოლოდ თვითონ მუშაობენ თავის ხელობაზე და არა ჰყავთ დაქირავებული მუშა.

მათ კავშირში შეუძლიათ იყვნენ წევრებათ ყველა დარგის თვითმშრომელი ხელოსნებს—დურგალი, ბოჩკის მკეთებელი, ჩოთქის მკეთებელი, მეჩექმე, ხარაზი, მექუდე, ხარატი, მლებავი, ზეინკალი, მჭედელი, მეხამუტე, მეუნაგირე, მესაათე და სხვ.

საკუთრებას სათითაოთ ამ ხელოსნებისას შეადგენს თითო ხელი იარაღი, რომლითაც თითონ მუშაობენ, და ამით თითონ და თავის ცოლშვილსაც არჩენენ.

და ეს ხელოსნებივე ჯეროვნათ ჰქმნიან, აკეთებენ საზოგადოებისთვის საჭირო საგნებს, ნივთებს, ოჯახში სახმარებელ საციქველს, რომლითაც სარგებლობენ ქალაქის თუ სოფლათ მომხმარებლები, ვინაიდან ჯერ ჩვენში არ არსებობენ ისეთი ფაბრიკა-ქარხნები, რომლებიც თავისი ნაწარმოებით დააკმაყოფილებენ ჩვენი მომხმარებელი საზოგადოების ყველა მოთხოვნილებებს.

უმუშევრებმა ხელოსნებმა ცუდათობას და სიმშილს არჩიეს სახლში, ან ორ-სამ დარგის ხელოსნებმა ერთი თვალი დუქანი რომელიმე მივარდნილ ქუჩაში, ნოტიო სარდაფში, ან სარდაფის კუთხეში მოთავსდენ, და ყველა თავ თავის ხელობაზე მუშაობენ.

ბევრ ადგას შენიშნავთ, რომ ერთ [illegible] ნები მოთავსებულან, რომ ქირა იოლად გადაიხადონ, აგრეთვე შეხვდებით ქალაქის განაპირა უბნებში ხელოსნებს, რომლებიც თავის საცხოვრებელ ბინებში მუშაობენ თავისი ცოლშვილებით, რომლების ბინებიც, სადაც 5-6 სული ცხოვრობს, მათი საცხოვრებელიც არის და სახელოსნოც.

არიან კიდევ ამ ზემოთ ხსენებულ კავშირის წევრები, რომელთაც რომელიმე დიდ ეზოში დაუდგამთ თუ დაუქირავებიათ ბუტკები და აკეთებენ წუღებს, კლიტეებს, ტახტ-სკამს და სხვა ავეჯეულებს, ან შეაკეთებენ ასეთ ძველ საგნებს.

არიან კიდევ ეზოები, სადაც სამჭედლოებია და სადაც ქმარს ცოლი უროს დამკვრელათ და შვილი ქურის დამბერავათ ჰყავს, მამა კი სჭედავს და აკეთებს კარ-ფანჯრების ანჯამა რაზა-კოჭაკებს. აი ეს შინამრეწველი, თვით მშრომელი ხელოსნები ამზადებენ თავიანთ ხელობის ნაწარმოებს და გააქვთ ბაზარზე თუ ქუჩებში გასაყიდათ, სადაც შეხვდებით, განსაკუთრებით იარმუკაზე ყოველ ჯურის გასაყიდ ავეჯეულობას, წუღა-ჩუსტებს, ქუდ-ტანისამოსს, სკამს, მაგიდას, ჩოტკებს, ჩექმებს და სხვას რაც გინდათ.

ყველა ესენი კეთდება წვრილი „კუსტარი“ თვითმშრომელ ხელოსანთა ხელით, რომლითაც სარგებლობს ჩვენი მომხმარებელი საზოგადოება.

აგრეთვე შეხვდებით ისეთ ხელოსნებსაც, რომელთაც აქვთ მოძრავი სახელოსნო. მათ ხურჯინში ან კალათაში უწყვიათ იარაღი და მასალის ნაჭერ-ნუჭერი. დადიან ქუჩა ეზოებში და იძახიან „პაჩინკა“ ვისა გაქვთო. ამ დარგშიაც ყველანაირი ხელოსნები არიან, და ეს ხელოსნებიც მცხოვრებლებს უკეთებენ „პაჩინკებს“, კლიტეს, გაშმაკებს, სკამებს, ხონებს და სხვა.

აი ეს ხელოსნებიც ამ თვითმშრომელ კავშირის წევრები არიან.

მართალია, ისეთი „კუსტარებიც“ არიან, რომლებსაც გამოჩენილ ქუჩებზე აქვთ სახელოსნოები და მაღაზიებიც, მაგრამ ჩვენი თვითმშრომელი ხელოსანთა კავშირი მათ არ ღებულობს თავის კავშირში წევრებად.

მართალია, რომ პირველ ხანებში თვითმშრომელ ხელოსანთა კავშირში ისეთებიც მოჰყვნენ, რომელთაც დაქირავებული მუშები ჰყავდათ და საკუთარი სახლებიცა ჰქონდათ, აგრედვე ღარიბ ხელოსნებიდან ნაყიდ საქონლითაც ვაჭრობდენ და სპეკულიანტობას და ჩარჩობასაც ეწეოდენ, მაგრამ ასეთი პირები უკვე ამ საზოგადოებიდან გაიდევნენ და გაიწმინდა საზოგადოება.

ასეთ პირებს კი არ ესიამოვნათ თვითმშრომელ ხელოსანთ კავშირიდან გაპანღურება და დაიწყეს პროვოკატორული მოქმედება ეს ექსპლოატატორები თავიანთი ვექილებით უნდა აილაგმონ. ხოლო თვითმშრომელთა კავშირს, რომელშიც შედიან მარტო თავისი ხელით მომუშავე ხელოსნები უნდა მიექცეს მეტი ყურადღება.

ზ. ხოფრიაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხაშურის მუშების დელეგაცია „კომუნისტი“-ს რედაქციაში

რედაქციაში შემოვიდა გუშინ ხაშურის მუშების დელეგაცია ამხ. **ხიმშინ ბაბლიძის, იასონ მამაცაშვილის, სერგო ქაჩეთელიძის, შუშანა ალბრეხტის და დიმიტრი ზაზიაშვილის** შემადგენლობით.

დელეგაცია აირჩია 16 მარტს ხაშურში შემდგარ 700 მუშის კრებამ და გამოგზავნა ტფილისში ამბროსის პროცესზე უზენაეს სასამართლოსთვის იმ რეზოლიუციის გადასაცემათ, რომელიც მიიღო კრებამ, და სადაც სასტიკი პროტესტია გამოთქმული კონტრ-რევოლიუციონური სამღვდელოების და მის დამცველთა („სოციალისტ“ ნ. ნიძის მეთაურობით) მიმართ.

დელეგაცია უკვე გაემგზავრა ხაშურში.

გირვ. (წინა მეოთხედში—140,138 გირ.); ასანთის წარმოებამ—612 ყუთი (წინა კვარტალში 763) და კოლოფების წარმოებამ—2597 ათასი კოლოფი. თამბაქოს წარმოების შემცირება აიხსნება იმით, რომ ბაზარზე გამოიტანეს იაფფასიანი საკონტრაბანდო თამბაქო, რის გამოც ტრესტის თამბაქოზე მოთხოვნილება შემცირდა. ტრესტის საერთო პროდუქციას, წინა კვარტალთან შედარებით, მოემატა მხოლოდ 2 პროცენტით.

ნედლეული: ლაგოდეხის პლანტაციებიდან ტრესტი მოელის შემოსავალს 35 000 ფ. თამბაქოს, მაგრამ ეს თამბაქო გამოშვებული იქნება წარმოებაში მხოლოდ 1924 წლის შემოდგომაზე. ჯერ-ჯერობით კი ტრესტი უზრუნველყოფილია ძველი მარაგით 4 თვით და ამ მხრივ დაბრკოლებებს არ განიცდის.

რეალიზაცია: თავის ნაწარმოებს ტრესტი ასაღებს ცენტრალური სავაჭრო სამმართველოს საშუალებით. კონკურენცია, რომელსაც უწევდნენ უკრაინის და როსტოვის ტრესტები, უკვე აცილებულია მიღებულ ზომებით (ფასების დაკლება, საკრედიტო ვადების გაფართოება და სხვ.). საილუსტრაციოდ მოგვყავს შემდეგი ცხრილი:

	პაპირ. 10 ც.	თამბ. გირვ.	თანხა.
ოქტომბ.—	9.074	3100	71.199 მ.
ნოემბ. —	12.143	5114	103.693 „
დეკემბ. —	11.997	2445	89.682 „

ამ ცხრილიდან ჩანს, რომ პაპიროსის რეალიზაცია ნოემბერში გადიდდა 34 პროც., ხოლო თამბაქოსი—65 პროც.-ით; დეკემბერში პაპიროსი გასაღებულია იმდენივე, როგორც ნოემბერში, ხოლო თამბაქოს რეალიზაცია დეკემბერში დაეცა 85 პროც.-ით ნოემბერთან შედარებით. მოვლენა, როგორც უკვე აღნიშნულია, გამოწვეული იყო საკონტრაბანდო თამბაქოს კონკურენციით.

1924 წლის დასაწყისში ტრესტმა არამც თუ აიცილა კრიზისი, არამედ ხელთ იგდო როგორც ადგილობრივი ბაზარი, ისე ბაქოს რაიონი და თურქესტანშიც შეიჭრა, სადაც იანვარში გაყიდულია 7 მილიონი ცალი პაპიროსი. მოთხოვნილება მოდის აგრეთვე ვოლგის რაიონიდან, კერძოდ ცარიცინის რაიონიდან, საიდანაც დაკვეთილია 2 მილ. პაპიროსი. ამრიგად ტრესტმა სძლია ყოველივე კონკურენცია და მეორე კვარტალში შესძლებს საგრძნობლად გააფართოვოს თავისი წარმოება.

მეაბრეშუმეთა ყრილობა სამტრედიაში

ინსპექციის წარმომადგენელი, რომელიც მივლინებული იყო ქ. სამტრედიაში კოოპერატიულ პუნქტების წარმომადგენელთა ყრილობაზე, გადმოგვცემს შემდეგს: კოოპერატიულ პუნქტთა წარმომადგენლების ყრილობას დაესწრო დაახლოებით 80 დელეგატი როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოდან. ყრილობამ გაარჩია საკითხი გასული—1923 წლის აბრეშუმის პარკის ოპერაციის კამპანიის ჩატარების შესახებ, საიდანაც გამოირკვა, რომ 1923 წელს პარკის ოპერაცია საერთოდ დამაკმაყოფილებლად ჩატარებულა. სულ გასულ წელს ყოფილა შეკრებილი 63,527 ფ. 21 გირ. ნაცვლად 40—45 ათასი ფუთისა, რომელიც ნავარაუდევი ყოფილა სასურსათო კომისარიატის მიერ, რომელმაც ცეკავშირს გასული წლის ივნისის რიცხვებში გადასცა პარკის მონოპოლიის უფლება და ჩაბარა საქმეები. ოპერაციის საქმე შეუფერხებია რამდენიმე ტფილისიდან უვარგის დამპალ-დახეულ ტილოების გადაგზავნას, რომელიც გამოუსადეგარი აღმოჩნდა აბრეშუმის პარკისათვის, მაგრამ ენერგიული ზომების საშუალებით მოსალოდნელი ამ მხრით ზარალი თითქმის თავიდან აცილებული ყოფილა. აგრეთვე საკმაო ფარდულების უქონლობას გამოუწვევია ცეკავშირის ადგილობრივ ორგანოების მხრივ დიდი ენერგია, რათა აცილებულ ყოფილიყო მოსალოდნელი ზარალი. ყრილობაზე, სხვათა შორის, იქნა აღნიშნული (შეიძლება ობიექტიურ მიზეზებიდან დამოკიდებული) დეფექტები, რომელსაც გამოუწვევია ზოგადი უკმაყოფილება გლეხ-მეაბრეშუმეებში, სახელდობრ, რომ გლეხებს არა იშვიათად ეძლეოდათ ავანსის ანგარიშში ისეთი შედარებით ძვირფასიანი მანუფაქტურა, რომელიც მას ვერ აკმაყოფილებდა და მოითხოვდა უფრო იაფ მანუფაქტურის მიცემას. და შემდეგ ის, რომ 1922 წ. ძაფის დივიდენდი დღესაც არ არის დარიგებული გლეხებზე. პირველ დეფექტს ალბად მომავალ სეზონში ადგილი არ ექნება, რადგან პირობები ამისათვის უკვე ხელსაყრელია; რაც შეეხება მეორეს, ცეკავშირის გამგეობის წევრები დაპირდნენ ყრილობას ამ საქმის ტფილისში დაბრუნებისას სასწრაფო მოგვარებას. მუშათა და გლეხთა ინსპექციაც შეეცდება გამოარკვიოს რა მიზეზით დაგვიანდა დღემდე გლეხებზე კუთვნილ დივიდენდის დარიგება. ყრილობაზე გამოირკვა, რომ მომავალ წელში უნდა შეკრებილ იქნას 100 ათასი ფუთი ნედლი პარკი აქედან ჩანს, რომ პარკის წარმოება ჩვენში თანდათანობით იზრდება და ახლოა ომამდე არსებულ ნორმასთან. საჭიროა მხოლოდ იმ ორგანოს მიერ, რომელსაც მინიჭებული აქვს აბრეშუმის პარკზე მონოპოლიური უფლება და არის ამ საქმის ბატონ-პატრონი, მიიღოს ყველა საჭირო ზომები სასოფლო მეურნეობის ამ მეტად შემოსავლიან და მნიშვნელოვან სპეციალურ კულტურის ასაყვავებლათ. თუმცა ამ მხრივ ზოგი რამ არის გაკეთებული, როგორც, მაგალითად, მოწვეული არიან იტალიელი სპეციალისტები, რომლებიც ვანის რაიონში აწარმოებენ თესლის დამზადებას, აღდგენილია სამტრედიის ძაფის საქსოვი ფაბრიკა, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში არ მუშაობდა, და სხვა, მაგრამ კიდევ ბევრი უნდა გაკეთდეს და რაც ადრე იქნება ზომები მიღებული ამ საქმის რაციონალურ ნიადაგზე დასაყენებლად, მით მეტს მოიგებს ჩვენი ქვეყნის მეურნეობა.

ყრილობის დელეგატთა დაკითხვიდან გამოირკვა, რომ კოოპერატიული პუნქტები ეწევიან სამზადისს, აკეთებენ ფარდულებს და საერთოდ იღებენ საჭირო ზომებს, რათა ოპერაციის ჩატარებას მზათ დახვდნენ. თუ ცეკავშირი არ დააგვიანებს თესლის მაბრეშუმეებზე დარიგებას და საერთოდ შეასრულებს იმ დაპირებებს, რომელიც ყრილობაზე იყო მიცემული, უნდა ვიფიქროთ, რომ დასახული გეგმა გატარებული იქნება. ყრილობამ დაამტკიცა ცეკავშირის გამგეობის მიერ შემუშავებული მომავალი წლის აბრეშუმის პარკის კალკულიაცია. ყრილობამ არ განუხილავს და არც განიხილავდა დეტალურად კალკულიაციის თითოეულ შემადგენელ ელემენტებს. მუშათა და გლეხთა ინსპექცია განიხილავს ამ კალკულიაციის დაწვრილებით და შეეცდება ყოველივე ზედმეტი ხარჯები ჩამოაცილოს მას.

აბრეშუმის პარკის მონოპოლიის შესახებ ყრილობამ ერთხმად გამოსთქვა აზრი, რომ მონოპოლია პარკის საჭიროა და რომ ეს მონოპოლია უნდა დარჩეს ცეკავშირის ხელში.

დ.

მებამბეობის საქმე ამიერ-კავკასიაში

თუმცა წარსულ წელში ბამბის წარმოებელ ორგანიზაციების მოქმედება შესაჩნევ წარმატებით ჩატარდა, მაგრამ ამ საქმის განსახილველად მოწვეულმა საგანგებო თათბირმა აღმოაჩინა ორგანიზაციების მოქმედებაში მთელი რიგი დეფექტებისა და შეცდომებისა, რომლების გასწორება მომავლისათვის საჭიროა. საქმის გაფართოება და გაუმჯობესება უნდა აწარმოებდეს ამიერ-კავკა- [illegible] სი ეკონომიური საბჭოების ხელმძღვანელობით.

ამიერ კავკასიის საბამბო რაიონების სამეურნეო პირობების მიხედვით თათბირმა შესაძლებლად სცნო მომავალ ბამბის კამპანიისათვის დაითესოს: აზერბეიჯანში 47,500 დესეტინა, სომხეთში 18,000 დეს. და საქართველოში 4,000 დეს. სულ 67,500 დესეტინა.

რათა სახელმწიფოს მოქმედებამ ამ საქმე [illegible] და საშუალებების კონცენტრაციით, საჭიროა სახელ. მთელი კომერციული მუშაობა რესპუბლიკანურ საბამბო საზოგადოებების ხელში გადავიდეს.

თათბირის აზრით შემდეგში, როცა სასოფლო კოოპერაცია გაძლიერდება მებამბეობის საქმე მთლად უნდა გადავიდეს კოოპერატიულ ორგანიზაციების ხელში, ამჟამად მტკიცედ დაყენებული დაბალი საფეხურის კოოპერატივები უნდა ჩაებან პრაქტიკულად ამ საქმეში, აწარმოონ საკუთარი ძალებით ბამბის თესვა, მონაწილეობა მიიღონ საბამბო ამხანაგობების ხელშეკრულებების დადებაში მებამბეებთან როგორც თავდებებმა, რომ ორივე მხარე აასრულებს დადებულ ხელშეკრულებას და სხვა. კერძოდ საქართველოსთვის მებამბეობის საქმე და კოოპერაციის მასთან დამოკიდებულება მოწესრიგებული უნდა იქნეს საქართველოს უმაღლეს ეკონომიური საბჭოს მიერ.

კერძო კაპიტალის მუშაობა ამ საქმეში არა-სასურველია.

პრინციპიალურად დაშვებულია მებამბეობის საქმეში საკონცესიო კაპიტალის მონაწილეობა, რის ფორმები და პირობები შემუშავებული უნდა იქნეს ა.-კ. სახელმწიფო ორგანოების მიერ.

გარდა წმინდა კომერციულ ხასიათის ამოცანებისა, სახელმწიფო ორგანიზაციების როლი ამ საქმეში უნდა გამოიხატოს აგრეთვე იმგვარ პირობების შექმნაში რომლებიც უფრო სწრაფად აღორძინებენ მებამბეობას, მაგ. სარწყავი არხების გაყვანა და აღდგენა, აგრიკულტურული ზომები და სხვა.

ტფილისის ბირჟის კომიტეტში

წარმომადგენლის გაგზავნა საკავშირო საბირჟო კრებაზე.

კომიტეტმა დაადგინა მომავალ საბირჟო კრებაზე, რომელიც გაიხსნება მარტის მეორე ნახევარში მოსკოვში, გაგზავნოს ამ კრებაზე თავისი წარმომადგენელი, კომიტეტის თავმჯდომარე ქ. ჩხენკელი, და უკეთუ იგი ვერ შესძლებს რაიმე მიზეზით წასვლას, გაიგზავნოს მისი ამხანაგი ი. ორბელოვი.

დახმარება ბირჟის კლუბის ბაღისთვის

კომიტეტმა გადადო თავის თანხებიდან 400 მან ბაღის მოსაწყობად „საქმიან კლუბთან“ რომელიც გაიხსნება ბირჟასთან ზაფხულში.

კოოპერაცია

სოფ. გომი (გორის მაზრა)

ს. გომში 11 თებერ გაიხსნა სასოფლო სამეურნეო კოოპერატივი „გლეხთა კომაგი“, რომელმაც ბაზრის ფასებით შეწუხებულ გლეხობას დიდი იმედები გაუღვიძა, დღემდის გლეხი ჰყიდდა ფუთ პურის ხორბალს 55 კაპიკათ და სიმინდს-კი 38 კაპიკათ, ერთ არშინ ჩითს კი ყიდულობდა 60 კ. დღეს-კი კოოპერატივი ფუთ პურის ხორბალს იღებს 80 კაპ. სიმინდს 50 კაპ და ერთ არშინ ტილოს აძლევს 40 კაპ. საპონი ბაზარზე ღირს 33 კაპ. და კოოპერატივში 27 კაპ.

ერთი ფუთ ქვა-მარილს ბაზარზე უნდა სამი ფუთი ხორბალი პური, ხოლო კოოპერატივიდან კი ერთი ფუთ პურით გლეხს ერთი ფუთი და 10 გირ. მარილი მიაქვს სახლში, თუ რამდენათ დააფასა თავის კომაგი „კოოპერატივი“ გლეხობამ, ეს იქიდანაც ნათლად ჩანს რომ პირველ მარტს ბრუნვა უდრიდა 835 მანეთს და კოოპერატივი ამჟამად პურის ხორბალში ერთ ფუთში აძლევს 1 მ. 20 კაპ სიმინდში 65 კაპიკათ, ბაზარზე ღირდა ერთი ფუთი პურის ხორბალი 1 მანეთი. სიმინდი კი 55 კაპ.

აქნაირად კოოპერატივი „გლეხის კომაგი“ ამართლებს გლეხობის იმედს, სამწუხაროდ მისი თანხა ძალიან მცირეა, უდრის სულ ხუთას ჩერვონეცს. საჭიროა რაიმე წყაროებიდან ამ თანხის გადიდება.

ბ. ტ.

პროფკავშირებში

რკინის გზელთა კავშირში

რკინისგზელთა ტფილისის საუბნო პროფკავშირის მუშაობა.

მეოთხე საუბნო ყრილობის დადგენილებები ორგანიზაციული საკითხების შესახებ დადებითად იქნა განხორციელებული, გარდა პროფესიონალურ მუშაკთა მოკლევადიანი კურსების დაარსებისა. კურსების გახსნა ტეხნიკურად შეუძლებლად და მიზანშეუწონლად იქნა ცნობილი სამაგიეროთ მიღებული იქნა ინსტრუქციების მიწოდების მეთოდი; უბნის მუშაკები უნდა ესწრებოდნენ ადგილკომების სხდომებს, საზოგადო სადელეგატო კრებებს, მოწვეულ უნდა იქნეს საორგანიზაციო თათბირები სხვადასხვა საკითხების შესახებ, ადგილებს უნდა მიეწოდოს აუცილებელი დებულებები და ინსტრუქციები, ანგარიშში უნდა ეწეოდეს პარტკომების დადგენილებებს დაშვებულ შეცდომების გამოსწორების მიზნით. მოხსენებების მოსმენის და მათ გარშემო კამათის გზით ადგილკომების წევრები სწავლობენ მუშაობას და ღებულობენ გამოცდილებებს შემდეგი მუშაობისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ ზემოდ მოყვანილმა მეთოდმა დადებითი შედეგები მოიტანა. ამჟამად ადგილკომების უმრავლესობა მუშაობს სწორათ და თუ ადგილი აქვს სისუსტეს, ზოგიერთ მათგანში, ეს უნდა ახსნილ იქნეს სხვადასხვაგვარ დაბრკოლებებით, რომლებიც წინ ეღობება მათ მუშაობას. თავის შემდეგ მუშაობაში საორგანიზაციო საკითხების დარგში პრეზიდიუმი ხელმძღვანელობდა რკინისგზელების სრულიად საკავშირო ყრილობის, უკანასკნელთა კონფერენციის დადგენილებით და ამიერ რკინისგზელთა პროფკავშირის დირექტივებით.

ახალი ბაქტერიოლოგიური სადგური

გლეხის ე. ი. სოფლის მუშის მეურნეობაში შინაურ პირუტყვს და ფრინველს ერთი თვალსაჩინო ადგილთაგანი უკავია. მეურნეობის მოსაწყობათ თუ მიწაა საჭირო არა ნაკლებ საჭიროა ხარ-კამეჩი, ცხენი, ღორი, ცხვარი, ფრინველი.

საბჭოთა მთავრობამ გლეხის უმთავრეს საჭიროებებს იმ თავითვე აუღო ალღო, დააკმაყოფილა გლეხი საკმაო მიწით, მაგრამ ეს არ კმაროდა. შემდეგ უნდა ეზრუნა მას გლეხის საქონელზე და, როგორც ვიცით, გლეხის საქონლის და ფრინველის უმთავრესი მტერი-კი სხვადასხვა გადამდები სენებია.

უმთავრესი გადამდებ სენის—მსხვილფეხა საქონლის ჭირის—წინააღმდეგ ზომები—საბჭოთა მთავრობამ კაი ხანია მიიღო, დაარსა და მოაწყო რიგიანათ შრატის დამამზადებელი სადგური ს. ტაბახმელაში.

მეორე არა-ნაკლებ საშიშარ გადამდებ სენის ციმბირის წყლულის ასაცრელ მასალების დამამზადებელი ლაბორატორიაც მოაწყო მან ქ. ტფილისში ამ ორი წლის წინეთ.

მაგრამ კიდევ ბევრი გადამდები სენი დარჩა, მაგალითათ, ღორის ჭირი, ჰემორაგიული სეპტიცემია, ღორის წითელი ქარი, ქათმის ხოლერა, ღორის სეპტიცემია, ცხვრის ყვავილი და სხვა, რომლების წინააღმდეგაც ჩვენში არ მზადდებოდა ასაცრელი მასალები, საზღვარგარეთ კი მზადდებოდა. ამ ჩამოთვლილ სენებს—კი საქონლის ჭირსა და ციმბირის წყლულზე ნაკლები ზარალი არ მოაქვთ გლეხის ოჯახისათვის.

მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის ვეტ-სანიტარულ სამართველოს ცნობებით გასულ 1923 წელში ღორის ჭირი მძვინვარებდა 9 მაზრაში, ქუთაისისა, ბორჩალოსი, თელავის, გორის, ზუგდიდის, ოზურგეთის, ტფილისის, სენაკის და შორაპანისაში. 15 პუნქტზე, საცა სენი იქნა აღმოჩენილი, გახდა ავათ 353 სული, მოკვდა 111, მაგრამ ეს რიცხვი სინამდვილესთან ძალიან დაშორებული უნდა იყოს, რადგან სოფლის ხალხი ყოველთვის არ ატყობინებდა ვეტ-ექიმს სენის გაჩენას, უმეტესათ სდუმდა. მიზეზი დუმილისა კი იყო ის გარემოება, რომ ვეტ-ექიმს ასაცრელი მასალა არ მოეპოვებოდა და უამისოთ კი [illegible] ხი ზედმეტათ და ამაოთ სთვლიდა ვეტ-ექიმის დაძახებას.

ამიტომ დიდი შეცდომა არ იქნება, თუ ჩვენ ათჯერ გავამრავლებთ ღორის ჭირისაგან მიყენებულ ზარალს ე. ი. ვიანგარიშებთ რაოდენობას 1000 სულამდე.

ქათმის გადამდებმა სენმა ხოლერამ ხომ გასულ წელს მუსრი გაავლო ჩვენში შინაურ ფრინველს.

იმავე მიწათ-მოქმედების სახ. კომისარიატის ვეტსანიტარულ სამართველოს ცნობებით ქათმის ხოლერა აღმოჩენილი იყო 1923 წელს 9 პუნქტზე, საცა ავათ გახდა 1410 სული და მოკვდა 1129 სული, მაგრამ აქაც ცნობები დაშორებულია სინამდვილისაგან. ზარალი გაცილებით მეტი უნდა იყოს იმავე მიზეზით, რომელიც ჩვენ ზევით მოვიხსენიეთ ღორის ჭირზე როცა ვლაპარაკობდით. ასაცრელ მასალის უქონლობა ვეტ ექიმს ხელფეხს უბორკავდა და ის ვერაფერს შველოდა ავადმყოფ ფრინველს. გლეხიც ამის გამო არ აცხადებდა სენის გაჩენას, არ იწვევდა ვეტ-ექიმს.

ესევე ითქმის დანარჩენ გადამდებ სენებზედაც. ასაცრელ მასალების უქონლობა ხელფეხს უბორკავდა ვეტ-მუშაკთ და ვერავითარ ზომებს, გარდა სანიტარულის და პროფილაქტიურისა, ვერ იღებდენ ისინი მათ წინააღმდეგ. ამ ქროლობის გათვალისწინებაზე მიწათ-მოქმედების სახ. კომისარიატის ვეტსანიტარული სამართველო ეთ წელიწადზე მეტია, რაც ფიქრობდა. ზამთარში ჰქონდა განზრახვა დაეარსებინა კახეთში ს. ნაფარეულში გადამდებ სენების წინააღმდეგ ასაცრელ მასალების დამამზადებელი სადგური, მაგრამ იქ სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ მოხერხდა, შემდეგ ის ფიქრობდა ს. ტაბახმელაში მოეწყო, მაგრამ აქაც აღმოჩნდა მოუხერხებელი. დღეს უკვე პრაქტიკული ნაბიჯი გადაიდგა ასეთ სადგურის მოსაწყობათ სოფელ ოსიაურში, ქალაქ ხაშურიდან ორო ვერსის მანძილზე ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრივ, ყოფილ მემამულის ვეზირიშვილისეულ მამულში, საცა დიდი ორ სართულიანი სახლია, დიდი თავლა, გაყვანილია წყალსადენი. მხოლოთ დასჭირდება მცირე შეკეთება. იქვე ახლო აგრეთვე [illegible] ვეტერინარო სამართველოს უკვე გადმოეცა ხსენებული მამული გორის მაზრის აღმასკომის მიერ, რაზედაც დაიდო უკვე ხელშეკრულობა 22 თებერვალს. მიღება მოხდა 26 თებერვალს.

სადგურის მოწყობა მიენდო ვეტექიმს ი. გ. ხუციშვილს, რომელიც უკვე შეუდგა წინასწარ სამუშაოს შესრულებას.

ვფიქრობთ, რომ თვით ოსიაურის მდებარეობა საქართველოს ცენტრალ ადგილას დიდათ სახეირო იქნება სადგურისათვის და უკანასკნელი ადვილათ გაუძლებს საქართველოს ყველა კუთხეს, როგორც იმერეთს, ისე ამერეთს.

ასეთი ინსტიტუტი პირველია ამიერ-კავკასიაში, დიდი შრომა და ხარჯი დასჭირდება მის მოწყობას და გამართვას, მაგრამ თუ სახეში მივიღებთ იმ სარგებლობას, რომელსაც ის მოუტანს მომავალში ჩვენს მესაქონლეობას და შინაურს ფრინველს, სრულებითაც არ უნდა შეგვეშინდეს ხარჯების და შრომისა.

მ.

უზენაესი სასამართლოს განაჩენი კათალიკოს ამბროსის საქმის გამო

რეზოლიუცია

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის სახელით 1924 წ. მარტის 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 8 და 19 დღეებში რესპუბლიკის უზენაეს სასამართლომ თავის საჯარო სხდომაზე შემდეგი შემადგენლობით:

თავმჯდომარე: გ. ჩხეიძე.
წევრნი: გ. რთველაძე,
გ. წიწვაძე.
ბრალმდებელნი: 1. ნ. მაკვარიანი,
2. ნ. ოკუჯავა.
საზოგადო ბრალმდებელი:
ალ. ერქომაიშვილი.
მდივანი: აბაკელია.

განიხილა რა საქმე ბრალდებისა გამო ბესარიონ ზოსიმეს ძე ხელაიასი (სამღვდელოებაში სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქი ამბროსი), ნესტორ ანდრიას ძე ლეჟავასი (სამღვდელოებაში ქუთაისის მიტროპოლიტი ნაზარი), ქვაშვეთის ეკლესიის წინამძღვრის დეკანოზ კალისტრატე მიხეილის ძე ცინცაძის, დიდუბის ეკლესიის წინამძღვრის დეკანოზ იოსებ დიმიტრის ძე მირიანაშვილის, ქვაშვეთის ეკლესიის დეკანოზ დიმიტრი ივანეს ძე ლაზარიშვილის, მცხეთის საპატრიარქო ტაძრის წინამძღვრის არქიმანდრიტ პავლე ჯაფარიძის, ვერის ნიკოლოზის ეკლესიის წინამძღვრის ანტონ მაქსიმეს ძე თოთიბაძის, სიონის ტაძრის წინამძღვრის მარკოზ პავლეს ძე ტყემალაძის, საკათალიკოსო საბჭოს ყოფილი მმართველის იასონ კაპანაძის, საკათალიკოსო საბჭოს წევრთა ნიკოლოზ ივანეს-ძე არჯევანიძის და ნიკოლოზ ყარამანის-ძე თავდგირიძის—იმ ბოროტმოქმედებათა ჩადენაში, რომელიც გათვალისწინებული სისხ. სამ. კოდექსის 10, 15, 16, 60, 69 მუხლის მე 3 ე ნაწილში, 73, 116-ის მუხლის მე 2 ე ნაწილში და 131 მუხლში,—ჰპოვა:

ბოროტმოქმედება გათვალისწინებული სისხ. სამ. კოდ. 60 მუხლით, რაიც მოითხოვს უმაღლეს სასჯელს—სიკვდილით დასჯას—უნდა ჩაითვალოს ხაზებით დამტკიცებულად.

მაგრამ სასამართლომ მიიღო რა მხედველობაში ბესარიონ ზოსიმეს-ძე ხელაიას და აგრეთვე საკათალიკოსო საბჭოს სამართალში მიცემულ წევრთა, პირველი—ღრმა მოხუცებულობა, მეორე—მათ მიერ საბჭოთა ხელისუფლების გადაჭრითი ცნობა, მესამე—ბრალდებულ ბესარიონ ხელაიას, იგივე კათალიკოს ამბროსის მიერ თავის გენუის კონფერენციისადმი მემორანდუმით მიმართვის შეცდომათ აღიარება და მეოთხე—ის გარემოება, რომ ვინაიდან ისინი საქართველოს მშრომელთა მასაში არ სარგებლობენ არავითარი ნდობითა და გავლენით და ამიტომ განმტკიცებულ არსებულ ხელისუფლებისათვის არ წარმოადგენენ არავითარ საშიშროებას,—

დაადგინა:

ბრალდებულ ბესარიონ ხელაიას (სამღვდელოებაში კათალიკოს—პატრიარქი ამბროსი), საკათალიკოსო საბჭოს წევრთ—კალისტრატე ცინცაძეს, იასონ კაპანაძეს—დაუსწრებლად, ნიკოლოზ თავდგირიძეს, იოსებ მირიანაშვილს და მარკოზ ტყემალაძეს თანახმად სისხ. სამ. კოდექსის 10, 13, 15, 16, 60 73 მუხლებისა;

2) იმავე ბრალდებულთ ბესარიონ ხელაიას, კალისტრატე ცინცაძეს, იასონ კაპანაძეს, ნიკოლოზ თავდგირიძეს, იოსებ მირიანაშვილს, მარკოზ ტყემალაძეს და აგრეთვე ანტონ თოთიბაძეს თანახმად სისხ. სამ. კოდექსის 10 და 69 მუხლის მე-3 ე ნაწილისა;

3) ბრალდებულთ ბესარიონ ხელაიას, ნესტორ ლეჟავას და არქიმანდრიტ პავლე ჯაფარიძეს თანახმად სისხ. სამართლის კოდექსის 15, 16, 10 და 105 მუხლებისა,—მიესაჯოთ: ბრალდებულ ბესარიონ ზოსიმეს ძე ხელაიას (სამღვდელოებაში კათალიკოს-პატრიარქი ამბროსი) მისთვის, რომ მან საკათალიკოსო საბჭოს წევრებთან კალისტრატე ცინცაძესთან, იოსებ მირიანაშვილთან, იასონ კაპანაძესთან, მარკოზ ტყემალაძესთან და ნიკოლოზ თავდგირიძესთან წინასწარ შეთანხმებით და ერთად შეადგინა და გაუგზავნა გენუის კონფერენციას მოწოდება იმ მიზნით, რომ გამოეწვია უცხო სახელმწიფოების ჩარევა საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის საქმეებში (ინტერვენცია); რა ბოროტმოქმედებაც აღნიშნულია სისხლის სამ. კოდ. 10 და 60 მუხლებში—**თავისუფლების აღკვეთა ცხრა წლით, სასტიკი იზოლიაცია და მთელი მისი ქონების კონფისკაციით;**

2) იმავე ბრალდებულ ბესარიონ ხელაიას მისთვის, რომ სხვა ზემოაღნიშნულ საკათალიკოსო საბჭოს წევრებთან ერთად შეადგინა და გაუგზავნა რა გენუის კონფერენციას მემორანდუმი—მოათავსა შიგ კონტრრევოლიუციონურ მიზნით ცრუ ხმები, ვითომ საქართველოს ერს ართმევენ ქონებას და გააქვთ საზღვარგარეთ, მიწა წყალს ურიგებენ სხვა ტომის შემოხიზნულ ხალხს და სხვ. და სხვ., რა ბოროტმოქმედებაც გათვალისწინებულია ს. ს. კოდ. 73 მუხლში—**თავისუფლების აღკვეთა ორი წლის ვადით გამასწორებელ სახლში მოთავსებით**; 3) იმავე ბრალდებულს ბესარიონ ხელაიას, აგრეთვე ნესტორ ანდრიას ძე ლეჟავას (სამღვდელოებაში მიტროპოლიტი ნაზარი) და არქიმანდრიტ პავლე პლატონის ძე ჯაფარიძეს მისთვის, რომ საქართველოს გასაბჭოების შემდეგაც განაგრძობდნენ ყოფილ მენშევიკურ მთავრობის დროს ტფილისიდან გატანილ და ქუთაისში მიწაში ჩაფლულ მცხეთისა და სიონის ტაძრების განძეულობის დამალვას, რა ბოროტმოქმედებაც აღნიშნულია სისხ. სამ. კოდექსის 15, 16, 10 და 105 მუხლებში—**იძულებითი მუშაობა თვითეულ მათგანს ერთი წლის ვადით;**

4. იმავე ბრალდებულ ბესარიონ ხელაიას თანახმად სისხ სამ. კოდ. 69 მუხლის მე 3 ნაწილისა—ერთი წლიწადით თავისუფლების აღკვეთა; სისხლის სამართლის კოდექსის 30 მუხლის ძალით ბესარიონ ხელაიასადმი იმავე კოდექსის 73, 69 მუხლის მე 3-ე ნაწილში და 105 მუხლში აღნიშნულ ქმედობის ჩადენისათვის მისჯილი სასჯელი დაფარულ იქნეს იმავე ბრალდებულისათვის თანახმად სისხ. სამ. კოდექსის 10 და 60 მუხლებში აღნიშნულ ქმედობის ჩადენისათვის მისჯილ სასჯელით და ცალკე სისრულეში მოყვანილი არ იქნეს; თანახმად სრულიად საქართველოს ცენტ. აღმასრულებელ კომიტეტის 1923 წლის 8 მარტის ამნისტიის მე 2 ე მუხლისა მისჯილთ ნესტორ ანდრიას ძე ლეჟავას და არქიმანდრიტ პავლე პლატონის ძე ჯაფარიძისათვის **დადებული სასჯელი სრულიად მოხსნილ იქნას**; სისხლის სამართლის კოდექსის 31 მუხლის ძალით მისჯილ ბესარიონ ხელაიას დადებულ სასჯელში ჩაეთვალოს **დრო მის მიერ წინასწარ პატიმრობაში გატარებული.**

4) საკათალიკოსო საბჭოს წევრთ—იასონ კაპანაძეს, კალისტრატე ცინცაძეს, ნიკოლოზ თავდგირიძეს, იოსებ მირიანაშვილს და მარკოზ ტყემალაძეს მისთვის, რომ მისჯილ ხელაიასთან წინასწარ შეთანხმებით და ერთად შეადგინეს და გაუგზავნეს გენუის კონფერენციას მოწოდება იმ მიზნით, რათა გამოეწვიათ უცხო სახელმწიფოების საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის საქმეებში ჩარევა (ინტერვენცია), რაიც გათვალისწინებულია ს. ს. კოდ. 10 და 60 მუხლებში—თავისუფლების აღკვეთა პირველს—იასონ კაპანაძეს ცხრა წლით, დანარჩენთ კალისტრატე ცინცაძეს, მარკოზ ტყემალაძეს, ნიკოლოზ თავდგირიძეს და იოსებ მირიანაშვილს—**ხუთი წლის ვადით თვითეულ მათგანს სასტიკი იზოლიაციით და ქონების კონფისკაციით.**

5) იმავე ბრალდებულ იასონ კაპანაძეს, კალისტრატე ცინცაძეს, ნიკოლოზ თავდგირიძეს, იოსებ მირიანაშვილს და მარკოზ ტყემალაძეს მისთვის, რომ შეადგინეს და გაგზავნეს რა გენუის კონფერენციაზე მოწოდება—მოათავსეს შიგ ცრუ ხმები, ვითომ საქართველოს ხალხს ართმევენ ქონებას და ეზიდებიან საზღვარგარეთ და სხვა,—რა ქმედობაც გათვალისწინებულია სისხ სამ. კოდ. 73 მუხლში—**თავისუფლების აღკვეთა თვითეულს თითო წლის ვადით;**

6) ბრალდებულთ მარკოზ ტყემალაძეს, კალისტრატე ცინცაძეს, ნიკოლოზ თავდგირიძეს, ნიკოლოზ არჯევანიძეს და ანტონ თოთიბაძეს სისხ. სამ. კოდ. 69 მუხლის მე-3 ე ნაწილში აღნიშნულ ქმედობისათვის **თავისუფლების აღკვეთა ერთი წლის ვადით თვითეულ მათგანს სასტიკი იზოლიაციით**; თანახმად სისხლის სამართლის კოდექსის 30 მუხლისა მისჯილი კალისტრატე ცინცაძეს, ნიკოლოზ თავდგირიძეს, იოსებ მირიანაშვილს და მარკოზ ტყემალაძისათვის იმავე კოდექსის 10 და 60 მუხლების ძალით დადებული სასჯელით დაფარულ იქნას იმავე ბრალდებულთათვის თანახმად ს. ს. კოდ. 73 და 69 მუხლის მე-3 ნაწილის დადებული სასჯელი და ეს უკანასკნელი სისრულეში მოყვანილი არ იქნეს; სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის 1923 წლის 25 თებერვლის ამნისტიის მე-2 ე მუხლის ძალით მისჯილთ თოთიბაძესა და არჯევანიძეზე **დადებული სასჯელი სრულიად მოხსნილ იქნას.**

გარდა ამისა სასამართლომ მიიღო რა მხედველობაში:

1) შესახებ იოსებ მირიანაშვილისა—მისი მძიმე ოჯახური მდგომარეობა, ავადმყოფობა და აგრეთვე მისი მცირე ინტელექტუალური მონაწილეობა ქმედობაში;

2) შესახებ ბრალდებულ ტყემალაძისა—მისი გულწრფელი აღიარება თავის დანაშაულისა და მემორანდუმის შედგენისა და გაგზავნის შეცდომას თავიდანვე ცნობა—თანახმად სისხ. სამ. კოდექსის 28 მუხლისა შეუმცირდესთ—მირიანაშვილს და ტყემალაძეს მისჯილი ხუთ-ხუთი წელიწადი—ორ-ორო წლამდე თვითეულ მათგანს; იმავე კოდექსის 31 მუხლის ძალით და აგრეთვე თანახმად იუსტიციის სახალხო კომისარიატის ცირკულიარისა მისჯილთ კალისტრატე ცინცაძეს, ნიკოლოზ თავდგირიძეს, იოსებ მირიანაშვილს და მარკოზ ტყემალაძეს **თავისუფლების აღკვეთის ვადაში ჩაეთვალოთ ის დრო, რომელიც მათ წინასწარ პატიმრობაში და სასამართლოს ქვეშ დაყვეს.**

ამის გამო მსჯავრდადებულნი მოთავსებული იქნან გამასწორებელ სახლში თითეულს შემდეგი ვადით.

1) **ბესარიონ ზოსიმეს ძე ხელაია** შვიდი წელიწადი, ცხრა თვე და ოცდა სამი დღით სასტიკი იზოლიაციით და მთელი ქონების კონფისკაციით.

2) **იასონ კაპანაძე**—ცხრა წლით სასტიკი იზოლიაციით და მთელი მისი ქონების კონფისკაციით.

3) **კალისტრატე მიხეილის ძე ცინცაძე**—სამი წელიწადი, ცხრა თვე და ოცდა სამი დღით სასტიკი იზოლიაციით და ქონების კონფისკაციით.

4) **ნიკოლოზ ყარამანის ძე თავდგირიძე**—სამი წელიწადი, ცხრა თვე და ოცდა სამი დღით (3 წ. 9 თვე 23 დღე) სასტიკი იზოლიაციით და ქონების კონფისკაციით.

5) **იოსებ დიმიტრის ძე მირიანაშვილი**—ცხრა თვე და ოცდა სამი დღით სასტიკი იზოლიაციით და ქონების კონფისკაციით.

6) **მარკოზ პავლეს ძე ტყემალაძე**—ცხრა თვით და ოცდა სამი დღით (9 თ. 23 დ.) სასტიკი იზოლიაციით და ქონების კონფისკაციით.

ბრალდებული **დიმიტრი ივანეს ლაზარიშვილი**, როგორც უდანაშაულო სავსებით იქნას გამართლებული.

მსჯავრდადებულნი **კალისტრატე ცინცაძე, იოსები მირიანაშვილი და ანტონ თოთიბაძე** იმ ბრალდებაში, რომელიც გათვალისწინებულია სისხ. სამ. კოდ. 131 მუხლში დაუმტკიცებლობის გამო ცნობილ იქნას უდანაშაულოთ.

სასამართლოს ხარჯები მიღებულ იქნას სახელმწიფოთ.

ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთები დარჩეს საქმეში გარდა საეკლესიო წიგნებისა, რომლებიც დაიგზავნოს კუთვნილებისამებრ. განაჩენი საბოლოოა და არ განსაჩივრდება.

დასაბუთებული განაჩენი გამოცხადებული იქნება კანონიერ ვადაში.

თავმჯდომარე გ. ჩხეიძე.
წევრნი: 1. გ. რთველაძე,
2. გ. წიწვაძე.

საჯევახო-ჩოხატაურის გზატკეცილის აღდგენის შესახებ

საჯევახო ჩოხატაურის გზატკეცილის აღდგენის საკითხი დიდი საკითხი არის გურიის მშრომელი ხალხისათვის და ამიტომ ოზურგეთის სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს არა ერთხელ უფიქრია მასზე და მიუქცევია საზოგადოებისა და მთავრობის ყურადღება. ამ გზის აღდგენის აუცილებლობის შესახებ 1923 წ. 19 სექტემბრის გაზეთ „კომუნისტი“-ს № 215 ში ვწერდით.

ეხლა ტფილისში მცხოვრებ გურულ ამხანაგებს განუზრახავთ და კიდევაც გადაუწყვეტიათ დაეხმარონ სამაზრო აღმასკომს ამ დიად და მშრომელი ხალხისათვის სასარგებლო საქმეში. ამას წინათ ჩვენ წავიკითხეთ გაზ. „კომუნისტ“-ში ამხ. სერგო მეგრელიშვილის მიერ ხელმოწერილი მოწოდება; ამხანაგებს დაუარსებიათ დამხმარე სააღმშენებლო კომიტეტი და სხვა. ოზურგეთის სამაზრო აღმასკომი სიხარულით ეგებება ამხანაგების გადაწყვეტილებას და თავისი მხრით მიიღებს ყოველგვარ ზომებს ამ ფრიად სიმპატიური საქმის ადრე დაგვირგვინებისათვის.

გზაზე უკვე გაიგზავნა აღმასკომის მიერ ტეხნიკური ძალები, სდგება ხარჯთ-აღრიცხვა, რისი შედეგი სულ მალე დროში ეცოდინება დამხმარე კომიტეტს. სამაზრო აღმასკომიც თავის მხრით მოუწოდებს ყველა დაწესებულებებსა და კერძო პირთ არ დაიშურონ ხსენებული დიადი საქმისათვის თავისი წვლილი და აღმოუჩინონ ყოველგვარი დახმარება დამხმარე სააღმშენებლო კომიტეტს საჭირო ფონდის შექმნაში.

ოზურგეთის სამაზრო აღმასკომის
თავმჯდომარე ა. დოლიძე

ექსპედიციის მუშათა დახმარება ინვალიდებს

ჩვენ, ექსპედიციის მუშა-მოსამსახურეებმა, წავიკითხეთ რა მოწოდება ამხ. მ. ცხაკაიასი და კ. ხომერიკის ინვალიდების დახმარების შესახებ, გადავწყვიტეთ გავუკეთოთ ომის 3 ინვალიდს ხელოვნური ფეხი, რისთვისაც ვიღებთ ჩვენს წვლილს 300 მ. ჩერვონცებით.

ამასთანავე ვიწვევთ შემდეგ ადგილ- [illegible] „ზარია ვოსტოკა“-ს ადგილკომს, 3) 1 სტამბის ადგილკომს, 4) არსენალის ადგილკომს, 5) სახ. მეურ. უმაღლ. საბჭოს ადგილკომს, 6) „თემზა“-ს ადგილკომს, 7) სამხედრო კომისარიატის სტამბის ადგილკომს, 8) 5 სტამბის კომისარიატის ადგილკომს და 9) [illegible] კავშირის გამგეობას.

ხელმოწ. [illegible]

ქრონიკა

— **კბილების ტეხნიკური სახელოსნო.** ა.-კ. რკინის გზის ჯანმრთელობის განყოფილება ტფილისში ხსნის კბილების ტეხნიკურ ცენტრალურ სახელოსნოს, ამ მიზნით გადადებულია 6,000 მან. ჩერ.

— **განუკურნელ სულით ავადმყოფთა თავშესაფარი.** საქ. ჯანმრთელობის კომისარიატი სურამში არსებულ სულით ავადმყოფთა აფართოებს საავადმყოფოს, რომელშიაც მოთავსებულნი იქნებიან განუკურნებელ სულით ყველა ავადმყოფები.

— **აეროპლანით ბრძოლა სეტყვასთან.** მეღვინეთა საზ. „კავშირთა კავშირი“ და სახელმწიფო ღვინის სამმართველო შეუდგენ ჰეროპლანით სანიმუშო ბრძოლას სეტყვასთან და მძიმე ღრუბლებთან კახეთში.

— **ჩათახის ქარხანა.** საქ. უმაღ. ეკონომიურმა საბჭომ დაადგინა: სთხოვოს საქ. სახ. კომისართა საბჭოს ჩათახის ქარხნის საჭიროებისათვის გადასდოს 50,000 მან. ჩერ.

— **აგარაკების საჭიროებათათვის.** საქ. უმაღ. ეკონომ. საბჭომ შუამდგომლობა აღძრა საქ. სახ. კომისართა საბჭოს წინაშე, რათა ბორჯომის კურორტ-აგარაკების საჭიროებათათვის გადასდოს 30,000 მ ჩ.

— **შავი ქვის გატანა.** 2923 წ. განმავლობაში საზოგადოებამ „ჩემომ“ საზღვარ გარეთ გაიტანა 25 მილიონი ტონი შავი ქვა.

— **საქართველოს გეოგრაფიულ საზოგადოებაში.** კვირას, 22 მარტს საღამოს 6 საათზე საქ. მუზეუმის ახალ აუდიტორიაში (კალოუბნის ქუჩა) შესდგება საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების მორიგი სხდომა, რომელზედაც კარლ განი წაიკითხავს მოხსენებას გერმანულ ენაზე „კავკასიონის გადასავლები“ დიაპოზიტივებით. მოხსენება განმარტებული იქნება ქართულ ენაზე.

მუშათა და გლეხთა ინსპექციაში.

— **ახალი გამოცემანი [illegible].** [illegible] საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციამ მიიღო სხვადასხვა სახელმძღვანელოები და უახლოესი გამოცემანი, როგორც, მაგალითად, 1) სახელმძღვანელო დაწესებულებებში საქმის წარმოების შესახებ; 2 კრებული დებულებებისა საწყობის საქმის წარმოებისათვის, 3) სახელმძღვანელო ანგარიშწარმოებისათვის, 4) საბჭოთა მეურნეობის და მმართველობის საკითხები № 1, ორგანიზაციის და მმართველობის საკითხები № 4—5. წიგნები დაეთმობა დაინტერესებულ უწყებებს 30 პროც. დაკლებით. აღნიშნული წიგნები შეიცავენ მეტად საჭირო სახელმძღვანელო მასალებს და მათ შეუძლიათ დიდი დახმარების გაწევა დაწესებულება-საწარმოვოთათვის მათი მუშაობაში.

— **საბჭოთა ძირითადი აპარატების გამოკვლევა.** მუშათა და გლეხთა ინსპექციამ შეადგინა კომისიები ინსპექციის, კომპარტიის ცეკას და შინაგან საქმეთა კომისარიატის წარმომადგენლებისაგან, საბჭოთა ძირითადი აპარატის შესასწავლად და გამოსაკვლევად. კომისიები უკვე გაემგზავრენ მაზრებში. გამოკვლევა იწარმოებს ერთდროულად, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში. გამოკვლევა მიზნათ ისახავს საბჭოთა ძირითადი აპარატის გამარტივებას და გაჯანსაღებას.

— **დამზღვევი კასის ახალი პრეზიდიუმი.** ახლად არჩეულმა დამზღვევი კასის გამგეობამ 25 მარტს აირჩია პრეზიდიუმი შემდეგი შემადგენლობით; ამხ. ცომაია (თავმჯდ.) ელბაქიანი, ხუტულაშვილი, გ. სტურუა და სიტნიკოვი.

— **დახმარება—რძისათვის.** დამზღ. კასის დადგენილებით დამზღვევი კასის წევრთ დახმარება რძისათვის შეუძლიათ მიიღონ, როგორც თვის დასაწყისში, ისე თვის ბოლოს.

— **დახმარება უმუშევრებს.** შრ. ბირჟის 20 მარტს დამზღვევი ქვეგანყოფილება მისცემს მარტის თვის დახმარებას [illegible]

მუშათა ცხოვრება

კათალიკოს ამბროსის და მისი „ძმების“ საქმე.

(შთაბეჭდილება)

დიდი ამბები ხდება დღეს მუშათა უბანში—ნაძალადევში. ძლიერ დაინტერესებულია მუშათა კლასი მისი მტრების საქმეში; ძლიერ აღელვებული არიან ნამეტნავად ახკომკავშირის წევრები, როცა ისინი ქანდრებიდან დასცქერიან ბრალდებულთა სკამზე მსხდომ ბნელეთის მოციქულებს, აფასებენ მათ წარსულ „მოღვაწეობას“, მათ პოლიტიკანობას, გაიძვერობას და თითქოს ცოცხლად მკვდრები, მუმიები სხედანო, ისე არიან თავჩაქინდრულნი და გაფითრებულნი, ეს საქართველოს კონტრ-რევოლიუციონერები და თვითმპყრობელობის მონა-მორჩილნი..

ყოველი მათი „მოღვაწეობა“ მუშათა კლასს კარგად აქვს შეფასებული და ამიტომაა, რომ მუშები ღელავენ და აღშფოთებას ისინი არც კი მალავენ და აშკარად გაიძახოდნენ:

— უნდა დაისაჯონო!

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე მიმართავს ღვთის მამებს, რომ მათი თავის გასამართლებელი საბოლოო სიტყვა სთქვან; კათოლიკოსმა ამბროსიმ 17 მარტს სთქვა საბოლოო სიტყვა. 18 მარტს უკანასკნელი სიტყვა უნდა წარმოეთქვათ დანარჩენ ბრალდებულთ, მაგრამ ამბროსის შემდეგ თავმჯდომარის შეკითხვაზე ყველანი უარს აცხადებენ, მას ისინი შეეჩვიენ და ამით უნდათ დაანახონ მათ მიმდევარ „ობივატელებს“, რომ ისინი წამებულნი არიან, მაგრამ ამას ეხლა არა სჯერდებიან და უკანასკნელ სიტყვაზედაც უარს ამბობენ. მით უარესი მათთვის.

ამიტომაა, რომ მთელი აუდიტორია თითქმის ერთხმად ხმამაღლა გაიძახის:

— ძირს ამბროსი, ძირს სამღვდელოება, ძირს მათი დამცველებიო!

თანაც ბევრი კარიკატურული სურათებია გამოფენილი, განსაკუთრებით ქანდარებზე, მათ შორის საინტერესოა კარიკატურა ამბროსის და მისი დამცველების: ნინიძის, დადიანის და ბარათაშვილის, რომლებიც გვერდით უსხედან მამებს.

საღამოს 7 საათზე სხდომა დაიწყო 18 მარტს, ვინაიდან საბოლოო სიტყვას თავის „მოღვაწეობაზე“ არავინ ამბობს, ამიტომ თავმჯდომარე აცხადებს, რომ სასამართლო მიდის სათათბირო ოთახში განაჩენის გამოსატანად, რაც დაახლოვებით არა ნაკლებ ათ საათს გასტანს. მუშები დარწმუნებული იმაში, რომ ამ საიქიოს და ბნელეთის მოციქულებს სათანადო განაჩენს გამოუტანს სასამართლო, ნელნელა იშლებიან გულნაკლულები, რომ განაჩენის გამოტანას ისინი ველარ უცდიან.

საცოდავ მდგომარეობაში არიან მღვდლების ვექილები—ნინიძე, ბარათაშვილი და ს. დადიანი.

როგორც ერთ დროს ყოფილი სოციალისტები, ისინი არ უნდა იცავდენ ხალხის მტრებს, და სამართლიანადაც გაიძახოდენ ყოველ მხრიდან ძირს—ნინიძე, ბარათაშვილი და დადიანიო!

მუშკორი უ. ჯაში.

მადლობა იმ ექიმებს, ვისაც „მუშის ჭირი უჩანთ ჭირათ მათი ტანჯვით ეწვით გული“.

ჩვენს გაზეთებში ხშირათ ვხვდებით მუშების ექიმებისადმი საყვედურებს. ზოგან მათ დათხოვნასაც მოითხოვენ, მაგრამ მშრომელი ხალხისადმი გულშემატკივარი ექიმებიც მოიპოვებიან და ჩვენი ვალია ისინიც კარგად მოვიხსენიოთ. ერთგულნი და მუყაითნი გავამხნევოთ, ცუღლუტი-ბიუროკრატები გავწკეპლოთ. ამას მოითხოვს ჩვენი მუშური სამართლიანობა და აი მეც მინდა აღვნიშნო ჩვენი განაპირა უბნის ორთაჭალის ექიმების საქმიანობა. აქ არის ერთად-ერთი საავადმყოფო—ამბულატორია ტფილისის ქალაქის საერთო დამზღვევი კასის და მთელი ავადმყოფები იქ მომუშავე ორიოდე ექიმის საზრუნავია უქმეებსა და არა სავალდებულო საათებში. ავადმყოფის პატრონებს არა აქვთ საშუალება სხვა ექიმები იშოვონ, თუ ისევ ისინი და წარმოსადგენია თუ როგორ გაჭირვებაში ჩაცვივდებოდენ ღარიბ-ღატაკი ოჯახის ავადმყოფნი, თუ ეს ექიმები მათ ოფიციალური საათობით მიღების წესებით გაუმასპინძლდებოდენ. მაგრამ ჩვენდა სამხიარულოდ ჩვენი ექიმები არც საათს უცქერიან და არც დღე-ღამეს. მუდამ თავაზიანად, კეთილის გულშემატკივრობით ეპყრობიან ავადმყოფთ. ჩემის თვალით ვნახე, როგორ ერთი ღარიბი მუშა ტიგრან კირაკოზოვი ქუჩაზე შეხვდა ამბულატორიის გამგეს, ექიმს მელიტონ გურგენიძეს, რომელიც თავის საქმეზე მიეშურებოდა, და აუხსნა რა თავის მდგომარეობა, ექიმმა გურგენიძემ მაშინვე მიანება თავი თავის საქმეს და გაჰყვა მთხოვნელს ავადმყოფის ბინაზე და ეს ისეთ დროს იყო, როდესაც სადმე არც საავადმყოფოებია ღია და ხშირად კერძო ექიმებიც არ ღებულობენ ავადმყოფებს თავის ბინებზეც კი.

ასეთი შემთხვევები ხშირია და ამიტომაც მადლიერი ჩვენი მუშები ექიმებს დიდ მადლობას უცხადებენ მელიტონ გურგენიძეს და ერიციანს, რომელთა სახელებიც ღირსია წითელ დაფაზე აღნიშვნისა.

აი სწორედ მისაბაძი მაგალითი სხვა ექიმებისათვის.

მუშა-კორესპონდენტი ლევან ენუქიძე.

წყალსადენის მუშათა კლუბში

ა. წ. 7 მარტს კომუნალურ წყალსადენის მუშათა „ლ. სუხიშვილის სახელობის“ კლუბში გაიმართა დამსახურებულ მსახიობის ნიკო გოცირიძის მონაწილეობით წარმოდგენა ორ განყოფილებით. დადგმულ იქნა „აზარებული გენერალი“ და „ეჭვისა მჭირს“. ნიკო გოცირიძემ თავის მოხდენილი თამაშით ძლიერ გაამხიარულა საზოგადოება „გენერლის“ და „გრიქურას“ როლებში. მისი ყოველი მიმოხვრა და ხმა იწვევდა საზოგადოებაში დიდ მხიარულებას. აღსანიშნავია მეტრეველის (სიძე) და აღ. თავდგირიძის (ექიმი საყვარელიძე და ბოქაულის) მიერ შესრულებული როლები. მათ ეტყობოდათ, რომ ძლიერ სერიოზულათ, დიდი დაკვირვებით და გულწრფელათ შეესწავლათ დაკისრებული როლები. გრ. ანაშვილმა („ბულდანას“ როლში) ძლიერ აცინა საზოგადოება. ამხ. ანაშვილი საუცხოვოდ ასრულებს ამნაირ როლებს და სასურველია მას მიექცეს ჯეროვანი ყურადღება, რათა ნიჭი არ დაიკარგოს უბრალოდ. კარგები იყვნენ ყოჩიაშვილი (გენერლის ქალი) და მინდელი თავიანთ როლებში. გ. უმიკოვი ნამდვილი ძველი დროის „გოროდოვოის“ მოგვაგონებდათ; აქედან ცხადია, რომ ამხ. ბადრიძეს შეუძლია მუშური ელემენტები—ფართედ გამოიყენოს ჩვენი სცენისათვის. პიესამ საერთოდ კარგად ჩაიარა. პიესა საზოგადოების მოთხოვნით განმეორებულ იქნა მეორე დღეს, კვირას.

მადლობის ღირსია მსახიობი ნიკო გოცირიძე თავისი უანგარო შრომისათვის. შემოსავალი 7 მარტის წარმოდგენიდან გადაიდო ხსენებულ კლუბის სასარგებლოდ, და კვირის წარმოდგენიდან „ლ. სუხიშვილის სახელობის“ სამკითხველოსთვის საზოგადოება კმაყოფილი იყო ორივეჯერ.

მუშკორი ათ. განიძე.

წესიერი მუშაკი

ვერც ერთ რევიზორს ბათომისკენ მატარებელში ვერ შეამჩნევთ, რომ თავი შეიწუხოს და კანონიერად სინჯოს მატარებელი. ჩვენ რევიზორებს ღამით სძინავთ და არა სურთ რევიზიის გაკეთება.

მაგრამ გულახდილად უნდა აღვიარო, რომ რევიზორი წულუკიძე, როგორც მისი მუშაობიდან სჩანს, არ ეკუთვნის ზემოხსენებულ უსაქმურ და ზარმაც რევიზორთა ჯგუფს. ის პატიოსნად, ზრდილობიანად ეპყრობა მგზავრებს და საქმესაც ზეჯითად ასრულებს. მაგრამ თუ ოდესმე გარემოება მოითხოვს სიმკაცრეს, ის მაშინ უკან არ იხევს და კანონიერ ფარგლებში სიმკაცრესაც იჩენს. აი სწორედ პატიოსანი და მუყაითი მუშაკი.

მუშკორი ჟაკი.

წყალსადენის მუშებში

ა. წ. 5 მარტს შესდგა წყალსადენის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება. კრებამ განიხილა სხვათა შორის პურის საკითხი. ამ საშინელ სიძვირეში მუშა-მოსამსახურენი ვერ იღებენ პურს. ისინი დიდ ხელმოკლეობას განიცდიან ამ სიძვირის დროს და სწორედ ამ გარემოებას მიაქცია ყურადღება ადგილკომმა და წამოაყენა ეს საკითხი კრებაზე. ბევრი მუშა-მოსამსახურეთაგანი დავალებულია კრედიტით გამოტანილ მანუფაქტურის საფასურით და ეს უშლიდა ხელს ადგილკომს, რომ მუშა-მოსამსახურეთათვის მიეწოდებინა მუშკოოპის პური. კრებამ იქონია ხანგრძლივი კამათი ამ საკითხზე და დაადგინა—„შეძენილ იქნეს წყალსადენის მუშა-მოსამსახურეთათვის პურის ფქვილი, რომელიც უნდა განაწილდეს ჯამაგირების და დავალიანების ნაკლებობის მიხედვით“. ტეხნიკურად ამ საქმის მოწყობა მიენდო ადგილკომს, დარწმუნებული ვართ, რომ ადგილკომი შესძლებს ამ საქმის მოგვარებას, რითაც დიდათ დაეხმარება მრავალრიცხოვან ოჯახით დატვირთულ მუშებს.

მუშკორი ათანახე.

დაიცავით სისუფთავე.

(ქალაქის აღმასკომის საყურადღებოდ).

ელისაბედის ქუჩაზე სახლი № 167 ყოველგვარ სისუფთავეს არის მოკლებული. ეზოში აუწერელი უსუფთაობა არის ნაგვის „იაშჩიკი“ თავის დროზედ არ იწმინდება და სხვა. აგრეთვე სახლის ორ სართულს აქვს ერთი ფეხსალაგი, რის გამო მდგმურები დიდ გაჭირვებას განიცდიან..

მიაქციეთ ყურადღება ამ მდგომარეობას.

მუშკორი—ჟაკ.

იურიდიული დახმარება ამხ. მუშებს.

(განათლების მუშაკთა კავშირის წევრს).

გთხოვთ კეთილ ინებოთ და გაუგებრობის ასაცილებლად მიპასუხოთ შემდეგ შეკითხვაზე:

ოჯახი ჩემი შესდგება 4 წევრისაგან. ერთი მოსამსახურეა და თვეში იღებს 45 ჩერვ. მანეთს (გადაყვანილია 1 საქ. მანეთი—1,3 ჩერვ), მეორე წითელ-არმიელია თვეში იღებს 17 მანეთს, მესამე შრომის-უნარს მოკლებულია (დაზღვ), მეოთხე უმუშევარია. ბინა ცენტრალურ უბანშია და 105 კვ. არშინისაგან შესდგება. არის წყალსადენი და ვსარგებლობთ საერთო სამზარეულოთი.

რა საფასურით უნდა გადავხდეს თვეში ბინის ქირა?

პასუხი.

თანახმად ქალ. საბჭოს დადგენილებისა 1923 წ. 3 ნოემბრიდან № 42-ით და ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატის 1924 წ. 8 იანვ. განმარტების (იხ. „კომუნისტი“ № 9 1924 წ. 10 იანვრ.) და სრულიად საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს იურიდიული განყოფილების ახსნა-განმარტებისა, ბინის ქირას თავის ჯამაგირის მიხედვით იხდის თქვენი ოჯახის ის წევრი, ვინც იღებს შრომის ხელფასს ოჯახის სხვა წევრთან შედარებით მეტის რაოდენობით (თქვენი მაგალითში — მოსამსახურე, რომელიც იღებს 45 ჩერვ მან.) **თითო კვადრატულ არშინზე ჩერვონეცის 2,34 კაპეიკს.**—სულ 105 კვადრ. არშინზე ის გადიხდის ბინის ქირად ჩერვონეცის ორ მანეთს და ორმოცდა ექვს კაპეიკს, სამზარეულოთი სარგებლობისათვის კი ძირითად ბინის ქირას უნდა მოემატოს კიდევ ერთი პროცენტი, ე. ი. ჩერვ. მანეთის 2,46 კაპეიკი.—სულ კი ორ მანეთს და ორმოცდა რვა და ორმოცდა ექვს მეასედ კაპეიკს გადაიხდით თქვენ ბინის ქირად, თუ კი თქვენი ოჯახი შეადგენს ერთ მთლიან ოჯახს, სადაც შემოსავალ-გასავალს განაგებს ერთი ოჯახის თავი. წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენი ოჯახის ყოფილი წევრი იხდის თვითონ ქირას თანახმად მისი ჯამაგირისა მის მიერ დაკავებულ საცხოვრებელ სივრცის მიხედვით.

მკერავთა სექციების დაზღვეულ უმუშევრებს.

— **ჩაის გადასამუშავებელი ქარხანა.** ამ.-კ. გარეშე ვაჭრობის კომისარიატმა დაადგინა ტფილისში მოაწყოს ჩაის გადასამუშავებელი ქარხანა.

— **შეფობა სამოსწავლო ძირითად ათასეულზე.** ა|კ. გარეშე ვაჭრობის კომისარიატმა თავის შეფობის ქვეშ მყოფ სამოსწავლო ძირითად ათასეულის წითელ-არმიელებს დაუნიშნოს ყოველთვიური დახმარება 3 მან. ჩერ. თითოს.

— **აბრეშუმის თესლის განაწილება.** უმაღ. ეკ. საბჭომ წინადადებით მიმართა მიწად. მოკ. კომისარიატს, რათა აბრეშუმის თესლი მცხოვრებთა შორის სისწორით გასანაწილებლად დანიშნოს საკანტროლო კომისია.

— **ბაჟის მოხსნა.** უმაღ. ეკონომ. საბჭოს შუამდგომლობა აღძრა ა|კ. სახ. კომ. საბჭოს რათა აბრეშუმის ნაწარმოებებზე მოხსნილი იქნას არსებული ბაჟი.

— **შრომის ბირჟა.** 19 მარტს შრ. აღრიცხვაზე გამოცხადდა—366, ახლად ჩაეწერა—93, გაგზავნილია—28, მოთხოვნილება იყო 52, აღდგენილ იქნა უფლებებში—6 უმუშევარი.

კრებები.

— **საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება.** კვირას, 23 მარტს, საღამოს 6 ნახ ს., საქართველოს მუზეუმის ახალ აუდიტორიაში (მისავალი კალოუბნის ქუჩიდან) შესდგება მორიგი სხდომა საქართველოს გეოგრაფიულ საზოგადოებისა, რომელზედაც საზოგადოების წევრი კარლ გან წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „კავკასიონის გადასავლები.“ მოხსენება წაკითხულ იქნება გერმანულ ენაზე და მოკლეთ მოხსენებული ქართულად. მოხსენება დასურათებული იქნება მრავალი სურათებით (დიაპოზიტივებით). საზოგადოების სხდომას შეიძლება არა წევრებიც დაესწრონ.

შემთხვევები

— **უბედური შემთხვევა.** 19 მარტს, დილის 11 საათზე სადამოუნო სამმართველოს უფროსის ამხ. ვირაპის ავტომობილი მიმავალი პლეხანოვის პრ. პირაგოვის ქ. მოსახვევში დაეტაკა ეტლს, რომლის რვილმა (დიშლამ) შეამტვრია ავტომობილის შუშის საფარი და დასჭრა თვით ვირაპი და შოფერი, ამ დროს მიმავალ ტრამვაის ვაგონისა და მეორე ავტომობილის გამო, ვირაპმა ავტომობილი მოაბრუნა, და ავტომობილი დაეჯახა „კავშირთა კავშირისეულ“ სასტუმროს, რის დროსაც ავტომობილმა მძიმეთ დააზიანა ქვაფენილებზე მიმავალი ლიუდმილა შუტოვა, მარიამ დოტუნოვა და მარიამ ჩხეიძე, ამავ დროს მძიმეთ დაშავდა თვით ვირაპიც. ყველა დაშავებულები გადაგზავნეს რესპ. მთავარ საავადმყოფოში.

— **თავის ჩამოხრჩობა.** 16 მარტს დილის 11 საათზე რტიშჩევის ქ. № 9. მოქ. ტარიელ კაჩკაძის სახლში თავი ჩამოიხრჩო სულით ავადმყოფმა გულინა შლავიანცისამ. მიზეზი თვითმკვლელობის გამოურკვეველია.

— **ქურდობა.** 17 მარტს ღამით პუშკინის ქ. № 21 გაქურდულ იქნა მოქ. სურენ ჩირკინიანცის დუქანი, საიდანაც წაღებულია 117 ჩერვონეცის საქონელი.

— **ცეცხლი.** 18 მარტს, საღამოს 9 საათზე ფეთხაიანის ქ. № 25 მოქალაქე მამედ ალი-ოღლის სახლს გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩაქრობილი იქნა ცეცხლის მქრობელ რაზმის მიერ.

— **თავის მოკვლა.** 18 მარტს, საღამოს 9 საათზე, ქარხნის ქ. № 4, მეგზოვემ რაგიმ გულიევმა თავი მოიკლა რევოლვერით. მიზეზი თვითმკვლელობის გამოურკვეველია.

— **თვითმკვლელობა.** 12 მარტს, დილის 11 საათზე სოფ. ნორიოში (გარე-კახეთის რაიონი) თოფით თავი მოიკლა ამავე სოფლის მცხოვრებმა დათიკო ზაქარიას ძე კოპილაშვილმა. მიზეზი გამოურკვეველია.

— **შეპყრობა.** 18 მარტს, დღის 2 საათზე, სუფკარაპეტის ქ. № 9, მოქალ ქიშმიშა პეტროსიანცის ბინაზე შეპყრობილ იქნა ვინმე პეტრე ოვსიანკოვი, რომელსაც სურდა გაექურდა აღნიშნული ბინა.

— **თავდასხმა.** 17 მარტს, საღამოს 10 საათზე, უსპენის შესახ. № 12 მოქ. მეერ ისაკისა წითლაშვილს თავს დაესხნენ სამი ბოროტ-მოქმედნი, რომელთაც სურდათ საგანგებო კომისიის სახელით მოეხდინათ ჩხრეკა. მოქ. წითლაშვილს ეჭვის გამო სახლში არ შეუშვია, მაგრამ ბოროტმოქმედები ძალით შევიდნენ, რის დროსაც ქალებმა ასტეხეს წივილი, ხმაურობაზე მოცვივდნენ მეზობლები და ყარაულებიც რევოლვერის სროლით მიიმალნენ. წაღებული არაფერი არ არის.

— **წითელ-არმიელის გაძარცვა.** 17 მარტს, ღამით, ვერის პარკის ახლოს მიმავალ წითელ არმიელს გიგუნაშვილს თავს დაესხნენ ბოროტ-მოქმედნი და გახადეს ყველაფერი დაწყებული შინელიდან — ფეხსაცმელამდე. მიღებულია ზომები ბოროტმოქმედთა შესაპყრობად.

ხელოვნება

ზოია ლოდის კონცერტების ციკლი.

მუსიკალურ ლიტერატურაში არის სავსებით განსაკუთრებული დამოუკიდებელი დარგი—რომანსები საკამერო რეპერტუარიდან. ეს დარგი მეტად ძნელია შესასრულებლად. ამ დარგში აუცილებელია მთლიანობის დაცვა და ნაწარმოების ყოველმხრივი მხატვრული დამუშავება. ამიტომ არის, რომ ვოკალურ შემსრულებელთა მთელ პლეადასთან შედარებით უფრო ნაკლებია საკამერო სიმღერის უნაკლო შემსრულებელთა რიცხვი. ასეთი უნაკლო შემსრულებელთაგანია ზოია ლოდი. მომღერალის სახელი დიდი ხანია ცნობილია რუსეთის და ევროპის მუსიკალურ წრეებში. მისი ხმა არ არის ფართო დიაპაზონის, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. მუსიკალობა, გრძნობიერება, დასრულებული ფრაზიროვკა, სწორი დინამიკა, ლირიზმი—აი მისი ნიჭის ის მხარეები, რომლებმაც მოუპოვეს მომღერალს დიდი არტისტის სახელი. ის იპყრობს მრავალრიცხოვან აუდიტორიას თავის კონცერტით, რომელიც ჰქონის ინტიმიურ განწყობილებას და აერთიანებს აუდიტორიას ესტრადასთან.

მისი მეორე კონცერტი მიძღვნილი იყო დარგომირსკის, ჩაიკოვსკის და მუსორგსკის შემოქმედებისადმი. დარგომირსკის რომანსები თავისი მუსიკალური შინაარსით რამოდენიმედ მოძველებულია, მაგრამ ზოია ლოდის შესრულებით ისინი მხატვრული მინიატურებია. იგივე ითქმება ჩაიკოვსკის რომანსებზედაც—მომღერალი ქალი იძლევა მხატვრულ სურათებს; საუცხოვო დიქცია სისრულეს ჰმატებს შესრულებას. საუცხოვოა ფრანგული სიმღერები. შემდეგი კონცერტი მიძღვნილია გერმანელ რომანტიკოსების: შუმანის და შუბერტისადმი.

პ. ბიბუთოვი.

— **ქართული სამუსიკო ჟურნალი.** ახალგაზრდა მუსიკოსთა საზოგადოების გამგეობა უშვებს სამუსიკო ჟურნალს. ჟურნალი გამოვა ახლო მომავალში. რედაქციის მისამართი: ივ. მაჩაბლის ქუჩა № 13, ხელოვნების სასახლე. ტელეფონი 17—51.

— **ნიკო გოცირიძის იუბილე.** კვირას, 30 მარტს რუსთაველის თეატრში გაიმართება მსახიობ ნიკო გოცირიძის იუბილე, მისი სცენაზე 30 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავად.

— **ჟურნალი „დროშა“.** გამოვიდა ჟურნალი „დროშის“ მორიგი ნომერი (10), რომელშიაც მოთავსებულია მრავალი ილიუსტრაცია და საყურადღებო ლიტერატურულ-მხატვრული მასალები.

— **ლიტერატორ-არტისტის მიხ. მანველიანის იუბილე.** 27 მარტს, ერევანში გაიმართება ლიტერატორ-არტისტის მიხ. მანველიანის 30 წლის იუბილე.

— **ილია ნაკაშიძის ნაწერები.** სახელგამი შეუდგა ილია ნაკაშიძის ნაწერების გამოცემას. ნაწერები გამოვა ორ ტომად.

— **სოფ. მგალობლიშვილის იუბილე.** აპრილის ბოლო რიცხვებში გაიმართება დამსახურებულ მწერლის ს. მგალობლიშვილის სალიტერატურო ასპარეზზე 45 წლის იუბილე.

— **სომეხ მხატვართა გამოფენა.** ტფილისში არსებულ სომეხ ხელოვანთა „აიარტუნის“ სამხატვრო სექციამ გადასწყვიტა მიიღოს მონაწილეობა ერევანში სამხატვრო გამოფენაზე, რომელიც შესდგება 6 აპრილს.

— **ოპერეტა სომხურად.** სამშაბათს, 2 აპრილს სახ. ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნება სომხურ ენაზე ოპერეტა „გიშა“ ლენინკანის საოპერო დასის მიერ. დადგმა შარტარიანის.

დღეს თეატრებში

ოპერა. „ქეთო და კოტე“.

დრამა. თურქული წარმოდგენა.

სახ. სახლი. რუსული წარმოდგენა.

ცირკი. კლოუნების საღამო.

პროვინციაში

ლეჩხუმს გზა უნდა მიეცეთ

ლეჩხუმი თავისი მდებარეობით უმნიშვნელო კუთხეა რესპუბლიკისა. ეს არის შუაადგილი რაჭისა, ზემო სვანეთისა, ქუთაისისა და ზუგდიდის მაზრებთა შორის. სივრცით ის სხვა მაზრებს არ ჩამოუვარდება. ეს არის ის მშვენიერი ხეობა რიონისა, ცხენის წლისა და ლაჯანურისა, რომელთა ორივე მხარეზე დასახლებულია მეტად მშვიდობიანი და რევოლიუციონური სულით გაჟღენთილი, დაუღალავი მშრომელი გლეხობა. ასეთ მშვიდობიანი შრომის მოყვარე ხალხით დასახლებული მაზრა, გარდა ბუნებრივ სილამაზისა, დაჯილდოებულია ბუნებრივი სიმდიდრითაც. ლეჩხუმი,ეს არის ულეველი წყარო ხე-ტყის მასალისა, ეს არის ულეველი წყარო მრავალი სხვადასხვა მადნეულობისა, რომლის ნიშნები მრავალ ადგილზეა აღმოჩენილი.

ლეჩხუმის მაზრაში საუკეთესო მინერალური წყლები მოიპოვება. ეს არის საუკეთესო ადგილი მეურნეობის სხვადასხვა დარგისათვის. აქ არის საუკეთესო საბალახო მთები, სადაც შეიძლება მეჯოგეობა განვითარდეს. რაც შეეხება ჰაერს, ამ მხრით ხომ ყოველი კუთხე მაზრისა კარგია.

ბუნებრივათ მაზრა ყოველ მხრივათ დამაკმაყოფილებელია. პოლიტიკურ ბრძოლაში ლეჩხუმის მაზრას, სხვა მაზრებთან შედარებით, პირველი თუ არა, მეორე ადგილი მაინც უჭირავს. ეს ყოველმხრივათ ბუნებისაგან დაჯილდოვებული მაზრა, ეკონომიურათ და კულტურულათ სხვა მაზრებზე ჩამორჩენილია. რა არის ამის მთავარი მიზეზი? უმთავრესად უგზოობა, რის გამო მაზრა მოწყვეტილია მჭიდრო კავშირს როგორც ცენტრთან, ისე სხვა მაზრებთან. მე უნდა აღვნიშნო ის, რომ ლეჩხუმის მაზრის ცენტრში ქ. ცაგერში გზის შეყვანის ფიქრი დიდი ხნიდან იყო, მაგრამ დაწყება, პირველი ნაბიჯის გადადგმა საბჭოთა ხელისუფლებას ეკუთვნის.

მეორე წელიწადია, რაც გზის კეთება დაწყებულია, მაგრამ დასასრული როდის იქნება, გამოურკვეველია. უსაზღვრო იყო ლეჩხუმის მშრომელი მასის სიხარული, როდესაც გზის კეთება დაიწყო, ბევრი შრომა მიუძღვის ყოველ მოქალაქეს ამ გზის შეკეთებაში დღეს კი ისინი, სასოწარკვეთილებაში არიან, რადგან საბოლოოთ ამ დიდი საქმის განხორციელებას მრავალი მიზეზი ხელს უშლის. მაზრის გეოგრაფიული მდგომარეობის მიხედვით, ცაგერი ყოველთვის ყოფილა და უნდა იყოს ცენტრი. საკითხი, თუ რომელი კუთხიდან შევიდეს გზა მაზრის ცენტრში,—„ნიკორძირიდან“, „ორბელიდან“, თუ „ლვირიშიდან“,—სულ ერთი უნდა იყოს და იმ შეუთანხმებლობას და ამის გამო ხელის შეშლას, ადგილობრივ მთავრობისადმი ზოგიერთების მიერ, რომელსაც ადგილი ჰქონდა მაზრაში, საბოლოოთ ბოლო უნდა მოეღოს, და ეს მგონი ასეც არის. ჩვენთვის საჭიროა მაზრის ცენტრში გზა შევიდეს, საიდანაც და როგორც არ იქნება იგი—სულ ერთია.

ლეჩხუმის მშრომელი მასა იმდენათ დაინტერესებულია ამ გზით, რომ დღესაც, მე მგონი, არავითარ ძალღონეს არ დაიშურებს და დახმარებას გაუწევს მთავრობას. მე მხოლოთ მინდა აღვნიშნო, რომ საჭიროა საბჭოთა ხელისუფლების უმაღლეს ორგანოების მიერ მეტი ყურადღება ამ საქმისადმი. რასაკვირველია დღემდისაც იყო ყურადღება, მაგრამ შედარებით სხვა მაზრებთან ნაკლები. თუ ზოგიერთ მაზრაში შესაძლებელია რკინის გზების გაყვანა (მაგ. ოზურგეთი). ნუ თუ ლეჩხუმში ამ ფრიად მნიშვნელოვან კუთხეში თავის მდებარეობით და სიმდიდრით, არ შეიძლება ან საჭირო არ არის დაჩქარებით შოსე გზის შეყვანა. ლეჩხუმის მაზრა სხვაზე უფრო საჭიროებს დაჩქარებით მჭიდრო კავშირის აღდგენას როგორც ცენტრთან, ისე სხვა მაზრებთან. უამისოთ მკვდარია ლეჩხუმის ბუნებრივი სიმდიდრე, უამისოთ ლეჩხუმის ეკონომიური მდგომარეობა ერთ დონეზე, უამისოთ ეს კუთხე მუდამ ჩამორჩენილი დარჩება კულტურულათ. ლეჩხუმის მაზრის ცენტრში გზის დაჩქარებით შეყვანა და მჭიდრო კავშირი სხვა მაზრებთან მეზობელ მაზრების ეკონომიურ მდგომარეობას აუცილებლათ წინ წასწევს.

ასეთია მდგომარეობა და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საბჭოთა ხელისუფლების, მუშურ-გლეხური მთავრობის უმაღლესი ორგანოები, დაინტერესებული მშრომელი ხალხის კეთილდღეობასა და დახმარებაში, ყოველგვარ საშუალებას მიმართავს, თავის ცდას, ყურადღებას არ დაიშურებს და ლეჩხუმის მაზრის მშრომელი მასის გულისტკივილს შეამსუბუქებს და დაწყებულ საქმეს, გზის კეთებას, მალე დაამთავრებს. ყველა მაზრებმა იგემის საბჭოთა ხელისუფლების აღმშენებლობითი მუშაობის ნაყოფი და დეე ლეჩხუმის მშრომელმა მასამაც იგემოს იგი.

ლეჩხუმელი სტუდენტი.

მარნის თემი (სენაკის მაზრა)

ამ თემში შედის რვა სოფელი, მცხოვრებთა რიცხვი დაახლოვებით 1800 კომლამდე აღწევს. ყოველ სოფელში არის დაწყებითი სკოლები, სადაც სწავლა სათანადოთ არის დაყენებული, თემის სამმართველოსთან არის ცხრა წლიანი შრომის სკოლა, რომლის გამგეთ ითვლება დამსახურებული პედაგოგი კონსტანტინე თოფურიძე, მისი მეცადინეობით სწავლის საქმე კარგად არის დაყენებული. ამ სოფლებში თითქმის ყოველგან არსებობს ქოხ-სამკითხველოები; ამავე თემში არის სახერხი ხე-ტყის ქარხანა. აქაც მუშებისთვის არის სამკითხველო, სადაც სისტემატიურად მოდის გაზეთები. ასეთი პუნქტები არის კიდევ პირველ უბანში და საჭილავოს ბაქანზე. თუ უწინ ხალხი მიდიოდა კვირა უქმე დღეებში ეკლესიაში, ეხლა ამ პუნქტებში გლეხები იყრიან თავს ჟურნალ-გაზეთების საკითხავათ, თავის თვითცნობიერების ასამაღლებლათ.

მარნელი.

მადლობის გამოცხადება

(წერილები რედაქციის მიმართ)

ჩოხხათის თემის (გურია). სახალხო სახლის სააღმშენებლო კომისია უღრმესს მადლობას უცხადებს სოციალური უზრუნველყოფის კომისარს ამხ. კ. ხომერიკს, რომელმაც შეაგროვა ხსენებული სახლის სასარგებლოთ 86 ჩერვონეცი და ამით ხელი შეუწყო საფუძველ ჩაყრილ საქმის სისწრაფით სვლას. უღრმეს მადლობას უცხადებთ აგრეთვე იმ ამხანაგებს, რომლებმაც თავიანთი წვლილი გაიღეს ამ კულტურული საქმისათვის.

კომისიის მონდობილობით

სარდიონ მოისრაფიშვილი.

ნაბაკების ახალგაზრდათა კომკავშირი მადლობას უცხადებს ამხ. ვანო სტურუას, რომელმაც ნაბაკების კლუბის სასარგებლოდ გაიღო ორი ჩერვონეცი.

მონდობილობით **გიორგი საკალია.**

პასუხი სატყეო ტრესტს

(წერილი ხარაგოულიდან)

გაზეთ „კომუნისტი“-ს 16 თებერვლის 39 №-ში მოთავსებულია საპასუხო წერილი საქართველოს სატყეო ტრესტისა, სადაც ამჟამად, თითქოს, ყველაფერი რიგზეა და ტრესტი თავიანთ მუშებს აკმაყოფილებს „შეძლებისდაგვარად“. მხოლოდ, ადრე კი, ტრესტის განყოფილების ყოფილი გამგის ჩიქელაშვილის დროს ჰქონებია ადგილი „დიდ „გაუგებრობას“, რომლის დროს, თურმე, ხარაგოულის აღმასკომს „სპლათას ძალით ეძინა“. არ შეგვიძლია არ შევამჩნიოთ, რომ, ჩვენი „ძილის“ ტრესტი ძალიან მოხარული იქნებოდა, მაგრამ მისდა სამწუხაროდ ეს ასე არ არის. ყოფილი ტრესტის გამგე ჩიქელაშვილი ჩვენ მიერ რამდენჯერმე იქნა დატუსაღებული და გადაგზავნილი სამაღმასკომში.

რაც შეეხება კორესპონდენციაში მოყვანილ ციფრებს, თავისი „მოულოდნელი“ ხარჯებითურთ, ჩვენ ამის გაბათილებით არ შევიწუხებთ თავს; ეს უკანასკნელი თითონ გააბათილეს იმ მუშა-გლეხებმა, რომელთა მდგომარეობა, მათი სიტყვით, საგრძნობლად გამოკეთდა და ამ „გამოკეთების“ შემდეგ მუშებმა თავიანთი ჩამოტანილი ხე-ტყე თქვენ არ დაგითმესთ, თქვენ მიერ დაწესებულ ფასებში, და ღამით ჩუმად გაიტაცეს და გაიტანეს „ატრუდნიის“ გარეთ, რადგან, როგორც სჩანს, შიშობდნენ, რათა თქვენ სულ უფასოდ არ წაგერთმიათ.

ქვევით, ტრესტი ცუდათ გვახასიათებს იმით, რომ ჩვენ დავატუსაღეთ ტრესტის თანამშრომელი ქადეიშვილი, რომელმაც დაიჭირა ვიღაც ქურდი; ხოლო ჩვენ ქურდი გავანთავისუფლეთ და ქ შვილა დავატუსაღეთ. საქმე შემდეგში იყო: ვიღაც მეურმეს თავის საჭიროებისათვის მიჰქონდა სახლში ერთი ურემი შეშა, რაც შეამჩნია მოქ. ქადეიშვილმა და ეგონა რომ მეურმეს მიჰქონდა ტრესტის შეშა, რისთვისაც დაიჭირა მეურმე, სცემა მას ზორბათ და მიიყვანა მოლითის თემაღმასკომში. იქ, როგორც ვთქვით, მდგომარეობა გამოირკვა და მეურმე გაანთავისუფლეს, ხოლო მისი უდანაშაულოთ შეურაცხყოფისათვის მოქ. ქადეიშვილი დაატუსაღა ყოფილმა მ-თის თემაღ-მის თავმჯდომარემ. ასეთი არის დღევანდელი ტრესტის გამგეობის ორკვალობა და ნახტომები.

დასასრულ არ ვიცით რამდენათ შეეფერება სიმართლეს ტრესტის დირექციის ქველმოქმედება ახალციხეში, ვიტყვით მხოლოთ, რომ, ამ მხრივ ცოტა ულოღიკობას აქვს ადგილი: ჩვენ არ გვქონია ლაპარაკი არც ახალციხეზე და არც აჭარაზე; ჩვენ ვამბობდით ჩვენი რაიონის მოლით-მარელისზე, საიდგანაც გახელებული მუშები მწარეთ აღელვებულნი მოდიან ჩვენთან და ჩვენ ძლივს ვახერხებთ მათ დამშვიდებას, დაწყნარებას. ასეთი სურათების შემდეგ, ხარაგოულის აღმ-მი მთელი თავისი ძალღონით იბრძოლებს, რათა თვითეულ გაუგებრობას დაუდვას საზღვარი, რომლის იქით ვერავინ ვერ უნდა გადააბიჯოს.

კიდევ ერთხელ დაბეჯითებით მოვითხოვთ, რომ ამ მდგომარეობის გამოსარკვევათ საჩქაროთ იყოს დანიშნული კომისია.

ხარაგოულის აღმასკომის პრეზიდიუმი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

ინსტრუქცია

იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარების. მუშა-ქალის დღისთვის—მარტის 8-ს თვის—გამოცემული ამნისტიის შეფარდების შესახებ.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1924 წლ. თებერვლის 22-ის დადგენილებისა და ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1924 წ. მარტის 3-ის დადგენილების აღსასრულებლად სახელმძღვანელოდ მიღებულ იქნეს შემდეგი:

1. საპატიმრო ადგილების უფროსებმა დაუყოვნებლივ უნდა წარუდგინონ სათანადო განმანაწილებელ კომისიების სიები ყველა იმ ქალისა, ვინც 1924 წ. მარტის 8-ს თვის იხდის სასჯელს, და ამ ქალების პირადი საქმეები.

2. განმანაწილებელი კომისია ზედმიწევნით გაიცნობს სასჯელის მომხდელის პირად საქმეს და

ა) საქმეს იმ მსჯავრდადებული ქალისას, რომელმაც მუშა-ქალის დღისათვის მოიხადა სასჯელის ნახევარი ან მეტი ვადა, და რომლის განთავისუფლებაც იმით არ არის საშიში, რომ განთავისუფლებული ახალ დანაშაულს ჩაიდენს, წარუდგენს პირობითი განთავისუფლების გადასაწყვეტად პირვანდელი განაჩენის ან დადგენილების გამომტან ორგანოს ან სასჯელის მოხდის ადგილას მყოფ სათანადო ორგანოს;

ბ) რაც შეეხება იმ მსჯავრდადებულ ქალს, რომელმაც სასჯელის ნახევარი ვადა არ მოიხადა, კომისია მის განკარგულებაში მყოფ გამომკვლევის მეშვეობით გამოარკვევს, როგორც სასჯელის მომხდელის პიროვნებას, ისე იმ წრესა და ცხოვრების პირობებს, რომელშიაც დანაშაული იყო ჩადენილი, და შუამდგომლობას აღძრავს იმავე ორგანოების წინაშე, რათა განთავისუფლებულ იქნეს ის ქალი, ვინც მისი აზრით განთავისუფლებულია საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1924 წ. თებერვლის 22-ის დადგენილების მე-2 მუხლის ძალით.

3. იმავე დადგენილების მე-3 მუხლის ძალით სასამართლო და საადმინისტრაციო ორგანომ, იმ ქალის დასჯის შესახებ დადგენილების გამოტანის დროს, რომელმაც დანაშაული 1924 წ. მარტის 8-დე ჩაიდინა, და რომლის საქმეც ჯერ არ ყოფილა განხილული, უნდა დაადგინოს—ხსენებულ დადგენილებაში აღნიშნული შეღავათი შეფარდოს მსჯავრდადებულს, შეფარდებული იგი უნდა იქნეს ამა ინსტრუქციის მე-4 მუხლის წესით.

4. ხსენებულ დადგენილებაში აღნიშნული შეღავათი გავრცელდება იმ ქალზედაც, რომლის გამოც განაჩენი ან დადგენილება ამა თუ იმ სასჯელის შესახებ უკვე გამოტანილია, მაგრამ ჯერ სისრულეში არ არის მოყვანილი, ამიტომ განმანაწილებელ კომისიას ასეთ შემთხვევაში უფლება ეძლევა ითხოვოს-ხსენებული მსჯავრ-დადებულის ვადამდე პირობით განთავისუფლებულ იქნეს სასჯელის ნახევარი ვადის მოხდამდეც.

5. განხილვა ყველა საქმისა, რაც ამნისტიის შეფარდებას შეეხება, განმანაწილებელმა კომისიებმა უნდა დაამთავრონ ერთი თვის ვადაში ამა ინსტრუქციის მიღების დღიდან.

6. განმანაწილებელმა კომისიებმა არა უგვიანეს ამა წლის მაისის 1-სა უნდა წარუდგინონ საპატიმრო ადგილების მთავარ სამმართველოს დაწვრილებითი ანგარიში ციფრობრივ, თუ როგორ გატარებულია ცხოვრებაში საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება სასჯელის მომხდელ ქალების შეღავათის შესახებ.

იუსტიციის სახალხო კომისრის მოადგილე **ქ. ოკუჯავა.**

შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე **ტალახაძე.**

1924 წ. მარტის 15.

ქ. ტფილისი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— პარასკევს, 21 მარტს, საღამოს 8 საათზე საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტის შენობაში, 3 აუდიტორიაში, შესდგება **პოლიტეხნიკუმის და მუშფაკის უმაღლ უჯრედების სხდომა** ახალგაზრდათა კომკავშირის უჯრედთან ერთად.

ბიურო.

— **საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი** წინადადებას აძლევს ყველა პასუხისმგებელი მუშაკებს და ძველად არალეგალურად მომუშავეთ, ვისაც დარიგებული ჰქონდა პირადი ფურცლები, წარადგინონ ასეთები საალრიცხვო-სტატისტიკურ ქვე-განყოფილებაში არაუგვიანეს ა. წ. 22 მარტისა ავტობიოგრაფიასთან ერთად, რომელიც წარდგენილი უნდა იქნეს ორ ეკზემპლიარათ.

პასუხისმგებელი მდივანი გ. სტურუა.

განათლების მუშაკთა სახლში

— დღეს, 21 მარტს, საღ. 7 საათ. არა რუსული სკოლების რუსულ ენის მასწავლებელთა წრე.

ამავე დღეს 6 ნახ. საათ. არა ქართული სკოლების ქართული ენის მასწავლებელთა წრე.

ამავე დღეს საღ. 7 ნ. ხ. საათ. რუსული ენის მასწავლებელთა წრე.

შაბათს, 22 მარტს, საღამოს 6 საათ. პროფწრეში ძიძაძის მოხსენება. „პროფმოძრაობის ისტორია რუსეთში“.

განცხადებები

გაუბედურებული მშობლები ანეტა და სერგო მადლობას უხდიან ყველას, ვინც პირადი დასწრებით თუ წერილობით მონაწილეობა მიიღეს ძვირფასი შვილის

ვალია გალოგრეს

დაკრძალვაში და მით შეამსუბუქეს მათი მწუხარება.

ღრმათ დამწუხრებულნი ხშობლები; ივდითი ნიკოლოზის ასული და ბეგლარ მიხეილის ძე, და ელენე ბეგლარის ასული, ძმა მიშა ბეგლარის ძე, ბიძა ამბაკო მიხეილის ძე, ბიცოლა თეო შიოს ასული და ბიძაშვილი შუშანიკა ამბაკოს ასული ქართველიშვილები აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ რომ მათთვის საყვარელ და დაუვიწყარ

თამარ (თალიკო)

ქართველიშვილის

წლის თავის წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება ქაშვეთის ეკკლესიაში ამა მარტის 23, დღით კვირას.—წირვა დილის 10 საათზე, პანაშვიდი 12 საათზე. 707—1—1

ვ. ი. ლენინის სახელობ.

საოპერო თეატრი

დღეს, 21 მარტს

ქეთო და კოტე

კვირას, 23 მარტს

ლაკმე

ბ. 964 4—2

ტფილისის ტრამვაი

ამით აცხადებს, რომ იძლევა იჯარით ფუნიკულიორის რესტორანი. პირობების გაცნობა შეიძლება ტრამვაის კანტორაში დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

965—2—1 ტრამვაის დირექცია.

„კრაიტორგ“

(რუსეთის სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაწილის სამრეწველო ბიუროსთან არსებული სასოფლო სავაჭრო განყოფილება)

ტფილისის განყოფილება

სოლოლაკის ქ. № 4, ტელ. 8—71

აწოდებს პირველ საფიხურის კოოპერატივებს და სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობებს შეღავათიან პირობებში უმაღლესი ხარისხის შაქარს. ბ. 966 2—1

ელექტრონის და სინათლის

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

სამკურნალო სწარმოებს ექ. სვიმონ უიფშიძის ხელმძღვანელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. 126—25—12

დაიკარგა პირადობის მოწმობა გ. | წ. 28 თებერვლის მოცემული ართენის თემის მიერ თელავის მაზრისა. ალექსანდრე მიხეილის ძე ლაგაზიძეს სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 705—1—1

დაიკარგა სამხედრო საალრიცხვო პირადი მოწმობა № 591 ილიონ ფანის ძე ნარიმანოვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 706—1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა მოცემული ონის აღმასკომიდან რაჭის მაზრა № და სამხედრო აღრიცხვის ბარათი № 406. ნიკოლოზ იოსების ძე კობახიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 709—1—1

დაიკარგა საალრიცხვო ბარათი მოცემული მე 7 დე უბნ. სამხედრო მაგიდიდან, მე-4-ე უბნ. უფროსი მილიციონერის დავითა გიორგის ძე პაპალაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 710—1—1

„ზარია ვოსტოკას“ სტამბა, საშა წულუკიძის ქუჩა № 4